ევროკავშირსა და რუსეთს ბელორუსში დემოკრატიის დამყარება სურთ

A3

ისრაელიც დავამარცხეთ

A6

"აპოლო სტეროიდებზე", ანუ ამერიკელთა დაბრუნება მთვარეზე

B3

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 2005 წელი. №250 (1110)

ფასი 50 თეთრი

ამბები

დამთმობი ნაბიჯი თუ პოლიტიკური ფანდი

საპარლამენტო ოპოზიციის გასაკვირად, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვა გადაიდო. უმრავლესობამ არჩია, კანონპროექტის ალტერნატიულ ვარიანტებს დალოდებოდა.

A2

ამბები

"არშემდგარობის" ინდექსი

ავტორიტეტულმა ამერიკულმა კვლევითმა ცენტრებმა The Fund for Peace და Carnegie Endowment for International Peace მიმდინარე წელს პირველად გამოაქვეყნეს "სახელმწიფოთა არასტაბილურობის რეიტინგი". როგორც გამოკვლევებით ირკვევა, მსოფლიოში ორი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, რომელთაც დაშლის ან, სულ მცირე, სერიოზული დესტაბილიზაციის საფრთხე ემუქრებათ.

A3

სამართალი

"თავისუფლების ინსტიტუტი" - გამომძიებლისა და მოსამართლეების უკანონო ქმედებების შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" მოსამართლეებისა და გამომძიებლების უკანონო ქმედებაზე საუბრობს და მათი პასუხისმგებლობის საკითხს იუსტიციის საბჭოს, გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სვამს.

A5

რევიუ

თავისუფლების ეს მონუმენტი არ უნდა დაიდგას! მაგრამ...

მთავარი თემა: ქალაქის მონუმენტები, ზურაბ წერეთლის ჯერ არჩამობრძანებული თავისუფლების მონუმენტი.

B2

ამინდი

	10/11	11 /11
თბილისი	13	9
ტყიბული	15	12
სოხუმი	16	14
დმანისი	7	2
გორი	10	6
ონი	8	4
ზუგდიდი	17	14
ახმეტა	13	9
გაგრა	14	12
სამტრედია	17	14

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7925
ევრო	2.1105
ბირვანქა სტერლ.	3.1247
რუბლი	0.0622

ამბები	A 2
ამბები	A 3
საზოგადოება	A 4
სამართალი	A 5
სპორტი	A 6
სხვადასხვა	A 7
პროექტი	A 8
რევიუ	B 2
მეცნიერება	B 3
სხვადასხვა	B 4

ბალტიისპირეთი - კავკასიის ქვეყნების გზამკვლევი ევროპისაკენ

"გვინდა, რომ საქართველო იყოს ჩვენთან ერთად, როგორც ნატო-ში, ასევე ევროკავშირში. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიზნის განხორციელებას, ჩვენი ხელშეწყობით და დახმარებით, საქართველო აუცილებლად შეძლებს," - ასეთი დამაიმედებელი განცხადება გუშინ თბილისში ლიტვის პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა გააკეთა, რომელიც თბილისში ვიზიტით ჩამოსული ბალტიის ქვეყნის მეორე პრეზიდენტია.

პრეზიდენტების გუშინდელი მოლაპარაკების თემა სწორედ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია გახდა. პირისპირ შეხვედრის შემდეგ, თავიანთ საჯარო გამოსვლებში, მათ განსაკუთრებული ყურადღება ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობის ახალ ფორმატს დაუთმეს.

"დარწმუნებული ვარ, სხვადასხვა პოლიტიკური კონტექსტისა და არსებული კონფლიქტის მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ევროპისადმი და ევროინტეგრაციისადმი ერთიან პოლიტიკას შეიმუშავებს. სხვა გზა არ არსებობს," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

იური ლეონიძის ფოტო

საქართველომ ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის სახით კიდევ ერთი მეგობარი შეიძინა.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ეკონომიკური ინდიკატორები პრევენციაში

ზურაბ გარაყანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

წერილები III,IV
დასაწყისი №248, 249

საკმაოდ დიდი რაოდენობით აქციური საქონელი ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტული ტვირთებიდან რჩება სარეალიზაციოდ.

მაგალითად, საშუალოდ წლიურად საქართველოზე ტრანზიტის სახით გაფორმებულია 25 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების 42 ათასი ტონა ეთილის სპირტი, ხოლო იმპორტის რეჟიმით გაფორმებულია 1,8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 3 ათასი ტონა, რაც საქართველოში წარმოებული სპირტიანი სასმელებისათვის საჭირო ნედლეულის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს (გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონტროლის პალატის მონაცემებით, სპირტიანი სასმელების უმეტესი ნაწილი ქვეყანაში სწორედ იმპორტული ეთილის სპირტით იწარმოება). სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია, სავარაუდოდ, კვლავ გრძელდება. თუმცა ამ პრობლემას იმდენი გამოკვლევა მიეძღვნა, რომ აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ბათუმის საბაჟო სამმართველოს მიერ სარფში ან ბათუმში ხდებოდა "სიფ-თბილისის"(-გორის, -ქუთაისის) და ა.შ. რეჟიმით იმპორტირებული ტვირთების განბაჟება, რაც საბაჟო გადასახადების აჭარის ბიუჯეტში მთლიანად მიმართვას იწვევდა, ხოლო ტვირთები საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, პრაქტიკულად, კონტრაბანდულად შედიოდა. აღნიშნულის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აიკრძალოს ბათუმის საბაჟოზე ისეთი ტვირთების განბაჟება, რომელთაც საბაჟო რეჟიმით არ ეკუთვნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განბაჟება.

აღნიშნული მანიპულირების უმთავრესი მიზეზები რეგიონების მმართველი კლანების ეკონომიკურ ინტერესებში იმალება.

გაგრძელება A3 გვერდზე

კუპე-კუპე რესტორნები

თემურ დარახველიძე
არქიტექტორი

ზაფხულში 12 საათის განმავლობაში მიუნხენის ისტორიული ცენტრი 120 000-150 000 ადამიანს ატარებს. რას აკეთებენ ეს ადამიანები? თითქოს არაფერს. ისინი მოდიან იმისთვის, რომ იყვნენ აქ. ისინი აღიქვამენ ფეხმავალთა ზონას, როგორც ქალაქის ინტერიერს. იმედია, არანაკლები იქნება თბილისშიც უახლოეს მომავალში. ქალაქის ისტორიული ცენტრის რომელი უბნები აიღებენ ძირითად სარეკრიაციო დატვირთვებს? როგორი გეგმარებითი ურთიერთობა ექნება ამ ზონებს ავტომაგისტრალებთან? რამდენად გონივრულად იქნება გააზრებული ფეხმავალთა კავშირები? როგორი არქიტექტურული სახე ექნება ყოველივე ამას.

გაგრძელება B1 გვერდზე



იური ლეონიძის ფოტო

რიყე - რესტორნების უბანი.

ერაყში ქართველი ჯარისკაცები დაიჭრნენ

ორი დღის წინ, ერაყის ქალაქ ბაქუბაში სამშვიდობო მისიით მყოფი რამდენიმე ქართველი სამხედრო ნაღმის აფეთქების შედეგად დაიჭრა. ქართველმა ჯარისკაცებმა მხოლოდ სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღეს, ერთ-ერთ კაპრალს კი სახის არიდან ნამსხვრევის ამოსაღებად ოპერაციის გაკეთება დასჭირდა.

კობა ლიკლიკაძე
სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბატალიონი ერაყის ქალაქ ბაქუბაში მესამე თვეა, სამშვიდობო მისიით იმყოფება. დაახლოებით 300-კაციანი ქართული ქვედანაყოფი, ამერიკული ბატალიონთან ერთად, ერთადერთი სამშვიდობო ძალაა, რომელიც ბაღდადიდან 80 კილომეტრით დაშორებულ ქალაქში სამხედრო ამოცანას ასრულებს. ეს კი ნიშნავს ყოველდღიურ რეჟიმში მოძრავი პოსტების ორგანიზებას, სტრატეგიული ობიექტების დაცვას, რომელთა შორისაა ქალაქის ხიდი. ორი დღის წინ, ოთხი ქართველი სამხედრო მოსამსახურე სწორედ ამ ხიდის დაცვის დროს დაიჭრა.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ორი დღის წინ, ხიდზე გავლის დროს, დისტანციური მოქმედების ნაღმზე აფეთქდა ამერიკული სამხედრო მანქანა "ჰამერი". ნაღმის ნამსხრევებით მსუბუქად დაიჭრა სამი ქართველი ჯარისკაცი, ხოლო ერთ ქართველ კაპრალს ნამსხვრევი ყბაში მოხვდა და სასწარაფო ოპერაცია დასჭირდა. საველე ჰოსპიტალში ოპერაცია წარმატებით დასრულდა. ქართველი კაპრალის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ჩვენი მცდელობის მიუხედავად, თავდაცვის სამინისტრო ჯერ არ ამჟღავნებს ბაქუბაში, საბრძოლო ამოცანის დროს დაჭრილი კაპრალისა და ქართველი ჯარისკაცების ვინაობას, თუმცა ადასტურებს ქართველი სამხედროების დაჭრის ფაქტს, რომელიც უკვე მეოთხე შემთხვევაა ქართული სამშვიდობო კონტინგენტის ერაყში ყოფნის 2 წლის განმავლობაში. ყველაზე მძიმე შედეგი კი ამა წლის 22 მაისს მომხდარ თავდასხმას ჰქონდა, როდესაც იმავე ქალაქ ბაქუბაში მართვად ნაღმზე ამერიკული პატრული აფეთქდა. მანქანაში სამი ამერიკელ სამხედრო მოსამსახურე და ქართველი ოფიცერი მიხეილ ქუთათელაძე იმყოფებოდნენ. აფეთქების შედეგად ამერიკელი სამხედროები ადგილზე დაიღუპნენ, ლეიტენანტ მიხეილ ქუთათელაძეს ხელის და მაჯის ამპუტაცია დასჭირდა. ამჟამად მიხეილ ქუთათელაძე ამერიკის ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში გადის მკურნალობას. მას ჭრილობები მოუშუშდა და სულ მალე იგი საქართველოში დაბრუნდება. რაც შეეხება ბაქუბაში ორი დღის წინ დაჭრილ ქართველ კაპრალს, მას მკურნალობის კურსის გასავლელად მალე გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკულ სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანენ.

საპარლამენტო ქრონიკა

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის აპარატმა ახლახან შექმნილ ფრაქცია "დემოკრატიულ ფრონტს" სხდომათა დარბაზის შესასვლელთან სამი რიგი გამოუყო, მაგრამ უმრავლესობის წევრები, დავით კირკიტაძე და კობა დვალიშვილი პოლიტიკური ოპონენტებისთვის სავარძლების დათმობას არ აპირებენ.

"ჩვენი ადგილებიდან არ ავდგებით. ეგენი, სადაც გინდათ, იქ დასვით," - აცხადებენ ისინი. დავით ბერძენიშვილმა სახელისუფლებო ფრაქციას მეტად "მაცდუნებელი" წინადადებით მიმართა და შესთავაზა, თავისი წევრები სამთავრობო ლოჟის სიახლოვეს განეთავსებინა. თუმცა, კირკიტაძე შეუვალი გამოდგა და "მისამართის შეცვლაზე" კატეგორიული უარი განაცხადა. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის სიჯიუტემ მისი ის თანაფრაქციელებიც გაათამამა, ვისაც ადგილი უკვე გამოცვლილი ჰქონდა - ვან ბაიბურთმა, ლაშა მინდელმა, ზურაბ ჯგუბურიამ და სხვა დეპუტატმა კვლავ ძველი სავარძლებისკენ გაიწიეს.

ამან საკმაოდ კომიკური ვითარება შექმნა: ახლა უკვე საქმე დასწრებაზეა - სავარძელში ვინც პირველი ჩაჯდება, მისი პატრონიც ის არის. რომ არა კირკიტაძის გავლენა, ამ საკითხს პარლამენტის აპარატი, ალბათ, ადვილად მოაგვარებდა, მაგრამ...

"დემოკრატიულ ფრონტს" სულაც არა აქვს იმის პრეტენზია, რომ მაინცადამაინც ის ადგილები დაიკავოს, სადაც დავით კირკიტაძე და მისი გარემოცვა ზის. ისინი თანახმანი არიან, სადაც ეტყვიან, იქ განთავსდნენ. "დემფრონტელები" მხოლოდ ერთ მოთხოვნას აყენებენ - ერთად ისხდნენ. თუმცა ეს, ერთი შეხედვით უწყინარი "კაპრიზი", პარლამენტის აპარატს დიდ თავსატეხს უჩენს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ეკონომიკის სამინისტრომ წინანდლის რეზიდენციის ბედი 49 წლით "ამბრელა კონსალტინგს" ანდო

წინანდლის რეზიდენცია 49-წლიანი იჯარით "სილქ როუდ გრუპის" შვილობილ კომპანია "ამბრელა კონსალტინგს" გადაეცა. ეს უკანასკნელი ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტში 75 000 აშშ დოლარს შეიტანს, ხოლო ორი წლის განმავლობაში, მინიმუმ, 5 000 000 დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. საიჯარო პირობებში ჩადებულია სახლ-მუზეუმისა და არსებული ექსპონატების მოვლა-პატრონობის ვალდებულება, პერსონალის დასაქმება და თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

დიანა ჩაჩუა

გუშინ პარლამენტში წინანდლის რეზიდენციის იჯარით გადაცემის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო. ამ პროცესის მოწინააღმდეგეთა ცდის მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტრომ პოზიცია არ დათმო, იჯარით გადაცემის პროცესი არ შეაჩერა და დღის ბოლოს კონკურსში გამარჯვებულიც დაასახელა. სამინისტროს დიდხანს არ უფიქრია, ვისთვის გადაეცა წინანდლის რეზიდენცია. კონკურსში მისმა ერთადერთმა მონაწილემ, ქართული წარმოშობის "ამბრელა კონსალტინგმა" გაიმარჯვა.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ გუშინ ბრიფინგზე განაცხადა, "ამბრელა კონსალტინგი" მზად არის, სამინისტროს მიერ წაყენებული ყველა პირობა დააკმაყოფილოს. კერძოდ, გადაიხადოს საიჯარო თანხა წელიწადში 75 ათასი დოლარის ოდენობით, მომავალი 2 წლის განმავლობაში 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელოს, განავითაროს ინფრასტრუქტურა წინანდლის რეზიდენციის ტერიტორიაზე და უზრუნველყოს უძრავი და მოძრავი ძეგლების შენახვა და მოვლა-პატრონობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

საპარლამენტო ქრონიკა

პირველი გვერდიდან

■ ■ ■

გუშინ პარლამენტმა, 117 ხმით, ერთის წინააღმდეგ, პირველი მოსმენით მოიწონა კანონპროექტი "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ". მის ერთ-ერთ მუხლში ხაზგასმულია, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობა საპროკურატურო ზედამხედველობის საგანს არ წარმოადგენს.

თუმცა, ამ კანონპროექტის თანამდევ "პროკურატურის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების" განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ "კანონის პროექტი ადგენს კონტრდაზვერვით საქმიანობაზე პროკურატურის ზედამხედველობის პირობებს და გენერალურ პროკურორს ანიჭებს კონტრდაზვერვით საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებით აღჭურვილი სპეციალურად უფლებამოსილი პროკურორის დანიშვნის შესაძლებლობას."

"სრული აბსურდი და სისულელეა," - მიიჩნევს "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ირაკლი იაშვილი, რომელმაც ორ სხვადასხვა კანონპროექტში შეტანილი ურთიერთგამომრიცხავი დებულებები კენჭისყრის წინ აღმოაჩინა.

თუმცა, მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი აქ ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ხედავს. **"პროკურატურის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილება არ გულისხმობს იმას, რომ კონტრდაზვერვის ორგანოებს პროკურატურის მხრიდან ვინმე ეყოლება ზედამხედველად. უბრალოდ, როდესაც აღნიშნული ორგანოები ტექნიკურ ღონისძიებებს ჩაატარებენ, ეს ფუნქციონალურად უნდა შეთანხმდეს პროკურატურასთან. ამდენად, ეს ორი კანონპროექტი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში სულაც არ მოდის,"** - ამტკიცებს გიორგი ხუროშვილი.

ასეთ ვითარებაში გუშინდელი სხდომის წამყვანმა მიხეილ მაჭავარიანმა აღარ "გარისკა" და კანონპროექტი "პროკურატურის შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ" კენჭისყრაზე აღარ დააყენა.

ირაკლი ლეჟავა/ფოტო

ვიცე-სპიკერის უნებლიე შეცდომის გამო, კარგა ხანს იმხიარულა კობა დავითაშვილმა.

■ ■ ■

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის 49-წლიანი იჯარით გაცემის საკითხი გუშინ კიდევ ერთხელ დაისვა პარლამენტში. ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა დეპუტატებს ასეთი წინადადებით მიმართა: ვინაიდან ტენდერში მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა, მისი შედეგები გაუქმდება და გამოცხადდება ახალი ტენდერი, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების მოსაზრებები.

ამ განცხადებამ ვნებათაღელვა დააცხრო და წინანდლის თემაზე დებატები აღარ გაგრძელებულა.

■ ■ ■

საქართველოში სტუმრად მყოფი, ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი გუშინ, დღის მეორე ნახევარში სახელმწიფო კანცელარიიდან პარლამენტში "გადაიპატიჟეს". საპატიო სტუმარი ცარიელ დარბაზში რომ არ მისულიყო, ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა დილიდანვე დაიჭირა თადარიგი და დეპუტატებისთვის ამ ამბის კიდევ ერთხელ შეხსენება გადაწყვიტა.

"დღეს პარლამენტში მობრძანდება ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი პაქსასი...," - აუწყა მან კანონმდებლებს.

"რას ამბობ, მიშა, პაქსასი კი არა, ადამკუსი. ეგ პაქსასი ლიტველებმა ძლივს მოიშორეს," - ვიცე-სპიკერის უნებლიე შეცდომის გამო, კარგა ხანს იმხიარულა კობა დავითაშვილმა.

"კარგით რა, ადამიანს ერთ შეცდომას არ აპატიებთ, მაშინვე ყელში ეცემით ხოლმე," - ოპოზიციონერი დეპუტატის "სწრაფმა რეაქციამ" მიხეილ მაჭავარიანი ძალიან გაანაწყენა.

დამთმობი ნაბიჯი თუ პოლიტიკური ფანდი

საპარლამენტო ოპოზიციის გასაკვირად, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვა გადაიდო. უმრავლესობამ არჩია, კანონპროექტის ალტერნატიულ ვარიანტებს დალოდებოდა. "არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ" საკუთარი ვარიანტი გუშინ წარადგინა. ალტერნატიული კანონპროექტი "მემარჯვენეებსაც" მზად აქვთ.

ნანა ქადაგიძვილი

გასულ კვირას რეგიონული მოწყობის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის უმრავლესობამ, ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის საკუთარი ვარიანტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე გატანა გადაწყვიტა. ოპოზიციის კატეგორიული მოთხოვნა - კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტების წარდგენას დალოდებოდნენ - უყურადღებოდ დარჩა. **"საკმარისი დრო გქონდათ იმისთვის, რომ ალტერნატივა წარმოგედგინათ. უკვე დაგვიანებულია,"** - განუმარტა კომიტეტის ხელმძღვანელობამ ოპოზიციას. თუმცა, რამდენიმე დღეში კომიტეტმა აზრი შეიცვალა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანა გადადო. **"ალტერნატიულ ვარიანტებსაც დაველოდებით, რომ მერე ოპოზიციას საპრეტენზიო არ ჰქონდეს და პარლამენტის სხდომაზე კანონპროექტის სრულ პაკეტს გავიტანთ,"** - განმარტა რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ხუხუნაიშვილმა. თუმცა, ოპოზიცია უმრავლესობის ამ ნაბიჯს პოლიტიკურ ფანდს უწოდებს. **"უმრავლესობა მიხვდა, რომ პლენარულ სხდომამდე არასამთავრობოები თუ არა, ჩვენ მაინც მოვასწრებდით კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტის წარდგენას და ამიტომაც, ვითომ დათმეს,"** - აცხადებს "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე. "რესპუბლიკელ" დავით ბერძენიშვილს კი მიაჩნია, რომ ეს უმრავლესობის ფანდია და, საბოლოოდ, მაინც კანონპროექტის კომიტეტისეული ვარიანტი გავა.

შეგახსენებთ, რომ კომიტეტისეული ვარიანტის მიხედვით, თვითმმართველობის ერთეული იქნება რაიონი. ანუ, რაიონებში შემავალ სოფლებსა და ქალაქებში თვითმმართველობის ერთეულები გაუქმდება და ერთი ადმინისტრაციული ცენტრი შეიქმნება. ხოლო რომელი სოფელი რომელს შეუერთდება და ამ გაერთიანებული თემების ადმინისტრაციული ცენტრი სად იქნება, ამას სახელმწიფო განსაზღვრავს. თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭება მხოლოდ იმ ქალაქს, რომელიც რაიონის შემადგენლობაში არ შედის.

"არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციისა" და "მემარჯვენეების" მიერ შემუშავებული კანონპროექტები კი თვითმმართველობის აღნიშნული მოდელისგან არსებითად განსხვავდება. სამაგიეროდ, ძირითადი პრინციპებით ერთმანეთს ემთხვევა. ანუ, თვითმმართველობის სტრუქტურა ორი დონით განისაზღვრება - პირველი დონე - თვითმმართველი ერთეულები (თემი, ქალაქი) თავისი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოებით და მეორე დონე - მხარე, რეგიონი.

"დღეს საქართველოში, ფაქტობრივად, ოთხდონიანი მმართველობაა. ჩვენ კი არა, სამ-ოთხდონიანი მმართველობის შენახვას ვერ შეძლებს ევროპის ვერც ერთი წამყვანი ქვეყანა, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 4,5 მილიონს არ აღემატება. საქართველოსთვის ყველაზე მისაღებად ორდონიანი მმართველობა მიგვაჩნია. თვითმმართველობის პირველი დონე 378 თვითმმართველი ერთეულით უნდა განისაზღვროს. მერსა და გამგებელს მოსახლეობა აირჩევს, თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო კი პროპორციული წესით აირჩევა. მეორე დონეზე შეიქმნება სამხარეო საბჭოები, რომელსაც ასევე პროპორციული წესით, 4 წლის ვადით აირჩევენ," - მიაჩნია "არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას". თითქმის იდენტურია "მემარჯვენეთა" მოსაზრება - **"თვითმმართველობის პირველი დონე - უბანი, ქალაქი, თავისი კულტურული და ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, დაიყოფა 33 ადმინისტრაციულ ერთეულად. უბნის ხელისუფლება უბნის მმართველისგან და უბნის სათათბიროსგან იქნება შემდგარი. პირველს მოსახლეობა აირჩევს, ხოლო სათათბირო, ორი წლის ვადით, მაჟორიტარული წესით აირჩევა. მეორე დონე კი ქალაქი იქნება, რომელსაც რეგიონის სტატუსი და უფლებები უნდა მიენიჭოს."**

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის ალტერნატიულ ვარიანტებს რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში განიხილავს. შედეგი კი პლენარულ სხდომაზე გამოჩნდება.

ეკონომიკის სამინისტრომ წინანდლის რეზიდენციის ბედი 49 წლით "ამბრელა კონსალტინგს" ანდო

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ "ამბრელა კონსალტინგს" იჯარით სახლ-მუზეუმთან ერთად სასტუმრო, ღვინის ქარხანა, ენოთეკა, ეზო და ვენახი გადაეცა.

წინანდლის სახლ-მუზეუმის იჯარით გადაცემის პროცესს გუშინ ხელი ვერც "კონსერვატიული პარტიის" სარჩელმა შეუშალა. როგორც "კონსერვატორები" აცხადებენ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სარჩელის სასამართლოში მიღება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ამ შემთხვევაში მინისტრის ბრძანების, მოქმედებას აჩერებს.

"ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, როგორც მოპასუხე მხარეს, საქალაქო სასამართლოდან სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე შეტყობინება არ მიუღია," - აცხადებდა თავის მხრივ ეკონომიკური განვითარების მინისტრი. მისი თქმით, ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს საიჯარო ხელშეკრულებაზე მუშაობა, რომლის დასრულების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდება. ხელშეკრულება, მინისტრის თქმით, ოპონენტებსაც გადაეგზავნება, რომელთა შენიშვნების მიღების შემდეგ გამარჯვებულ კომპანიასთან შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდება.

გუშინდელ ბრიფინგზე, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გოკა გაბაშვილიც ესწრებოდა, წინანდლის პერსპექტივებზეც ისაუბრეს. წინანდალი ტურისტულ ცენტრად იქცევა, - აცხადებდა ჩოგოვაძე. **"ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც კულტურულ მემკვიდრეობაში ფული ჩაიდება. ვიმედოვნებ, რომ ეს არ იქნება უკანასკნელი პრეცედენტი, მსგავსი მიდგომები სხვა კულტურულ მემკვიდრეობაზეც გაგრძელდება,"** - განაცხადა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა. როგორც მანვე დასძინა, სამინისტროს უფლება ექნება, წელიწადში ორჯერ დეტალურად განახორციელოს წინანდლის რეზიდენციის ინვენტარიზაცია და სრული მონიტორინგი.

"ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" შესაძლოა, "ჭიათურმანგანუმით" დაინტერესდეს

ეკონომიკური განვითარების სამინისტროზე განაწყენებულმა ქართულ-ბრიტანულმა კომპანია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" სასამართლოში ჩივილი გადაიფიქრა. მეტიც, კომპანიის დამფუძნებელი, "აზიის გლობალური შესაძლებლობების ფონდის" (Asian Global Opportunity Fund) წარმომადგენელი ფლორან კრისტოლი ქვეყნის საინვესტიციო კლიმატს დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ საქართველო არის სერიოზული პლატფორმა ბიზნესის განვითარებისთვის. AGOF უახლოეს მომავალში საქართველოში ინვესტიციების დაბანდებას და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

ეთერ მამულაშვილი

შეგახსენებთ, რომ "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" დაახლოებით ერთი კვირის წინ, სს "მადნეულზე" გამოცხადებულ კონკურსში დამარცხდა. მაშინ კომპანიის წარმომადგენლები ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მათთან მიმართებაში უსამართლო გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებდნენ და ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასაც არ გამორიცხავდნენ. როგორც ირაკლი მგალობლიშვილმა, "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" იურიდიულმა მრჩეველმა გუშინ ჟურნალისტებისთვის მოწყობილ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, სასამართლოში გასაჩივრება მათ უცხოელ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ გადაიფიქრეს.

აი, რა განაცხადა გუშინ "აზიის გლობალური შესაძლებლობების ფონდის" წარმომადგენელმა ფლორან კრისტოლმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს: **"ვფიქრობთ, რომ "მადნეულის" პრივატიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება კონკრეტულად სამინისტრომ მიიღო და არა საქართველოს მთავრობამ. მიგვაჩნია, რომ თქვენი ქვეყნის მთავრობა ნორმალური ბიზნეს-გარემოს შესაქმნელად მაქსიმუმს აკეთებს."**

ფლორან კრისტოლმა აღნიშნა, რომ მისი ფონდი საქართველოთი განსაკუთრებულად არის დაინტერესებული, რადგან **"თქვენს ქვეყანას მივიჩნევთ, როგორც სერიოზულ პლატფორმას ბიზნესის განვითარებისთვის, განსაკუთრებით - მეტალურგიაში, უფრო კონკრეტულად, თუჯის წარმოებაში. ჩვენი ფონდი ორიენტირებულია, ისეთ სფეროებში ჩადოს ინვესტიციები, სადაც ამჟამად წარმოების თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაა."**

შეგახსენებთ, რომ "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" საქართველოში უკვე ფლობს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ერთ ნაწილს, სადაც, ირაკლი მგალობლიშვილის თქმით, კომპანია უახლოეს მომავალში ერთი მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს. კომბინატი კომპანიამ ცოტა ხნის წინათ 22 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა, რომლის 50 პროცენტს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" ხვალ გადაიხდის.

"თუჯი" კიდევ ერთი ის საწარმოა, რომელსაც ხსენებული კომპანია 2004 წლიდან ფლობს და სადაც, ფლორან კრისტოლის თქმით, ბოლო ერთი წლის მანძილზე 15 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო.

როგორც ირაკლი მგალობლიშვილმა საინფორმაციო სააგენტო "მედია-ნიუსს" განუცხადა, შესაძლოა, "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" რუსთავში დოლომიტის საამქროც შეიძინოს, თუკი მას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასაყიდად კიდევ ერთხელ გამოიტანს. სამინისტრომ დოლომიტის საამქროზე ტენდერი ერთხელ უკვე გამოაცხადა, რომელშიც კომპანია "თედოილმა" გაიმარჯვა, თუმცა ამ უკანასკნელმა მოგვიანებით საჭირო თანხა ვერ გადაიხადა.

კიდევ ერთიობიექტი, რითაც შესაძლოა, "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" და მისი დამფუძნებელი "აზიის გლობალური შესაძლებლობების ფონდი" დაინტერესდეს, ეს "ჭიათურმანგანუმია", რომელზეც კონკურსის გამოცხადებას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კიდევ ერთხელ აპირებს : **"ზოგადად, ამ საწარმოს მიმართ ჩვენ ინტერესი მართლაც გაგვაჩნია, თუმცა დაველოდებით სამინისტროს გადაწყვეტილებას, თუ რა პირობით გაყიდის ის ჭიათურმანგანუმს."**

საინტერესო დეტალი: ჭიათურმანგანუმით კიდევ ერთი უცხოური კომპანიაა სერიოზულად დაინტერესებული. ეს "სთენთონ ექვითის ქორფორეიშენია", რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ "მადნეულის" კონკურსში გაიმარჯვა. შესაბამისად, ადვილი შესაძლებელია, რომ "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" და "სთენთონ ექვითიზ კორფორეიშენი" ერთმანეთს კიდევ ერთხელ, ამჯერად "ჭიათურმანგანუმის" გამო დაუპირისპირდეს.

გუშინვე "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან იმ 3 მილიონ 500 ათასი აშშ დოლარის უკან დაბრუნება ითხოვა, რომელიც კომპანიამ სს "მადნეულის" კონკურსის დროს გადაიხადა. სამინისტროში აცხადებენ, რომ "ენერგია ინდუსტრია კომპლექსს" კუთვნილი თანხა, კანონის თანახმად, განაცხადის შეტანიდან უახლოესი ათი დღის განმავლობაში დაუბრუნდება. "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა" მსგავსი განაცხადით სამინისტროს ორი დღის წინ მიმართა.

რუსთაველზე სახალხო სეირნობა უქმდება

საკრებულომ კულტურისა და განათლების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობის ერთწლიანი მუშაობა დამაკმაყოფილებლად, ანუ სამიანზე შეაფასა. ამ სამსახურში პრობლემების უმრავლესობა მოუგვარებელია. სკოლებისა და ბაღების ინვენტარით უზრუნველყოფა და სახურავების შეკეთება ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება...

თამარ ქორიძე

საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომისიის გუშინდელ სხდომაზე ქალაქის განათლებისა კულტურის სამსახურის უფროსმა ნატა მაჩალაძემ წლიური ანგარიში წარადგინა. მაჩალაძის ბოლო თვეების საქმიანობაში პროგრესი შენიშნა უმრავლესობამ, რასაც მემარჯვენე ოპოზიციაზე ვერ ვიტყვით. **"მერე რა, რომ სასკოლო ინვენტარის შეძენასა და სახურავების გადახურვას ვერ ახერხებენ, სამაგიეროდ, ტაშ-ფანდურის გასამართად ძალ-ღონეს არ იშურებენ. რუსთაველის გამზირზე ყბადაღებულ "სახალხო სეირნობაში" ათასებს ხარჯავენ, როცა უამრავი სოციალურად დაუცველი ადამიანი დახმარებას ამაოდ ელის,"** - აცხადებს ოპოზიცია.

რუსთაველის გამზირზე სახალხო სეირნობა ქალაქის მთავრობამ უკვე შეაჩერა, თუმცა არა ოპოზიციის მოთხოვნით. ნატა მაჩალაძის განცხადებით, სახალხო სეირნობები, რომელზეც ბიუჯეტიდან 21 კვირის განმავლობაში 127 861 ლარი დაიხარჯა, დროებით შეჩერდება. **"მსგავსი ღონისძიება აუცილებლად იარსებებს, თუმცა დაზუსტებით არ ვიცით, რუსთაველის ნაცვლად რომელ ქუჩაზე გადავიტანთ,"** - აღნიშნა მაჩალაძემ.

რაც შეეხება, სამომავლო ღონისძიებებს, 23 ნოემბრისთვის მერიის ხარჯებით მხოლოდ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტს ჩამოასვენებენ. საახალწლო ღონისძიებისთვის კი ქალაქის ბიუჯეტიდან 130 ათასი ლარი გამოიყოფა. თუმცა, კონკრეტული ღონისძიებები ჯერ უცნობია.

2009-2010 წლისთვის ერთ დაბადებულთან მიმართებაში ხუთით მეტი გარდაიცვლება

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი ავთანდილ სულაბერიძე საქართველოში დემოგრაფიულ მდგომარეობას საგანგაშოდ მიიჩნევს. "თუ საქართველოში დეპოპულაცია გაგრძელდება, მაშინ 2009-2010 წლისთვის ერთ დაბადებულთან მიმართებაში ხუთით მეტი გარდაიცვლება," - განაცხადა ავთანდილ სულაბერიძემ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით კი, თბილისში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ბუნებრივი მატების ზრდის ტენდენციაა დაფიქსირებული. ბუნებრივი მატება შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა სხვაობით განისაზღვრება.

2004 წელს დედაქალაქში 14,369 ბავშვი დაიბადა, ხოლო 10,150 ადამიანი გარდაიცვალა. 2000 წელს ბუნებრივი მატება - 1,8 კოეფიციენტი იყო; 2001 წელს - 1,9; 2002 წ - 1,8; 2003 წელს - 2,3. რაც შეეხება 2005 წლის 6 თვის მაჩვენებელს, ამ პერიოდში დაიბადა 7.096 ბავშვი, ხოლო 5.361 ადამიანი გარდაიცვალა. ავთანდილ სულაბერიძეს, რომელმაც ზემოთ აღნიშნულ რიცხვებს "ხელოვნურად გაზრდილი" უწოდა. მისი თქმით, თბილისში შესაძლოა, ბუნებრივ მატებას განაპირობებდეს რაიონებიდან ჩამოსული მშობიარე დედები, ან კიდევ სხვა ეროვნების შობადობის მაღალი მაჩვენებელი. მათ შორის, თბილისში ყველაზე მაღალი შობადობის მაჩვენებელია ქურთებში, სომხებსა და აზერბაიჯანელებში. ექსპერიმენტული სოციალური გამოკვლევებით დადგინდა, რომ მასშტაბით დეპოპულაციაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი შობადობაზე მაღალია. მისი თქმით, 2003 წელს დაიბადა 36 ათასი, ხოლო გარდაიცვალა 48 ათასამდე ადამიანი. **ჯი-ეჩ-ენი**

მოკლედ

გზებზე გადატვირთული ავტომანქანების სიარული აიკრძალება

საავტომობილო გზებზე ზედმეტად დატვირთული ავტომობილების გავლა აიკრძალება. აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში კი საკმაოდ დიდი ოდენობის ჯარიმა დაწესდება.

გუშინ პარლამენტმა მესამე მოსმენით, 125 ხმით ერთის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა საავტომობილო გზების შესახებ კანონში შესაბამის ცვლილებებს და ასევე მიიღო აღნიშნული კანონიდან გამომდინარე ცვლილებები, რომელიც სხვა მოქმედ ნორმატიულ აქტებში შევიდა. ცვლილებების მიხედვით, საბაჟო ორგანოებს აეკრძალათ, ასევე, ისეთი მანქანის ქვეყნის ტერიტორიაზე შემოყვანა, რომელიც ზენორმატიულადაა დატვირთული, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით განისაზღვრა ჯარიმის ოდენობა, ყოველ გადაჭარბებულ ტონაზე 5 ათასი ლარის ოდენობით. ცვლილებების მიხედვით, საავტომობილო ღერძზე დატვირთვა 10 ტონას არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული ცვლილებების მიზანია, საქართველოს საავტომობილო გზები აღნიშნულის გამო გამოწვეული დაზიანებისაგან დაიცვას. **ჯი-ეჩ-ენი**

თბილისის მერიას კონტროლის პალატა ამოწმებს

თბილისის მერიას კონტროლის პალატა ამოწმებს, რომელიც მუნიციპალიტეტში რამდენიმე დღის წინ შევიდა. როგორც თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა განაცხადა, მერიაში კონტროლის პალატა გეგმიურ შემოწმებას ატარებს, რომელიც წელიწადში ერთხელ ყველა სამსახურში ტარდება. პრემიერის განცხადებით, კონტროლის პალატა ქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს შეამოწმებს, ასევე ცალკეული საქალაქო სამსახურების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვითაც დაინტერესდება. პრემიერი არ ფლობს ინფორმაციას, რომელი საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო სახსრებს შეისწავლის კონტროლის პალატა.

სწორედ კონტროლის პალატის დაინტერესებას მიუძღვნა საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტმა" საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამართული გუშინდელი სხდომა. სხდომაზე საქალაქო ბიუჯეტში მორიგი შიდა ცვლილებების საკითხები განიხილეს. ფრაქცია "ლეიბორისტის" თავმჯდომარის გიორგი გუგავას განცხადებით, აღნიშნული საბიუჯეტო ცვლილებებით ქალაქის ხელისუფლება უკანონოდ გადანაწილებული თანხების "გაპრავებას" აპირებს. **ინტერპრესნიუსი**

უშიშროების აკადემიაში შეჭრილმა დევნილებმა შენობა დატოვეს

გლდანი-ნაძალადევის რაიონში, უშიშროების აკადემიის კუთვნილ შენობაში შეჭრილ დევნილებს შენობა დაატოვებინეს. ამავე რაიონის გამგებლის ნიკოლოზ ხაჩრაშვილის განცხადებით, 22-მა ოჯახმა, რომელიც უშიშრობის აკადემიის შენობაში შეიჭრა, დაკავებული ფართი მოლაპარაკების საფუძველზე დატოვა. "დევნილებმა გამგეობაში ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ, რომელიც მათ სტატუსს და ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს განსაზღვრავს. საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ რაიონის გამგეობა მათთვის დროებითი საცხოვრებელის მოძიებაზე იზრუნებს," - განაცხადა ხაჩიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

საკაშვილი პენსიონრებს მომავალი წლიდან პენსიის გაზრდას ჰპირდება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი პენსიონრებს მომავალი წლიდან პენსიების გაზრდას ჰპირდება. ამის შესახებ მიხეილ საკაშვილმა გუშინ მუხიანის დასახლებაში მზრუნველობას მოკლებული ადამიანებისთვის უფასო სასადილოს პრეზენტაციაზე განაცხადა. საკაშვილის თქმით, პენსიები მომავალი წლიდან აუცილებლად გაიზრდება, უპოვართათვის და გაჭირვებული მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი იქნება ასევე სიღარიბის დაძლევის პროგრამის ამოქმედებაც. მის მოწოდებას, რომ ბიზნესმენებს გაეღოთ გარკვეული თანხები, რათა ქვეყანაში უპოვარ ადამიანთათვის დახმარების გაწევა მოხერხებულიყო, როგორც თავად განაცხადა, რამდენიმე ბიზნესმენი უკვე გამოეხმაურა. "ვინც ამ მოწოდებას უახლოეს მომავალში გამოეხმაურება, პირად მეგობრად ჩავთვლი და ამისათვის დიდ მადლობას გადავუხდი," - განაცხადა პრეზიდენტმა საკაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ეკონომიკური ინდიკატორები პრევენციაში

პირველი გვერდიდან

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით საჭიროდ მიგვაჩნია გამოვყოთ ის ძირეული და კატალიზატორული მაჩვენებლები, რომელთა ფორმალიზება შესაბამის წონებში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საშუალებას მისცემს, ადრეულად გამოავლინოს ცალკეული რეგიონის ეკონომიკური სეპარატიზმისაკენ მისწრაფება. მთავარია, საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით სწორად განსაზღვროს ინდიკატორები.

იმდენად, რამდენადაც ამ პროექტის ძირითადი ელემენტია მაჩვენებლების კომბინაცია, აუცილებელია ამ კომბინაციის ანალიზის სიზუსტე. ეს კეთდება შესაბამისი ცხრილის საშუალებით. **ცხრილის სვეტებია ძირეული პირობების ინდიკატორები, ხოლო ცხრილის ჰორიზონტალური სტრიქონები - კატალიზატორული ინდიკატორები.** ცალკეული ცხრილი ასახავს მოცემულ ტერიტორიაზე რომელიმე პერიოდში არსებულ დაძაბულობას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ცხრილში მონაცემების შეტანა ხდება "როიტერ"-ის საერთაშორისო საინფორმაციო ქსელიდან. თუმცა ცალკეულ ქვეყანაში, მაგალითად - საქართველოში, ამ პროექტის დანერგვის შემთხვევაში, მონაცემთა შეტანა შეიძლება ეუს-ს აპარატიდან სპეცსამსახურის რომელიმე რეგიონულ ქვედანაყოფებს დაევალოს.

მაგალითად, განვიხილოთ 2004 წლის მაისამდე სიტუაცია, ანუ აჭარის რევოლუციამდე პერიოდი. ზემოთ განხილული ცხრილის გამოყენებით. განვსაზღვროთ რევოლუციამდელი **ძირეული ინდიკატორები**:

1)ავტონომიიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადმორიცხული საერთო-სახელმწიფო გადასახადების თანაფარდობა გრძელვადიანი ნორმატივებით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულ ანალოგიურ გადასახადებთან=0:100

2)საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების საბიუჯეტო დავალებების შესრულების თანაფარდობა=0:100

3)არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის განაწილების თანაფარდობა=0:100

4)სპეციალური სახელმწიფო ფონდებისადმი კუთვნილი საბიუჯეტო დავალების შესრულება=0:100

5)ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, ასევე ერთობლივი (პარიტეტული) საინვესტიციო პროგრამებით დაფინანსების თანაფარდობა ადგილობრივ ანალოგიურ პროგრამებთან=0:100

6)ავტონომიის და ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის სხვა ვალუტებთან მიმოქცევის თანაფარდობა=80:20

7)ავტონომიისადმი ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაცემული ტრანსფერტის თანაფარდობა რეგიონის მიერ ცენტრალური ბიუჯეტისადმი ნაკისრი საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულებასთან=100:0

გარდა აღნიშნულისა, გამოვყოთ **კატალიზატორული ინდიკატორები**:

c1)ავტონომიის ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური (ფედერალური) უწყებების (თავდაცვის, საზღვრის დაცვის, შინაგან საქმეთა, პროკურატურის, დაცვის სპეცსამსახურის და ა.შ.) დაფინანსების თანაფარდობა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების დაფინანსებასთან=0:100

c2)ავტონომიაში განხორციელებული რეფორმების თანაფარდობა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებთან (პრივატიზებული და სახელმწიფო საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის, მშპ-ს ზრდის ტემპის, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს წილის, ექსპორტით იმპორტის გადაფარვის თანაფარდობები)=30:70

c3)ავტონომიაში წარმოებული საექსპორტო პროდუქციის თანაფარდობა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით წარმოებულ ანალოგიურ პროდუქციასთან=10:90

c4)ქვეყანაში მიღებული უცხოური ჰუმანიტარული (საკრედიტო, საგრანტო) დახმარებების თანაფარდობა ავტონომიაში მიღებულ ანალოგიურ დახმარებებთან=50:50

c5) ცენტრთან (ქვეყნის სხვა რაიონებთან) სატრანსპორტო კომუნიკაციების და მოსაზღვრე ქვეყნებთან ანალოგიური კომუნიკაციების თანაფარდობა=90:10

c6) ელექტროგადამცემი ქსელების ცენტრთან (ქვეყნის სხვა რაიონებთან) და მოსაზღვრე ქვეყნებთან ანალოგიური ქსელების თანაფარდობა=90:10

შევადგინოთ ცხრილი 2004 წლის 6 მაისის მონაცემებით:



ავტონომიის მდგომარეობის გამარტივებული მოდელი (აჭარა, 2004წ. მაისის დასაწყისი).

ცხრილის თითოეული უჯრა (ვთქვათ, 2-C3) არის ერთი ძირეული პირობის და ერთი კატალიზატორული ინდიკატორის გადაკვეთა. ინდიკატორების გამარტივების მიზნით, ისინი ისე არიან დაყოფილნი, რომ თითოეული არის მართალი ან მცდარი (არსებობს ან არ არსებობს) მოცემულ ტერიტორიაზე მოცემულ პერიოდში. ამის მიხედვით, კვადრატში შეიძლება **აისახოს ოთხი წონიდან (ღირებულებიდან) ერთ-ერთი:**

გადამკვეთი ხაზები: ორივე, ძირეული და კატალიზატორული პირობები სახეზეა (მართალია);

ვერტიკალური ხაზები: ძირეული პირობები სახეზეა, კატალიზატორული - არა;

ჰორიზონტალური ხაზები: ძირეული პირობები - არაა, კატალიზატორული - არის;

ხაზები არაა: არც ძირეული და არც კატალიზატორული პირობები არ არის. თითოეული ეს კონფიგურაცია შეიძლება მოვიაზროთ, როგორც თემატური რუკა, რომელიც იმ დროს რეგიონში არსებულ სიტუაციას ასახავს. უფრო კონკრეტულად, ცხრილი 1 გამოხატავს მდგომარეობას აჭარაში 2004 წლის მაისის დასაწყისში. ნაწილობრივი და ძალზე გამარტივებული დიაგრამა წარმოდგენილია იმის გამო, რომ ცხრილი, რომელიც ასახავს ინდიკატორთა ფართო ოდენობას, შეიძლება წარმოდგენილი იქნას 40 სვეტად და 30 სტრიქონად. **ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში** (უჯრა 2-C3) ჩანს, **რომ 2004 წლის პირველ ნახევარში სახეზეა ხშირი ვერტიკალური ხაზები (ვერტიკალი 2-"საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების საბიუჯეტო დავალებების შესრულების თანაფარდობა"), ანუ ავტონომია არ რიცხავდა ცენტრის კუთვნილ საბიუჯეტო გადასახადებს, ე.ი. კონფლიქტის ძირეული პირობა სახეზეა; თუმცა, არის მხოლოდ ერთი კატალიზატორული, ჰორიზონტალური ხაზი (ჰორიზონტალი C3 - "ავტონომიაში წარმოებული საექსპორტო პროდუქციის თანაფარდობა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით წარმოებულ ანალოგიურ პროდუქციასთან"), ანუ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში 10:90-თან დომინანტობას აჭარის გამოყოფის პროვოცირება იმ დროს ჯერ არ მოუხდენია.**

შემდეგი ნაბიჯია მოდელის ან კონფიგურაციის კვლევა. პროცედურა მოიცავს კომპიუტერული პროგრამის მოდელის სკანირებას რამდენიმე (საქართველოსთვის - იდეალში ყველა) ავტონომიის ან რაიონის სპეციფიკური მოდელების მიხედვით. პოულობს რა მოდელის პროგრამა კონფიგურაციას, რომელიც ჩნდება კონფლიქტის წინ რამდენიმე თვის განმავლობაში, თანაც მზარდი სიხშირით, ანიჭებს ამ კონფიგურაციებს გარკვეულ წონებს და თუ კონფიგურაცია გახშირდება, ახდენს კონფლიქტის საფრთხის ადრეულ გამოვლენას.

აღნიშნული პროექტის განხორციელება ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭოს, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხის კონსტიტუციურად გადაწყვეტამდე, საშუალებას მისცემს განახორციელოს ეკონომიკური სეპარატიზმის მონიტორინგი.

ასე მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში უკვე დღეს არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი საფრთხეები, როგორებიცაა (ჩვენი ცხრილით) - **ვერტიკალები:** მე-5 (პრაქტიკულად, არანაირი ერთობლივი საინვესტიციო პროგრამები), მე-6 (რუსული, აზერბაიჯანული და სომხური ვალუტების თანაფარდობა ლართან), მე-7 (მნიშვნელოვანი სახელფასო და საპენსიო დავალიანებები), და **ჰორიზონტალები:** c2 (პრაქტიკულად, სამხრეთ საქართველოს ზოგ რაიონში ეკონომიკური რეფორმების ტემპები და მშპ-ს ზრდა რამდენჯერმე ჩამორჩება ცენტრს, რის გამოც კონტრაბანდა ამ რეგიონების მოსახლეობის ძირითად საქმიანობად გადაიქცა), c3 (რაიონებში პრაქტიკულად არ იწარმოება საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქცია საერთაშორისო ბაზრისთვის), თუმცა მაღალია c5 და c6 ჰორიზონტალების თანაფარდობათა წილი. ამ ინდიკატორებით ეს რაიონები თვით რევოლუციამდელ აჭარასაც კი უსწრებენ. მაგალითად, გამოდგება "აშტოკეი-ნინოწმინდის" ელექტროგადამცემი ხაზი ჯავახეთში, უკონტროლო გზები აზერბაიჯანის და სომხეთის საზღვრებთან და, იმავდროულად, თბილისთან დამაკავშირებელი გზების პრაქტიკულად უქონლობა.

ბალტიისპირეთი - კავკასიის ქვეყნების გზამკვლევი ევროპისაკენ

პირველი გვერდიდან

იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვალდას ადამკუსის ინიციატივას "სამი პლუს სამი" ფორმულით თანამშრომლობის ახალი ფორმატის შექმნის თაობაზე, რომელიც ერთმანეთს ბალტიის სამ და სამხრთ კავკასიის სამ ქვეყანას დაუკავშირებს. ახალი ფორმატის მიხედვით, ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი შეხვედრა უკვე დეკემბერში გაიმართება ლიუბლიანაში.

გარდა ამისა, ლიტვის ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს ახალ მეგობარ ქვეყანათა ჯგუფი, რომელშიც ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი და პოლონეთი არიან განევრიანებული.

"ლიტვა ჩვენთვის სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. კერძოდ, ლიტვა საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ოდენობით დაახლოებით ხუთჯერ აღემატება. ჩვენ ეს გამოცდილება აუცილებლად უნდა გავიზიაროთ," - აღნიშნა თავის მხრივ საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ლიტვის პრეზიდენტის სახით საქართველოს ძლიერი მეგობარი ჰყავს.

ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი ლიტვის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მისი ქვეყანა ყველანაირად ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას, გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას და იქნება საქართველოს აქტიური ლობისტი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

მისივე თქმით, ლიტვა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სწრაფვას თავისუფლებისკენ და დემოკრატიისკენ.

"ვარდების რეოლუციის შემდეგ, საქართველო სწრაფი ტემპებით უახლოვდება ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო სტანდარტებს," - განაცხადა ვალდას ადამკუსმა.

ლიტვის პრეზიდენტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებას და თანადგომას ჰპირდება. როგორც მან გუშინ საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ლიტვას და მთლიანად ევროპას გათავისებული აქვს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და დემოკრატიული ნორმების დამკვიდრების აუცილებლობა. ადამკუსის თქმით, ლიტვა აუცილებლად დაეხმარება საქართველოს თავისი გამოცდილებით, რათა საქართველომ ახლო მომავალში თავი ევროპული ოჯახის სრულუფლებიან წევრად იგრძნოს.

ლიტვის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო და ლიტვა შეძლებენ ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას.

გუშინვე საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალბინას იანუშკამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ინვესტიციების ხელშეწყობის და დაცვის შესახებ.

ირაკლი ჩოგოვაძემ და ლიტვის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ნერიუს ედუკიავიჩუსმა, ასევე, ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

24 საათი

უცხოეთიდან საქართველოში, დესტაბილიზაციის მიზნით, თანხები შემოდის

საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ საქართველოში ვითარების შესაცვლელად და ერთგვარი დესტაბილიზაციის გამოსაწვევად, უცხოეთიდან ქვეყანაში საკამოდ დიდი თანხები შემოდის. პრეზიდენტის განცხადებით, მას და შესაბამის უწყებებს საქართველოში აქვს სრული ინფორმაცია, თუ ვინ და რა თანხებს იღებს უცხოეთიდან იმ მიზნით, რომ ქვეყანაში არსებული ვითარება შეიცვალოს. პრეზიდენტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ დიდი თანხებია, ეს ძალები მიზანს ვერ მიაღწევენ და ქვეყანაში სიტუაციის არევას ვერ შეძლებენ. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ქართული საზოგადოება არასოდეს იტყვის უარს დამოუკიდებლობაზე, დემოკრატიასა და თავისუფლებაზე. ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა დღეს, საქართველოს პარლამენტში ლიტვის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. **ინტერპრესნიუსი**

ევროკავშირსა და რუსეთს ბელორუსში დემოკრატიის დამყარება სურთ

ევროკავშირი ბელორუსში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში შექმნილი ვითარებით შეშფოთებულია და ქვეყნის ხელისუფლებას საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისკენ მოუწოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკავშირი ბელორუსის წინაღმდეგ გარკვეულ სანქციათა დაწესებას არ გამორიცხავს. ამჟამად მოსკოვში მყოფი ევროკავშირის წარმომადგენლები რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს და ოფიციალურ მოსკოვს ბელორუსში სტაბილურობისა და დემოკრატიის დამყარების საქმეში თანამშრომლობას სთხოვენ.

ნანა ნასყიდაშვილი

ევროკავშირი ბელორუსის თვითიზოლაციითა და ქვეყანაში შექმნილი წინასაარჩევნო ვითარებით შეშფოთებულია და ოფიციალური მინსკის მიმართ გარკვეულ სანქციათა დაწესებას არ გამორიცხავს. **"წინასაარჩევნო პერიოდში ოფიციალურ მინსკზე დაკისრებულ საერთაშორისო ვალდებულებათა და ნორმათა კვლავაც დარღვევის შემთხვევაში, ევროკავშირი მზადაა ბელორუსის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სანქციები შემოიღოს,"** - აღნიშნა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა და სამეზობლო პოლიტიკის კომისარმა ბენიტა ფერერო ვალდნერმა. მისივე თქმით, 2006 წლისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს და საერთაშორისო დამკვირვებლებს მათზე დასწრების უფლება უნდა მიეცეთ.

დასავლეთი არაერთხელ აცხადებდა, რომ ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ხელისუფლება საერთაშორისო ნორმებს აშკარად არღვევს. ლუკაშენკო ქვეყნის სათავეში 1994 წელს რეფორმატორისა და კორუფციასთან მებრძოლის სახელით მოვიდა. მას შემდეგ ის 10 მილიონინან ქვეყანას სულ უფრო ავტორიტარულად მართავს. ხელისუფლება, ფაქტობრივად, სრულად აკონტროლებს სამოქალაქო საზოგადოებასა და ინფორმაციის მასობრივ საშუალებებს, ხშირია ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებიც. ექსპერტებსა და დიპლომატებს მიაჩნიათ, რომ ლუკაშენკოს საპრეზიდენტო მანდატის გაგრძელების შემთხვევაში ქვეყანაში არსებული ვითარება უკეთესობისკენ არ შეიცვლება. ბელორუსში გასულ წელს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა, რომელთა მიხედვითაც, ლუკაშენკოს ქვეყნის ლიდერის თანამდებობაზე დარჩენის საშუალება მეორე საპრეზიდენტო მანდატის ვადის ამოწურვის შემდეგაც შეუძლია.

საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

გუშინ მოსკოვში მყოფმა ევროკომისარმა განაცხადა, რომ შექმნილი ვითარების შესასწავლად 2005 წლის ბოლოს მინსკში ევროკავშირის სპეციალური კომისია ჩავა. **"იმედია, რომ კომისიის მინსკში ჩასვლის შემდეგ, ვითარება შეიცვლება და ევროკავშირს ბელორუსის მიმართ სანქციათა დაწესება აღარ მოუწევს,"** - აღნიშნა ბენიტა ფერერო ვალდნერმა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო (ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს მოქმედი თავმჯდომარე), ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ურსულა პლასნიკი (ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს შემდეგი თავმჯდომარე), ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკის კომისარი ბენიტა ფერერო ვალდნერი და ევრკავშირის საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იმყოფებიან. ევროკავშირის "ტროიკა" ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან ბელორუსში შექმნილი ვითარებაზეც გამართავს მოლაპარაკებებს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მინსკის მიმართებაში ევროკავშირსა და რუსეთს გარკვეულწილად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ, ევროკავშირი ბელორუსში შექმნილი ვითარების მოგვარებაში რუსეთზე დიდ იმედს ამყარებს. **"ევროკავშირი შეშფოთებულია ბელორუსის თვითიზოლაციით და მიგვაჩნია, რომ ოფიციალურ მოსკოვს საკმაო ბერკეტები გააჩნია იმისთვის, რომ მინსკს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისკენ უბიძგოს. ამავდროულად, რუსეთი ბელორუსში დემოკრატიის დამკვიდრებით და ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვითაც უნდა იყოს დაინტერესებული. მნიშვნელოვანია, აგრეთვე ბელორუსში სტაბილურობის დამყარება. სასურველია, რომ აღნიშნულ საკითხში ევროკავშირმა და რუსეთმა ითანამშრომლონ,"** - აღნიშნა გუშინ ბენიტა ფერერო ვალდნერმა.

საგულისხმოა, რომ მოსკოვში ვიზიტად მყოფ ევროკავშირის "ტროიკასა" და რუსეთის ფედერაციის სახელისუფლებო უწყებათა წარმომადგენელთა შორის მიმდინარე მოლაპარაკებების საკითხი ბელორუსის პარალელურად კალინინგრადს, ირანის ბირთვულ პროგრამასა და ახლო აღმოსავლეთსაც შეეხება. მხარეებს ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე ერთნაირი შეხედულებები აქვთ. კერძოდ, არც ერთ მათგანს მსოფლიო ასპარეზზე ახალი ბირთვული ზესახელმწიფოს ხილვა არ სურს.

"არშემდგარობის" ინდექსი

ავტორიტეტულმა ამერიკულმა კვლევითმა ცენტრებმა The Fund for Peace და Carnegie Endowment for International Peace მიმდინარე წელს პირველად გამოაქვეყნეს "სახელმწიფოთა არასტაბილურობის რეიტინგი". როგორც გამოკვლევებით ირკვევა, მსოფლიოში ორი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, რომელთაც დაშლის ან, სულ მცირე, სერიოზული დესტაბილიზაციის საფრთხე ემუქრებათ.

რეიტინგის საფუძველს წარმოადგენს გამოკვლევა 12 კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის პრობლემებს აერთიანებს. ანგარიშის ავტორთა აზრით, რეიტინგში მოხვედრილი ქვეყნებიდან 12-ვე პრობლემა არსებობს, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხარისხით იჩენს თავს. მაგალითად, ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება რეგიონების არათანაბარი განვითარება, ხელისუფლების კრიმინალიზაცია, დემოგრაფიული პრობლემები, ლტოლვილები, ადამიანის უფლებათა დარღვევა და ა.შ.

რაც შეეხება რუსეთს, დოკუმენტის ავტორები მის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ასახელებენ რეგიონების მისწრაფებას განსაკუთრებული უფლებების მოპოვებისაკენ ან სულაც გამოყოფისკენ.

"არშემდგართა" სიას სათავეში კოტ დ'ივუარი უდგას. ამ აფრიკულ ქვეყანას თორმეტივე კრიტერიუმის დაჯამების შედეგად ყველაზე უარესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა. სამეულში კიდევ ორი აფრიკული ქვეყანა - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და სუდანი შედის.

ალბათ, ბუნებრივია, რომ "არშემდგართა" სიას ძირითადად აფრიკული, აზიური და ლათინურ ამერიკული სახელმწიფოები "ავსებენ". 76 სახელწიფოს შორის, რუსეთის გარდა მხოლოდ ოთხი ქვეყანაა ევროპის კონტინენტიდან - ბელორუსი, უკრაინა, სერბეთი და მონტენეგრო და ბოსნია-ჰერცოგოვინა (სიაში აგრეთვე ფიგურირებს თურქეთიც, მაგრამ იგი გეოგრაფიულად მაინც უფრო აზიას მიეკუთვნება - ყოველ შემთხვევაში, მისი უდიდესი ნაწილი.).

ანგარიშის ავტორები აცხადებენ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე დიდი პრობლემები უზბეკეთსა (24-ე ადგილი) და უკრაინას აქვთ (38-ე ადგილი). აღსანიშნავია, რომ უზბეკეთი ადამიანის უფლებების დარღვევებით პირველ ადგილსაც კი იკავებს. მკვლევართა საერთო შეფასებით ამ სახელმწიფოებს შესაძლოა, უახლოეს მომავალში შეექმნას საფრთხე.

მესამე ოცეულის ქვეყნებს (მათ შორის ბელორუსს - 43-ე ადგილი, აზერბაიჯანს - 53-ე ადგილი და რუსეთს - 59-ე ადგილი) ამჟამად დაშლის საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ მომავალში ამის დიდი მანსი აქვთ. ამავე კატეგორიის ქვეყნებს მიეკუთვნება საუდის არაბეთი, თურქეთი, ვიეტნამი, ნიგერია, ფილიპინები, ირანი და კუბა.

უნდა ითქვას, რომ ამერიკელი მკვლევარების მიერ შედგენილ რეიტინგში მოხვედრა აპრიორი არ გულისხმობს, რომ ესა თუ ის სახელმწიფო აუცილებლად დაიშლება (თუმცა, რუსმა ჟურნალისტებმა სწორედ ასე აღიქვეს იგი). ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ სტაბილურობის ხარისხზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ამა თუ იმ ქვეყანას შიდა და გარე გამოწვევების გამკლავება.

გარდა ამისა, ანგარიშში მოყვანილი მოსაზრებები ვერაფრით ჩაითვლება ერთადერთ ჭეშმარიტებად. პირიქით, ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ რეიტინგი, აშკარად, სუბიექტური შთაბეჭდილებების მიხედვით არის შედგენილი.

ამ არგუმენტის მოშველიებით ზოგიერთი რუსი ექსპერტი ამტკიცებს, რომ არასტაბილურობის რეიტინგი არასერიოზული გამოკვლევაა. მაგალითად, ეროვნული სტრატეგიის ინსტიტუტის პრეზიდენტის სტანისლავ ბელკოვსკის ვარაუდით, ეს დოკუმენტი, ისევე როგორც "Transparency International"-ის მიერ მომზადებული კორუფციის რეიტინგი, მასმედიის მიერ გავრცელებულ ცნობებზე დაყრდნობით არის შედგენილი. **"ეს არ არის არასტაბილურობის რეიტინგი - იგი მხოლოდ არასტაბილურობის შთაბეჭდილების რეიტინგია. ამიტომ, მაგალითად, ბელორუსი და უკრაინა, რომელთა სტაბილურობაც უფრო ნაკლები მაჩვენებლით არის შეფასებული, ვიდრე რუსეთის, სინამდვილეში რუსეთზე გაცილებით სტაბილურები არიან. ხოლო რეალურად არასტაბილური ქვეყნები, საქართველო და მოლდოვა საერთოდ არ მოხვდნენ სიაში,"** - ამბობს ბელკოვსკი და აღნიშნულ დოკუმენტს შემქმნელთა "მედიაპიარს" უწოდებს.

24 საათი

ექვსმხრივი მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი - დამსხვრეული იმედები

ოპტიმისტური შემართების მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით განახლებული ექვსმხრივი მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი უნაყოფო აღმოჩნდა. მოლაპარაკებების მასპინძლის - ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, კვლავ შეუძლებელი აღმოჩნდა ოფიციალური ფხენიანისა და ვაშინგტონის პოზიციების ოდნავ დაახლოება მაინც.

თუმცა, შეხვედრის დაწყებისას თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო.

"ჩვენი შეხვედრის უმთავრესი ამოცანაა იმ წესების, მეთოდებისა თუ ნაბიჯების დეტალური განსაზღვრა, რაც შეთანხმებიდან შეთანხმებამდე, მოქმედებიდან მომდევნო ნაბიჯამდე მიგვიყვანს," - ასეთი სიტყვით გახსნა შეხვედრა ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ვუ დავეიმ.

"ჩრდილოეთ კორეისა და აშშ-ს დელეგაციებს შორის კვლავინდებურად ვერ ხერხდება ერთიანი განცხადებისთვის საფუძვლის მომზადება. ჩემი აზრით, ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავლის საპოვნელად საჭიროა ახალი, გაცილებით გონივრული პროექტის შემუშავება," - განაცხადა ჩინეთის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ცინ განმა.

მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე რაუნდი ოფიციალური ფხენიანისა და ვაშინგტონის პირისპირ საუბრის საწყის საფეხურად განიხილებოდა, პოზიციათა დაახლოების ნაცვლად ბირთვული პრობლემისადმი მხარეთა მიდგომები კიდევ უფრო დაშორდა ერთმანეთს.

აშშ-ს დელეგაციის მეთაურის კრისტოფერ ჰილის განცხადებით, ოფიციალური ფხენიანი მანამდე ვერ მიიღებს ვაშინგტონისგან ბირთვული ენერგიის წარმოებისათვის აუცილებელი მსუბუქი წყლის რეაქტორის ამოქმედების უფლებას, ვიდრე არ განიარაღდება და არ შეუშვებს ქვეყანაში ბირთვული სფეროს ინსპექტორებს.

"როგორც ჩანს, მხარეები მეტისმეტად განსხვავებული გზებით ცდილობენ კონსენსუსს მიაღწიონ." - აღნიშნა იაპონიის დელეგაციის წევრმა კენიშირო სასაიმ.

"ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ გვსურს ვიხილოთ ბირთვული ამბიციებისაგან თავისუფალი ჩრდილოეთი კორეა," - თქვა კრისტოფერ ჰილმა.

ადრინდელისგან განსხვავებით, ჩინელმა დიპლომატმა ვერც ის თქვა დარწმუნებით, მეხუთე რაუნდს წინამორბედების მსგავსად მოყვება თუ არა რაიმე ერთობლივი განცხადება.

ჩინელი კოლეგის აზრს იზიარებს იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელიც.

" შეთანხმების მიღწევისათვის მზადყოფნის შესახებ მხარეთა მიერ წინასწარ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, ეს ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, მხარეები მეტისმეტად განსხვავებული გზებით ცდილობენ კონსენსუსს მიაღწიონ," - აღნიშნა იაპონიის დელეგაციის წევრმა კენიშირო სასაიმ.

მომავალი შეხვედრა ისევ ექვსმხრივი ფორმატით კი სავარაუდოდ, დეკემბერში გაიმართება.

ექვსმხრივი მოლაპარაკებები 2003 წელს დაიწყო მას შემდეგ, რაც აშშ-მ ჩრდილოეთი კორეა მილიტარისტული მიზნებით ბირთვული პროგრამის შემუშავებაში დაადანაშაულა. მდგომარეობის კიდევ უფრო გართულების შემდეგ კი, ოფიციალურმა ფხენიანმა მოლაპარაკებებში ჩართულ ქვეყნებს სთხოვა, დახმარებოდნენ სამშვიდობო მიზნებით მსუბუქი წყლის რეაქტორის ამოქმედებაში.

UNOMIG МООННГ

United Nations Observer Mission in Georgia
МИССИЯ ООН ПО НАБЛЮДЕНИЮ В ГРУЗИИ

განცხადება

გაეროს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში ესაჭიროება კონტრაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ტაქსით მომსახურებას თბილისის ოფისისათვის.

შესაბამის ტაქსის სამსახურებს, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან მონაწილეობა მიიღონ ტენდერში, შეუძლიათ მიიღონ სატენდერო საბუთები გაეროს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისის ადმინისტრაციაში, კრწანისის 38, თბილისი, 14 ნოემბრიდან 2005 18 ნოემბრის ჩათვლით.

შევსებული საბუთები მოგვაწოდეთ დაბეჭდილ კონვერტში, არა უგვიანეს 24 ნოემბრისა, ადგილობრივი დროით 12.00 საათამდე გაეროს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისის ადმინისტრაციაში.

როგორ ეყრება კორუფციას საფუძველი: მოქალაქეებს აზრს აღარ ეკითხებიან

თინათინ მოსიაშვილი

"საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს...

ადამიანს უფლება აქვს, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ" (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37)

კონსტიტუცია, რომელიც ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო, უპირველესი დოკუმენტია ადამიანის უფლებებისა და, მათ შორის, გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის სფეროში. თუმცა დღეს საქართველოში ეს უფლებაც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ყოველ ნაბიჯზე ირღვევა.

დღეს, სამწუხაროდ, იკარგება ბოლო დროის არაერთი სერიოზული მონაპოვარი: დემოკრატიის ლოზუნგებით მოსულ ხელისუფლებას, როგორც ხდება ხოლმე, მოსვლისთანავე დაავიწყდა ხალხის აზრის გათვალისწინება. გადაწყვეტილებები თითქმის ყველა დონეზე ერთპიროვნულად მიიღება, კანონმდებლობაშიც ისეთი ცვლილებები შედის, რომ მაქსიმალურად ნაკლებად გაითვალისწინონ მოქალაქეთა აზრი (თუმცა კანონმდებლობაზე სხვა დროს).

ძეგლების გადატანას, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის "გაჩუქებასა" და სხვა გახმაურებულ ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, გარემოსდაცვის სფეროშიც არაერთი გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიიღება.

ფოტო: გიგა ჩიხლაძე

ფოტო: კენ გრემი

როგორ იკარგება "მზიური", იპოდრომი, ზოოპარკი...

იპოდრომის სკანდალს სხვა პრობლემები მოჰყვება. არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები აპროტესტებენ მშენებლობებს ქალაქის გამწვანებულ ზოლში.

"თუ ადრე ქალაქის ბაღების, პარკებისა და სხვა გამწვანებული ტერიტორიების ცალკეული ნაწილების მიტაცებას ჰქონდა ადგილი, ახლა ქალაქის მთავრობამ (ალბათ არა მხოლოდ საკუთარი ინიციატივით, არამედ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების უშუალო მხარდაჭერით ან სულაც პირდაპირი მითითებითაც კი) გადაწყვიტა მასიური შეტევა მიეტანა ქალაქის გამწვანებაზე. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ბოლო თვეების განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები, კერძოდ: ქალაქ თბილისის მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, უნდა მოხდეს "მზიურისა" და ზოოპარკის წითელი ხაზების გაერთიანება, ხოლო დარჩენილ ტერიტორიაზე მომზადდეს განაშენიანების გენერალური გეგმა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს რეალურად ნიშნავს იმას, რომ უახლოეს მომავალში "მზიურის" ტერიტორიის ძირითად ნაწილს საცხოვრებელი კვარტალი დაიკავებს.

ანალოგიური სიტუაციაა შექმნილი იპოდრომთან დაკავშირებითაც. აქ უკვე აშენდა რამდენიმე ნაგებობა (მრავალსართულიანი კორპუსი, ბენზინგასამართი სადგური, რესტორანი და სხვ.). დაწყებულია კიდევ ერთი მრავალბინიანი კორპუსის მშენებლობა, რომლის შეჩერებას მოითხოვს ადგილობრივი მოსახლეობა", - აცხადებს გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველი კავშირის, "ლობოს" პრეზიდენტი ლაშა ჩხარტიშვილი.

ოქტომბერში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ისინი იპოდრომის ტერიტორიის განაშენიანებას აპირებენ, თბილისელების აღშფოთება გამოიწვია. გაიმართა საპროტესტო აქციები. იპოდრომის შენარჩუნების იდეას მხარი დაუჭირეს პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა, ხელოვნების, მეცნიერების, კულტურის წარმომადგენლებმა.

"ჩვენი ორგანიზაცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება ქალაქ თბილისის გამწვანებული ტერიტორიების განაშენიანების იდეას. თბილისი ისედაც განიცდის გამწვანების ნაკლებობას (ერთ სულ მოსახლეზე გამწვანების მინიმალური ნორმის 11 კვ. მ-ის მაგიერ მოდის დაახლოებით 5 კვ. მ.), შესაბამისად, მწვანე ნარგავებით დაკავებული ტერიტორიების შემცირება უაღრესად დიდ ზიანს მიაყენებს მოქალაქეთა ჯანმრთელობას და შელახავს მათ კონსტიტუციურ უფლებას, იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში.

ეს აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობითაც. კერძოდ გამწვანებულ ტერიტორიებზე მშენებლობა აკრძალულია პარლამენტის 1998 წლის დადგენილებით, ასევე საკრებულოს 2002 წლის გადაწყვეტილებით, ასევე მთელი რიგი სხვა ნორმატიულ აქტებით", - აცხადებს ლაშა ჩხარტიშვილი.

ხელისუფლებას კი ეს გადაწყვეტილებები ხშირად ავიწყდება.

რატომ დუმდა ხელისუფლება "მადნეულთან" დაკავშირებით

1 ნოემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გადაწყვეტილება მიიღო და "მადნეულის" მფლობელის გამოსავლენად ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულად ბრიტანული კომპანია "სტენტონ ექვითიზ კორპორეიშენი" დაასახელა.

ეკონომიკური განვითარების მინისტრ ირაკლი ჩოგოვაძის განცხადებით, გამარჯვებული კომპანია, 35 100 000 აშშ დოლარის გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების დასაფარად დამატებით 16 000 000 აშშ დოლარს გადაიხდის. სამინისტროში ამტკიცებენ, რომ გამარჯვებული კომპანია, რომლის დამფუძნებელია კომპანიაა "პრომიშლენიე ინვესტორი" სამი წლის განმავლობაში შეინარჩუნებს სამუშაო ადგილებს, სახელფასო ფონდს, გაუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

რას ითვალისწინებს "სტენტონ ექვითიზ კორპორეიშენი" ბოლნისის რაიონში ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსასწორებლად? ამის გასარკვევად დავუკავშირდით კომპანიის წარმომადგენლებს, რომლებიც დაგვპირდნენ, რომ ამ ინფორმაციას უახლოეს დღეებში მოგვაწვდიან.

მანამდე კი გეტყვით, რომ CENN-ის ბოლნისის საზოგადოებრივმა გარემოსდაცვითმა საინფორმაციო ცენტრმა ბოლნისში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან ერთად არაერთი წერილი გააგზავნა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, ეკონომიკური განვითარების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრების სახელზე. ბოლნისელები პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარებას ითხოვდნენ, რათა შეფასებულიყო ზიანი, რომელიც წლების განმავლობაში საწარმოს საქმიანობის გამო მიადგა გარემოს. ასეთი აუდიტი არ ჩატარებულა. მოქალაქეებს მრავალჯერადი მიმართვის მიუხედავად პასუხი თითქმის არცერთი უწყებიდან არ მიუღიათ (თუ არ ჩავთვლით გაურკვეველ პასუხს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან).

საქართველოში ინსინერატორები მომრავლდა

ამ დღეებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ "Bechtel National, Inc."-ის მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე წარმოდგენილი ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის მშენებლობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა უნდა გასცეს. ლაბორატორიისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე აშენდება შენობა-ნაგებობათა კომპლექსი, მათ შორის ნარჩენების საწვავი მოწყობილობა (ინსინერატორი).

აშშ-სა და საქართველოს შორის სამთავრობო დონეზე გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, უნდა მოხდეს საქართველოში არსებული ბიოლოგიური პათოგენური აგენტების ("სპეციალური მავნე ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმები") კონსოლიდირება და გადაცემა უსაფრთხო საწყობში, ასევე დაკვირვება და კონტროლი ყველა სპეციალური მავნე ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმის გამოყენებაზე. საქართველოში ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიისა და საკავ-მუზეუმის მშენებლობისთვის ფულადი სახსრები აშშ-ის კონგრესმა გამოყო. პროექტი ბიოტერორიზმისკენ მიმართულ მისი გლობალური ძალისხმევის ნაწილია.

პროგრამის ძირითადი შემსრულებელია Bechtel National, Inc. (“BNI” ან “Bechtel”). საქართველოს ტერიტორიაზე პროექტის საორგანიზაციო, საკონსულტაციო, საპროექტო, საინჟინრო-ტექნიკურ და გარემოსდაცვით უზრუნველყოფას ახორციელებს “სტუდიო-3”. ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და პროექტის განხორციელების პროცესში გარემოსდაცვით მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა".

"გამას" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ლაბორატორია, რომელიც ალექსეევკასა და აეროპორტის დასახლებას შორის განთავსდება, გაცილებით უსაფრთხო იქნება, ვიდრე დღემდე არსებული, მაგალითად, ასათიანის ქუჩაზე ან ვაშლიჯვარში მდებარე ბაზები. მათი განმარტებით, პროექტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგა.

სამინისტროში გამართული შეხვედრის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ინსინერატორების მშენებლობის პროექტები სათანადოდ არ განხილულა.

ინფორმაცია პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის განხილვის შესახებ მხოლოდ წინა დღეს გამოქვეყნდა პრესაში და განხილვას სულ რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა. ნებართვების სამმართველოს უფროს ნიკოლოზ ჭახნაკიას განმარტებით, განცხადების გამოქვეყნება სამინისტროს კეთილი ნებაა, რადგან ახალი კანონმდებლობით, მათი ასეთი მოვალეობა არ აქვთ დაკისრებული (?!).

საქართველოში დაგეგმილია სხვა ინსინერატორების მშენებლობაც, კერძოდ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმერეთის სამხარეო ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის ცენტრის მინი-ინსინერატორი; ქ. თბილისის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე მშენებარე გაუვარგისებული სამედიცინო პრეპარატების, პესტიციდებისა და ნავთობური ნარჩენების განადგურების მინი-დანადგარი; გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ნარჩენების უტილიზაციისათვის განკუთვნილი მინი-ინსინერატორი (გოთუას ქუჩაზე); ვეტერინარული დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ცენტრალური ლაბორატორიის მინი-ინსინერატორი (ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის ქუჩა).

"მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე აცხადებენ, რომ ე.წ. ინსინერატორში ნარჩენების დაწვით შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს, როგორც ადამიანთა ჯანმრთელობას, ისე ბუნებრივ გარემოს. კველევებით დასტურდება, რომ საუკეთესო აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამოყენების შემთხვევაშიც კი, ინსინერატორები, სადაც სახიფათო ან მყარი ნარჩენები იწვება, გამოყოფენ ატმოსფერული ჰაერის ისეთ ტოქსიკურ დამბინძურებლებს, როგორიცაა ტყვიისა და ვერცხლისწლის ნაწილაკები და მომწამლავი ნივთიერებები - დიოქსინები. ინსინერატორის მუშაობის შედეგად ასევე რჩება მაღალტოქსიკური ფერფლი, რომელიც შემდეგ უნდა განთავსდეს ნაგავსაყრელებზე ან სპეციალურ სარკოფაგებში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინსინერატორების მშენებლობა აკრძალულია. საქართველოში კი ასეთი მშენებლობების განხილვის პროცესში საზოგადოების აზრს არ ითვალისწინებენ.

რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მონაწილეობას?

2005 წლის თებერვალში კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN) საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის განხორციელება დაიწყო. პროგრამა მსოფლიო ბანკისა და ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. მისი მიზანია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში გარემოსდაცვითი შეფასების კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

რა საჭიროა საზოგადოების ჩართვა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებათა მიღებაში? რა სარგებელი მოაქვს ამას თითოეული ჩვენგანისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის? საუბრობს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელი ლია თოდუა:

"დავიწყოთ იმით, რომ გარემოს დაცვა ცხოველებზე და მცენარეებზე ზრუნვა არ არის. გარემოს დაცვა პირველ რიგში ადამიანებზე და მათ უფლებებზე ზრუნვაა. ჩვენ ყველას გვინდა კარგი ცხოვრება, კეთილდღეობა, ეკონომიკური სიძლიერე. მაგრამ ყველას კარგად გვესმის, რომ ამ ყველაფერს აზრი არ აქვს, თუ ამასთან ერთად ვსუნთქავთ სმოგს, ვსვამთ კანალიზაციის ნარჩენებშერეულ წყალს, ვჭამთ დე-დე-ტეთი შეზავებულ საჭმელს და მთელი ცხოვრება მხოლოდ სახლების კედლებს ვუყურებთ. კეთილდღეობას თითოეული ჩვენგანი აიგივებს სუფთა და სასიამოვნო ჰაერთან, წყალთან, უსაფრთხო საჭმელთან და ბუნებაში დასვენების შესაძლებლობასთან. სწორედ ეს არის ის "გარემო", რომელიც დაცული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

ამავე დროს გარემო შეიცავს იმ ბუნებრივ რესურსებს, რომელთა მოხმარებას ეფუძნება ჩვენი ბიზნესი, ეკონომიკური შემოსავალი. იგივე გარემო არის ის ადგილი, სადაც ჩვენ ეკონომიკური საქმიანობის არამიზიდველ შედეგებს - ნაგავს, კანალიზაციას, გამონაბოლქვს, ხმაურს ვუშვებთ. ანუ ჩვენი ეკონომიკური საქმიანობით ვსპობთ გარემოს ფულისთვის და ამავე დროს ამ დაბინძურებულ და განადგურებულ გარემოში ცხოვრება არ გვინდა. არც ის გვინდა, რომ ჩვენი ეკონომიკური საქმიანობით მთელი ბუნებრივი რესურსები ერთბაშად ამოვწუროთ და ხვალ მშივრები დავრჩეთ.

ანუ გარემოს დაცვა საბოლოო ჯამში არის ადამიანის სხვადასხვა მოთხოვნილებათა დაბალანსება. გარემოს, როგორც რესურსის გამოყენების რეგულირება იმისათვის, რომ ეს რესურსი არ გაჩანაგდეს, არ ამოიწუროს. გარემოს დაცვა არის ყაირათიანობის პოლიტიკა.

არის კიდევ ერთი მომენტი: დედამიწა პატარაა, ჩვენ, ადამიანები კი უკვე ძალზე ბევრნი ვართ. არ არსებობს თითოეულისათვის "ცალ-ცალკე, მეტ-ნაკლებად იზოლირებული გარემოს" უზრუნველყოფის შესაძლებლობა. გარემო საერთო მოხმარების სიკეთეა. თითოეული ჩვენგანის მიერ ამ საერთო საკუთრების მოხმარების სამართლიანობის დარეგულირება აკისრია სახელმწიფოს და დღეს ესეც ნაწილობრივ გარემოს დაცვის ფუნქციაა.

აღიარებულია, რომ გარემოს დაცვა არის აუცილებელი პირობა დედამიწაზე (ანუ შეზღუდული ბუნებრივი რესურსების პირობებში) ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური მდგრადობისათვის.

წარმომადგენლობითი დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა, დელეგირებული ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისადმი და მათ მიერ დანიშნული ხელისუფლების ორგანოებისადმი. დემოკრატიის აუცილებელი პირობაა ხელისუფლების ანგარიშგება ხალხის წინაშე და მისი კონტროლი ხალხის მიერ.

საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში, პირველ რიგში, შედეგად მოაქვს მთავრობის მეტი გამჭვირვალობა, საზოგადოების მიერ მისი მეტი კონტროლი, რაც შესაბამისად, მნიშვნელოვნად ამცირებს კორუფციული სენის გავრცელების შესაძლებლობას სამთავრობო სტრუქტურებში. მაგრამ საზოგადოების მონაწილეობის მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების (მათ შორის, ძალზე მცირერიცხოვანის, რომელთაც არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ ხელისუფლებაში წარმომადგენელი არ ჰყავთ) ინტერესების გამოვლენის და გათვალისწინების ლეგალური მექანიზმი. ამ თვალსაზრისით იგი, პირველ რიგში, წვრილი ბიზნესის, ან თითოეული ჩვენგანის, როგორც პოტენციური ბიზნესმენის ინტერესებს იცავს.

დავუფიქრდეთ: თითოეული საქმიანობა, რომელიც გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს (ანუ გარემოს, როგორც რესურსის მნიშვნელოვან წილს მოიხმარს) საკმაოდ მნიშვნელოვნად ცვლის თითოეული ჩვენგანის, როგორც პოტენციური ან არსებული მეწარმის ბიზნეს-საქმიანობის შესაძლებლობებს, არეალს, პერსპექტივებს. ჩვენი გეგმების შესახებ სახელმწიფომ არ იცის (და არც უნდა იცოდეს - სწორედ ეს არის თავისუფალი მეწარმეობის არსი). ამიტომ იგი მათ ვერ დაიცავს! საზოგადოების მონაწილეობა არის ის ერთადერთი მექანიზმი, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ინტერესის ლეგიტიმურად დაფიქსირება და დაცვა. განსაცვიფრებელია, რაოდენ მცირედ იყენებენ არსებული და პოტენციური მცირე მეწარმეები ამ უნიკალურ შესაძლებლობას!

საზოგადოების მონაწილეობა საჯარო დაწესებულებებისათვისაც მომგებიანია. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების მიღებაში ხალხის მონაწილეობა არ ნიშნავს გადაწყვეტილების უშუალოდ ამ მონაწილე ხალხის მიერ მიღებას, ან მის მიღებაზე პასუხისმგებლობის ამ ხალხზე გადანაწილებას. აქ არ იგულისხმება პლებისციტების მოწყობა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებას საბოლოო ჯამში კვლავ საჯარო მოხელეები, თანამდებობის პირები ირებენ და პასუხისმგებლობაც მის სისწორეზე მათ ეკისრებათ. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რაც უნდა კომპეტენტური მოხელეებით იყოს დაკომპლექტებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები, საკითხში დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის აქვთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მთავრობას არ გააჩნია. მეტი ინფორმაციის გათვალისწინება კი გადაწყვეტილების მიმღებს ბუნებრივია მეტად აზღვევს შეცდომის დაშვებისგან".

მოკლედ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა ეფექტური და კორუფციისაგან დაცული გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას იძლევა. საქართველოს ხელისუფლება კი ამ საშუალებას შეგნებულად თუ შეუგნებლად არ იყენებს.

Caucasus Environmental NGO Network CENN
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

"თავისუფლების ინსტიტუტი" - გამომძიებლისა და მოსამართლეების უკანონო ქმედებების შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" მოსამართლეებისა და გამომძიებლების უკანონო ქმედებაზე საუბრობს და მათი პასუხისმგებლობის საკითხს იუსტიციის საბჭოს, გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სვამს.

"თავისუფლების ინსტიტუტი" გენერალურ პროკურატურას ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებლის გიორგი ლაცაბიძის საქმიანობის შესწავლის მოთხოვნით მიმართავს. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის თეა თუთბერიძის განცხადებით, გამომძიებელმა უკანონო დადგენილება მიიღო, რითაც ბრალდებულს საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება არ მისცა. საუბარია, გამომძიებლის მიერ 11 აგვისტოს გამოტანილ დადგენილებაზე, რომლის საფუძველზეც, მან ორ ადვოკატს - ციხელაშვილსა და ხარებავას საადვოკატო უფლებამოსილება ჩამოართვა. **"ეს არის უპრეცედენტო დადგენილება, რომელიც მუზეუმში უნდა ინახებოდეს. ამით გამომძიებელმა უხეშად დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რადგან, მოქმედი კანონმდებლობით, გამომძიებელს ადვოკატის გათავისუფლების უფლება არ გააჩნია",** - აცხადებს თეა თუთბერიძე.

გამომძიებელმა გიოშვილმა აღნიშნული დადგენილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე და 84-ე მუხლების მითითებით გამოიტანა. თუმცა, ეს მუხლები ადვოკატის დაცვის მოვალეობიდან გათავისუფლებას საერთოდ არ ითვალისწინებს.

მეორე მოთხოვნით, "თავისუფლების ინსტიტუტის" იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს და ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლეების მიმართ დისციპლინარული დევნის აღძვრასა და მათთვის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვს.

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრთა ინფორმაციით, მოსამართლეებმა - კეკენაძემ, სიხარულიძემ და ბასილაიამ ადვოკატ ირმა ჭკადუას აფრასიძეების საქმეში ჩართვაზე უარი განუცხადეს. უარის მოტივაციად კი მხოლოდ ის დაასახელეს, რომ ჭკადუას საქმეში ჩართვა პროცესს გააჭიანურებდა. არადა, ადვოკატი აფრასიძეების საქმეს ძალზე კარგად იცნობს და ასეც რომ არ ყოფილიყო, კანონით, ადვოკატს საქმის გასაცნობად ვადა აქვს მიცემული. "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრთა განცხადებით, უარის შემდეგ კოლეგიამ პროცესი, თითქმის, ერთი თვით თავად გადადო, რა პერიოდშიც ადვოკატი თავისუფლად მოასწრებდა საქმის გაცნობას.

"თავისუფლების ინსტიტუტი" მოსამართლეთა აღნიშნულ ქმედებას კანონდარღვევად მიიჩნევს და მათი დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის დასმის მოთხოვნით იუსტიციის საბჭოს მიმართავს.

"მოსამართლეთა გადაწყვეტილებები ბევრს დააფიქრებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად ტარდება რეფორმა სასამართლოში", - აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი აკაკი მინაშვილი. მისივე თქმით, დღეს სასამართლო პროკურატურის პირდაპირი დანამატია და მოსამართლეებს არ აქვთ არანაირი ნება-სურვილი, პროკურორების წინააღმდეგ წავიდნენ. **"ეს მანკიერება მოსამართლეებში ღრმად არის გამჯდარი",** - ასეთია მინაშვილის აზრი.

24 საათი

ARASRULWLOVANI GAMOZAVISTVIS DAAKAVES

gušin, gamTenilisas wyalTubaSi, soflel oWkvCiTis sasafladaoze samarTalsdamcvelebma arasrulwlovani TorniKe Tolaძe daakavesi. mas brali misivE TanasoflelisTvis neli nucubiZis winaaRmdeg gankhrcilebul mufarasa da fulis gamoZaRvaSi edebA.

16 wlis TorniKe Tolaძem 8000 aSS dolari neli nucubiZisTvis mufarisTvis gamosaZaRa da aiZula, aRniSnuli TanxiT misi natesavis sasafladaoze daeMarxa.

imeretis samxare policiis uflebis lefTenanti kaxiani gancxadebiT, samarTalsdamcvelebi Tolaძe eqvsi dRis manZilze daraJobdnen. igi fulis amosaxrelad gušin, gamTenilisas mivida, rasac policielebma daapatimres.

TorniKe Tolaძe winaswari daKavebis sakanSi gadaiyvanes. mas TavisuflebaTa aRkvetaTa 6-dan 8 wlamdE eMuqreba.

inTerpresniusi

SOFELI SABERIODAN 70 WLIS MOXUCI GAITACEBES

samSabaTs, gvian RamiT gaSi raionis soflel saberiodan xuTma niRbianma SeiaraRebulma 70 wlis reveze xaxaia gaitaca. SeaRebuli pirebi xaxaias saCxovrebel saxlSi SeCivdnen da moxuci gaurkvevelebiT gaitacen. wiNaswari informaciiT, reveze xaxaias gamTacebebi oJaxisgan 70 aTasi dolaris gadaxdas iTxovenen.

reveze xaxaias vaJi zugdidSi mcire biznesiT arris daKavebuli. mas gaxsnili aqvs avtomanqanebis profilaqtika. erTi-erTi versiiT, sWorad amiT aixsneba misi mamis gaTacebA.

reveze xaxaias vaJi komentarze yaris aCxadebs. mas xerxerobiT ar miumarTavs samarTalsdamcavi organoebisTvis. miuxedavad amisa, am gaTacebis SesaxebT uk-vE cnobili gaxda xuTmxrivi saGamoZiebo komisiis qarTveli wevrebisTvis.

isini dRes ZuburxinxeSi gaSi raionSi arsebul sxva problemebTan erTad am sakiTxis dayenebas apirebenS.

inTerpresniusi

SASAUZMO "FACXIS" MFLOBELIS MKVLELOBASI EJVMITANILI DAAKAVES

samarTalsdamcvelebma sasauzmo "facxis" mflobelis mkvlelobaSi ejvmitanili daakavesi.

SinaGan saqmeTa saminisTros cnobiT, cxel xelze gatkarebuli RonisiebebiT SedegaD dedaqalaqSi moqmedi SeiaraRebuli yaCaRiani jgufis erTi-erTi aqtiuri wevri, aeroportis dasaxlebaSi mcxovrebi, 19 wlis grigol iakovlevi daakavesi. mas CxrekiasaT narkotikuli nivTierebaSi "marixuana" da pistoleti "makarovi" aRmoaCnda. daKavebulis binidan amoRebulia sasauzmo "facxis" mflobelis narGaza babaianis binidan gatacebuli xiflasebis nawili.

policiis informaciiT, sasauzmo "facxaSi" sami piri yaCaRuri TaTs daeqcxa aRniSnulni sasauzmis mflobeli, 45 wlis narGaza babaianis, romelsac mobiluri telefoni wartvesi. TavdasmulebiT mflobelebma winaaRmdegobis gawevis dros babaianis dnaTa yelSi daCrili, rac SedegadaC igi adgilze gardaicvala.

amis SemdeG borotmoqmedebma babaianis binis gasaRebiT misi saxlis mcxovrebel binaSi SeaRwies, sadac mas stumrebi daxvdnen. borotmoqmedebma iq myofebs wiTovani lenTiT, e.w. "skoCiT", xel-fexi SeuCrES da binidan mobiluri telefonebi, xiflasebis da saoJaxo nivTebi gaitanes.

gamoZiebiT dadgenda, rom iakovlevi da aRniSnuli daxgxufebis xxva wevrebi - zugdidSi mcxovrebi, adre nasamarTlevi, 28 wlis xxenri narmaniaa da aeroportis dasaxlebaSi mcxovrebi, 19 wlis gioRgi da 17 wlis levan CorgoSvilebi babaianis mkvlelobisa da mastan stumrad myofi cola-qmar ogaNeZoebis dayaCaRebis SemdeG, naqurdaliis gayofis miznit, CorgolaSvilebis binaSi SeiqrnebiN. am dros mas SorisaT urTierTSelapaRakebs moxda. erTi-erTma borotmoqmedma xxenri narmaniaa daxCra, romelic, kvalis daxvrvis miznit, iqve mdebare qurazeo gadaiyvanes da pistoleTi "makarovidan" TavaSi saKonTroloo gasrolaT moklesi.

narmaniaS gvamis daTvaliereba-bisas misi SarvlisTvis xxibidan amoiRes babaianis binidan gatacebuli xiflasebis xxva. mas xerxxx

ქადრაკი

ისრაელიც დავამარცხეთ

ისრაელში დასასრულს უახლოვდება მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. საქართველოს ნაკრებმა მერვე ტურის შეხვედრა გამართა. მისი მეტოქე ისრაელის ნაკრები იყო. ჩემპიონატის მასპინძლებმა ტურნირი საკმაოდ კარგად დაიწყეს, მაგრამ ბოლოს შემართება დაკარგეს, მოდუნდნენ და ახლა სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე არიან. აღსანიშნავია, რომ ისრაელი, ისევე როგორც აშშ-ის გუნდი, მთლიანად ყოფილი საბჭოეთიდან წასული მოჭადრაკეებით არის დაკომპლექტებული.

პირველ დაფაზე საქართველოს ნაკრების ლიდერი ზურაბ აზმაიფარაშვილი შავი ფიგურებით ბორის გელფანდს ეთამაშებოდა. ზურაბმა ჭკვიანურად წარმართა შეხვედრა და საბოლოოდ ყაიმს დასჯერდა. მეორე დაფაზე ბაადური ჯობავა თეთრი ფიგურებით ილია სმირინს დაუზავდა. გადამწყვეტი დრამა მესამე დაფაზე გათამაშდა, სადაც ლევან ფანცულაია თეთრი ფიგურებით ემილ სუტოვსკის შეება. ლევანმა დებიუტშივე მოიპოვა პოზიციური უპირატესობა, რომელიც შემდეგ საჭირო რიტმში განავითარა და დაამარცხა მეტოქე. მეოთხე დაფაზე მოასპარეზე მიხეილ მჭედლიშვილი კი ბორის ავრუხს დაუზავდა. საბოლოო ჯამში საქართველოს ნაკრებმა - 2,5:1,5 დაამარცხა მეტოქე. ამ გამარჯვებით ქართველმა დიდოსტატებმა მეექვსე საფეხურზე აიწიეს, მაგრამ მათ მეტოქეებთან - ისრაელთან და აშშ-სთან შედარებით ერთი მატჩით მეტი აქვთ გამართული. გუშინ ჩვენი ქვეყნის ნაკრები ისვენებდა. ტურის დასკვნით მატჩში ქართველი მოჭადრაკეები უკრაინასთან მოსინჯავენ ძალებს.

აზმაიფარაშვილი გელფანდს დაუზავდა.

რაც შეეხება ლიდერს, ჩინეთის ვაჟთა ნაკრებს, ის დამაჯერებლად ლიდერობს გათამაშებას. ჩინელებმა აშშ დაამარცხეს - 3,5:0,5. სომხებმა საკმაოდ იოლად მოუგეს ჩინეთის ქალთა გუნდს - 3:1, ხოლო კუბისა და უკრაინის ნაკრებთა მატჩი ფრედ - 2:2 დასრულდა. ამ დღეს რუსეთის ნაკრები ისვენებდა. შვიდი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში ჩინეთი (ვაჟები) ლიდერობს - 19,5. მეორე ადგილზე რუსები არიან - 15,5, მესამეზე - სომხეთის ნაკრები - 14. უკრაინელებმა 12,5 ქულა მოაგროვეს. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან აშშ-ისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. ისრაელმა 11,5 ქულა მოაგროვა. კუბის ნაკრები 9 ქულით მერვე ადგილზეა, ხოლო გათამაშების ცხრილის ბოლოში ჩინეთის ქალთა გუნდი დამკვიდრდა (6 ქულა).

სკანდალი

დოპინგი მაფიასაც აძლიერებს

გიგა გურასაშვილი
ქოპენჰაგენიდან

ჩვენმა მასპინძელმა და კონფერენციის ხელმძღვანელმა იენს ერ ანდერსენმა სხდომის დაწყებამდე გვითხრა, დანიაში ორი საათი ორი საათია, ხუთი კი - ხუთიო. ანდერსენის სიტყვები კონფერენციის 300-ზე მეტი მონაწილის მისამართით იყო ნათქვამი.

ის იყო, პირველმა გამომსვლელმა მიკროფონი მოიმარჯვა, რომ დარბაზის ერთ-ერთ ფანჯარაში დანიელმა ლაწირაკმა შემოყო თავი და ისეთი დასჭექა, დარბაზში მყოფნი გვარიანად დააფრთხო. დარბაზი კი იმხელაა, კალათბურთის სამი მოედანი გამოვა. მერე ყველაფერი ჩვეული რიტმით წარიმართა. პუნქტუალურობისა კი რა მოგახსენოთ. არც გაგვემტყუნება. მეოთხე მსოფლიო კონფერენცია სამუშაო სახელწოდებით "სპორტისა და საზოგადოების ურთიერთკავშირი" დილის 9-ზე იწყება და საღამოს 10-11 საათამდე გრძელდება. კონფერენცია Play The Game-ის სახელითაა ცნობილი და ქართულად სამართლიან, კეთილსინდისიერ თამაშებს ნიშნავს. კონფერენციის გამომსვლელებს უამრავი თემა აქვთ მომზადებული, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ საკითხებს ვუსმენთ, დანარჩენ შემთხვევაში კი თავს ვიკატუნებთ და მსმენელის პოზას ვიღებთ.

ყველა საკითხი საინტერესოა, თუმცა, ზოგს სიტყვა უგრძელდება. თუ ვინმე რამეს წარმოადგენს მსოფლიო სპორტში, ყველა კოპენჰაგენშია (ვგულისხმობ დამოუკიდებელ ჟურნალისტებს).

ერთნი ფიქრობენ, რომ სპორტი მეტად უწყინარი რამაა, რომ აქ ვიღაცები რაღაც მედლებისთვის ოფლს ღვრიან. არ დაიჯერო. მათ უკან ისეთები ხდება, მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარად გამოდგება. აქ არის მაფია, თუ არის. ამერიკის მაფიის ყველაზე გავლენიანი ოჯახები გამბინო და კოლომბო აკრძალული პრეპარატებით ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ. 1970 წლიდან იტალიურ-ამერიკული მაფია აკონტროლებდა აშშ-ში ანაბოლიკური სტეროიდების მიმოსვლას. მეტიც, ამასთან დაკავშირებით რუსულ მაფიასთან საერთო ინტერესებიც აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ამაში გვარწმუნებს სანდრო დონატი, იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კვლევათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელმაც საკუთარ ნაშრომს სათაურად წაუმძღვარა საერთაშორისო ბაზარზე დოპინგის აღებ-მიცემობის კრიმინალური წარმომავლობა.

სტეროიდები, ანაბოლიკები, ერითროპოიეტინი, იგივე ეპო... ჩვეულებისამებრ, სპორტთან ასოცირდება, მაგრამ ასე ერთი შეხედვით ჩანს. იმავე დონატის თქმით, წლეულს, გაზაფხულზე, რუსულმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ სტეროიდები არაბეთის ყურის ქვეყნებს მიჰყიდა. მოგვიანებით სტეროიდები კუვეიტში აღმოჩნდა, არაბებმა კი ერაყში მყოფ ამერიკელ ჯარისკაცებს მიჰყიდეს.



გამბინოს ოჯახის თვალსაჩინო წარმომადგენელი წლების განმავლობაში ჯონ გოტი.

იტალიელი მკვლევარის ამ სიტყვებმა დამსწრე საზოგადოება გააოცა და ეჭვიც აღძრა, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისთვის მოიშველია "ასოშეიტედ პრესი", რომელსაც თავის დროზე ინფორმაციის დაზუსტება მოსთხოვეს. სააგენტოდან კი უპასუხიათ, ვერც უარვყოფთ და ვერც დავადასტურებთო.

"ჯარისკაცისთვის ომში მნიშვნელოვანია არა კუნთები, არამედ ფსიქოლოგიური მდგომარეობა, - განაცხადა სანდრო დონატიმ. - ევროკავშირმა ყველა ქვეყანას უნდა მისცეს სტიმული, რათა შეიმუშაოს საგანგებო კანონი დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში".

ერთი სიტყვით, შეგვიძლია დოპინგს სპორტის კიბო ვუწოდოთ. ირკვევა, რომ ძლიერი სტიმულატორების მომხმარებელთა შორის შოუბიზნესის წარმომადგენლებიც არიან.

ამასობაში რიგი ფარმაცევტული გიგანტები ასეთ პრეპარატებს სულ უფრო და უფრო ხვეწენ, რათა ორგანიზმში მათი აღმოჩენა შეუძლებელი იყოს. და იცით, რა მოხდება მერე? აკრძალული პრეპარატები მდიდრებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ალბათ, უცნაურად ჟღერს, მაგრამ ასეა. თუ არ გჯერათ, დღევანდელი მაგალითითაც შეგიძლიათ იმსჯელოთ. მოდით, ეს გამოცანა იყოს. აბა, ვინ გამოუჭერიათ დოპინგზე? თუ ვინმეს გაიხსენებთ, ისიც მიუთითეთ, რომ აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში მხილებული ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნიდანაა. თუ მაინცდამაინც რუსეთს მიადგებით, გაითვალისწინეთ, რომ რუსები სპორტზე დიდ ფულს ხარჯავენ, ამასთან, ისიც, რომ დოპინგის მაფიაში საკმაოდ დიდი საცეცები აქვთ. მით უმეტეს, რომ მაფია ბატონობს რუსულ ფარმაცევტულ წარმოებაში. რუსეთის პრეზიდენტსაც უთქვამს, ეს ის სფეროა, რომელსაც ბოლომდე ვერ ვაკონტროლებთო.

და კიდევ, იმისთვის რომ შთაბეჭდილება შეგვექმნას ზოგადად დოპინგზე და იმაზე, თუ რატომაა მაფია დაინტერესებული აკრძალული პრეპარატებით. ამისთვის ერთი ამბავი მოვიშველიოთ.

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე ცოტა ხნით ადრე ავსტრალიის ერთ-ერთი საავადმყოფოს საცავიდან ეპოს ამპულები მოიპარეს. შავ ბაზარზე ეპოს 1000 ამპულა რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს. ეს პრეპარატი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მისი აღმოჩენა ორგანიზმში თითქმის შეუძლებელია. მომხმარებლები კი იმ სახეობის წარმომადგენლები არიან, რომლებსაც დიდი ამტანობა მოეთხოვებათ. საუბარია ველოსპორტზე, მძლეოსნობაზე.

და მაინც, რატომ ეტანებიან დოპინგს? საქმე ისაა, რომ ასეთი პრეპარატები მედლების მოპოვებას გაცილებით აადვილებს. მოპოვებული მედლების ჯამი კი ქვეყნის სიძლიერესა და სტატუსზე მიუთითებს. უფრო სწორად, ესაა ქვეყანათა შორის გაჩაღებული ფარული ომი, რომელსაც პირობითად სპორტი ეწოდება.

ფეხბურთი

ბერგკამპის შემცვლელი ბერგკამპს არ ედრება

დენის ბერგკამპი "არსენალის" დატოვებას მომავალ ზაფხულში აპირებს, მაგრამ მეთოფეთა მწვრთნელმა და კლუბის გულშემატკივრებმა იციან, რომ ამ ფეხბურთელს ღირსეული შემცვლელი ჰყავს. თავად ბერგკამპი, რომელიც უკვე 36 წლისაა, მე-11 სეზონს ატარებს "არსენალის" შემადგენლობაში. მისი აზრით, გუნდში არის კიდევ ერთი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია პარტნიორობა გაუწიოს თვით ისეთ ლეგენდას, როგორიცაა ტიერი ანრი.

მიუხედავად იმისა, რომ 22 წლის რობინ ვან პერსიმ ჩემპიონთა ლიგის მატჩში პრაღის "სპარტას" წინააღმდეგ სულ 22 წუთი ითამაშა, მან ორი გოლის გატანა მოასწრო და ყველა დაარწმუნა, რომ უმაღლესი კლასის თავდამსხმელია.

"ვან პერსი ერთ-ერთი იმ იშვიათ ფეხბურთელთაგანია, რომლებსაც საკუთარი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ნებისმიერ შეხვედრაში გარდატეხის შეტანა შეუძლიათ. ვან პერსი ძალზე თავდაჯერებულია და უდიდესი პოტენციალი აქვს. იგი იმითაც არის გამორჩეული, რომ შედეგიანი დარტყმების განხორციელების გარდა გოლების ორგანიზებაც ხელეწიფება", - განაცხადა საკუთარ თანამემამულეზე დენის ბერგკამპმა, რომელიც ანრის ავადმყოფობის პერიოდში ვან პერსისთან ერთად იყო თავდასხმაში შეწყვილებული.

გასული წელი ახალგაზრდა ნიჭიერი თავდამსხმელისთვის სირთულეებით აღსავსე გამოდგა. იგი ძალზე არასტაბილურად თამაშობდა და რიგ შემთხვევებში არცთუ მაღალი კლასის ფეხბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყველაფერ ამის მიუხედავად, არსენ ვენგერს ამ ფეხბურთელის მიმართ ერთი წუთითაც არ დაუკარგავს ნდობა. ფრანგ მწვრთნელს დაუფასდა კიდეც ასეთი დამოკიდებულება. "რობინი უფრო და უფრო უკეთ თამაშობს. მან საკუთარი სტილი იპოვა და საკუთარი ძალების ირწმუნა", - განაცხადა კმაყოფილმა ვენგერმა ხსენებული საჩემპიონთალიგო მატჩის კომენტირებისას.

თავად ვან პერსის ორი იდეალი ჰყავს, რომლებიც ამავე დროს მისივე თანაგუნდელები არიან. აღნიშნა კიდეც, რომ მისი შთაგონების წყაროს წარმოადგენენ ინგლისის ნაკრების მცველი სოლ კემპბელი და თანამემამულე დენის ბერგკამპი.

"ხალხს ჰგონია, რომ დიდ გუნდში გადასვლის შემდეგ ყველაფერი თავისთავად ხდება. მაგრამ ასე არ არის. დაუღალავი შრომაა საჭირო იმისთვის, რომ ისეთ სუპერკლუბში, როგორიც "არსენალია", თავი დაიმკვიდრო. გულშემატივრები ამას რატომღაც ივიწყებენ", - განაცხადა ვან პერსიმ.

ახალგაზრდა ჰოლანდიელი ბერგკამპთან მის შედარებას გაურბის, თუმცა, არც იმას მალავს, რომ მეორე თავდამსხმელის პოზიციაზე თამაში ხიბლავს. "არ მინდა, რომ ბერგკამპს მადარებდნენ. ეს არაფრით არ დამიმსახურებია. მე ძალზე ვაფასებს ბერგკამპს, როგორც პიროვნებას და როგორც ლიდერს. რაც შეეხება ჩემს სათამაშო პოზიციას, არ დავმალავ, თავდასხმაში თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებს", - აღნიშნა ვან პერსიმ.

ამ ფეხბურთელმა საკუთარ თავს ბრწყინვალე რეკომენდაცია გაუწია 25 ოქტომბერს, "სანდერლენდის" წინააღმდეგ სათასო მატჩში. ჰოლანდიელი "მეთოფეთა" ძირითად შემადგენლობაში იყო

რობინ ვან პერსი - ბერგკამპის ახალი შემცვლელი?

გამწესებული და მან ორი გოლის გატანა მოახერხა. "სანდერლენდის" მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ "არსენალის" ფორვარდს მაღალი შეფასება მისცა, რამაც ვან პერსი აღაფრთოვანა: "მაკარტის შეფასება ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანია", - მადლიერება გამოხატა ფეხბურთელმა.

ვან პერსიმ მიკ მაკარტის მიერ მისი გუნდის კარში გატანილი კიდევ ერთი გოლითაც "გადაუხადა მადლობა". ამჯერად ეს პრემიერლიგის მორიგ ტურში, გასულ უქმეებზე მოხდა, როცა "არსენალმა" "სანდერლენდი" 3:1 დაამარცხა. ამ მატჩის მე-11 წუთზე სოლ კემპბელის ზუსტი გადაცემის შემდეგ სწორედ ვან პერსიმ გახსნა ანგარიში.

მეტწილად სწორედ ჰოლანდიელი თავდამსხმელების ვან პერსისა და ბერგკამპის კარგი თამაშის წყალობით, "არსენალმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვა მერვედფინალის საგზური. ამ გუნდმა ჯგუფის სასტარტო ოთხივე შეხვედრა მოიგო და დამაჯერებლად ლიდერობს.

პრემიერლიგაში "არსენალს" არცთუ კარგად მისდის საქმეები - გუნდი მე-5 პოზიციაზეა და ლიდერს, თანაქალაქელ "ჩელსის" 11 ქულით ჩამორჩება. "ჩვეულებრივ, უეფას ტურნირებთან შედარებით, ჩვენ გაცილებით უკეთ პრემიერლიგაში ვთამაშობთ. ამჯერად ყველაფერი შეიცვალა და მე ვერ ვხსნი ამ ცვლილების გამომწვევ მიზეზებს. თუმცა, ძალიან კარგია, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის პრობლემა გადავწყვიტეთ. ახლა შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, ყურადღება პრემიერლიგაზე გადავიტანოთ და ქულების დაგროვებას შევუდგეთ", - თქვა ბერგკამპმა.

"შაბიამნის" ახალი პარტია

"დიოგენემ" გამოსცა ელა გოჩიაშვილის გულიდან ამოგლეჯილი პოეზია

ია ვეკუა

"მე ვერ წავიკითხავ, ძალიან ვღელავ, იქნებ თქვენ წაიკითხოთ... მე მხოლოდ დავწერე", - ასეთი თხოვნით მიმართავდა პოეტი ელა გოჩიაშვილი სტუმრებს, რომლებიც მისი ბოლო კრებულის "შაბიამანის" პრეზენტაციაზე "წიგნის სახლში" შეიკრიბნენ. თუმცა, ყველა სტუმარი შეუვალი იყო: "ვერც ერთი მსახიობი ვერ შეძლებს ავტორზე უკეთ წაკითხვას". საბოლოოდ პოეტმა დათმო და მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს პოეზიის საღამო მიუძღვნა.

ელა გოჩიაშვილის ლექსების კრებული ამჯერად გამომცემლობა "დიოგენემ" დასტამბა. ეს გოჩიაშვილის მეოთხე წიგნია. 1989 წლიდან დღემდე მას სამი კრებული ჰქონდა გამოცემული. ბოლო წიგნი "პარასკევი ჩემი დღეა" 2003 წელს გამოიცა. "შაბიამანში" სწორედ ამ პერიოდის შემდეგ შექმნილმა ლექსებმა მოიყარა თავი.

ახალ კრებულში შესული ლექსები არ ერთიანდება რაიმე კონცეფციით. მათი თემატიკა ისევე მრავალფეროვანია, როგორც ავტორის ფანტაზია და პოეტური გაქანება. ელა გოჩიაშვილი ერთნაირი შთაგონებით წერს სიყვარულსა და სიძულვილზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე, მის პოეზიაში თანაბარი ადგილი ეთმობა შეუცნობ სამყაროსა და რეალურ ცხოვრებას. პოეტმა რამდენიმე ლექსი მშობლებს და ოჯახის წევრებსაც მიუძღვნა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ერთსტროფიანი ლექსი "მამაჩემის სიკვდილი": "როს გაეყარა სული ხორცს, ხორცს - დამარცხებულ მხედარს, საფლავში ძუძუ ეტკინა ბებიაჩემის ცხედარს"...

ელა გოჩიაშვილი ხშირად მიმართავს თანამედროვე სლენგსაც, რაც, ალბათ, ახალგაზრდა მკითხველთან მიახლოებაზეცაა გათვლილი. ახალგაზრდებისადმი ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, პოეტი საკმაოდ ნეგატიურადაა განწყობილი ახალი თაობის ავტორებისადმი. იგი ცდილობს, რაც შეიძლება, კორექტული იყოს, მაგრამ მაინც აცხადებს, რომ დღევანდელი ქართული პროზის მკითხველს არ აღიარებს. მისთვის მიუღებელია თანამედროვე მწერლების ენა, ლექსიკა, თემები და ზოგადად მწერლობისადმი დამოკიდებულება. იმავე აზრისაა პოეტებზეც. მიაჩნია, რომ ასპარეზზე ერთობ უნიჭო პოეტები მოღვაწეობენ. მაგრამ ცუდი ისაა, რომ ვერც ნიჭიერებს ხედავს - ისეთებს, ვინც რეალურად იმსახურებს იმას, რომ საზოგადოება გაეცნოს მათ ნიჭიერებას. ამავდროულად, პოეტი დარწმუნებულია, რომ ამ თაობას ძალიან მოსწონს მისი და მისი პლეადის მწერლების შემოქმედება.

ელა გოჩიაშვილის ლექსები მხოლოდ კრებულების სახით არ არსებობს - იგი ხშირად იბეჭდება სხვადასხვა პერიოდულ ლიტერატურულ გამოცემებში: "წიგნები", "ლიტერატურული პალიტრა", "ცისკარი", "არილი" და სხვა. როგორც ქართულ ლიტერატურულ წრეში "ჭორაობენ", ელა გოჩიაშვილი ვახუშტი კოტეტიშვილის საყვარელი პოეტია და სადაც საშუალება მიეცემა, ყველგან აქებსო. ალბათ ამიტომ იყო, რომ, ავადმყოფობის მიუხედავად, ვახუშტი კოტეტიშვილი პოეტს პრეზენტაციაზე ესტუმრა და წამყვანის როლშიც მოგვევლინა.

ვახუშტი კოტეტიშვილი: "დღეს საოცარი დღეა, რადგან ელა გოჩიაშვილმა თავისი ახალი წიგნი გვაჩუქა. ეს კრებული ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ კარგად ვიცნობ მის ძველ წიგნებს და ვიცი, რას წარმოადგენს ელა გოჩიაშვილის პოეზია. ის გულიდან იგლეჯს თითოეულ სიტყვას და ამ ნაგლეჯებს ყველას გვიზიარებს."

ეკა და მართლმსაჯულება

ეკა კვესიტაძე: დღეს "დიალოგების" სტუმარია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე. ანონიმური შეტყობინების ცვლილების შესახებ ელენე თევდორაძემაც გამოთქვა პროტესტი. იზიარებ თუ არა მის პროტესტს?

ანა დოლიძე: რა თქმა უნდა, ვიზიარებ. ინიციატივა, რომელზეც მე გამოვთქვი პროტესტი, იყო ის შესაძლებლობა, რომ ოპერატიულ სამძებრო სამსახურში დასაქმებულმა თანამშრომლებმა ანონიმურად მისცენ ჩვენება. რეალურად რომ ვთქვათ, პრაქტიკაში იქნება ასეთი რამ: დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავლად ჰყავს ნდობით აღჭურვილი პირები, კონფიდენტები, ყოფითად რომ ვთქვათ, "ნასედკები", რომლებსაც მიეცემათ საშუალება, გარკვეული პირების საწინააღმდეგო ჩვენება მისცენ იმის გარეშე, რომ ბრალდებულმა და მისმა დამცველმა იცოდეს, ვინ არის ეს ადამიანი. ამის წინააღმდეგ გამოვთქვი აზრი და დღესაც ასე ვფიქრობ.

პრინციპული წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ ამით ჩვენ კიდევ უფრო ვუხსნით ხელფეხს ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს და არათანაბარ პირობებში ვაყენებთ დაცვასთან. ამის პასუხად მომდინარეობს არაინფორმირებულობის შედეგად წარმოქმნილი არგუმენტი, თითქოს ყველა დასავლეთევროპულ ქვეყანასა და ამერიკაში ეს პრაქტიკა მოქმედებს. არც ეს არის მართალი. ბევრ ევროპულ ქვეყანაში ნამდვილად არის ანონიმური მოწმეების ინსტიტუტი, საერთაშორისო სასამართლოების წინაშეც არსებობს მსგავსი რამ, მაგრამ ყველა შემთხვევაში მონაცემები მჟღავნდება დამცველისთვის, ანუ ბრალდებულის დამცველს, იგივე ადვოკატს, ყველგან აქვს უფლება, მოწმის ვინაობა იცოდეს. ადვოკატი, ცხადია, თავის ცოდნას ბრალდებულს არ უზიარებს, რადგან იმ ქვეყნებში, სადაც ეს ინსტიტუტი მოქმედებს, უკვე იმ დონეზეა დაყენებული ადვოკატისა და დაცვის ქვეშ მყოფი პირის ურთიერთობა, ეჭვიც არ არსებობს იმისა, რომ ინფორმაცია გამჟღავნდება. ისეთ მყიფე სისტემაში კი, როგორიც საქართველოშია, ამ საშუალების მიცემა მათთვის გაუმართლებელია.

ამას ემატება მეორე არგუმენტი: ის, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ცალსახად აქვს ნათქვამი, ანონიმური მოწმეები დასაშვებია იმიტომ, რომ შესაძლოა, მოწმეებზე არსებობდეს მუქარა, ყველაზე გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ანონიმური მოწმე იყოს პოლიციის თანამშრომელი ერთი ლოგიკით: როდესაც ადამიანი უერთდება პოლიციის სამსახურს, მას წინასწარ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ის რისკი, რაც მის სამსახურთან არის დაკავშირებული.

კახა კუკავა: ეს საკითხი მართლაც პრინციპულია. რაც შეეხება დასავლურ პრაქტიკას, რა თქმა უნდა, მოწმეთა დაცვის პროგრამები არსებობს. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ - ეს ფილმებშიც გვინახავს - მოწმეს სახელი შეუცვალონ, სხვა შტატში გადაიყვანონ, მაგრამ ის, რომ დაცვის მხარემ არ იცოდეს, ვისი ჩვენების საფუძველზე უფარდებენ გამამტყუნებელ განაჩენს, ეს მისი უფლებების უხეში დარღვევაა.

არავინ არ არის წინააღმდეგი, შემოვიდეს მოწმეთა დაცვის ინსტიტუტები, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ხარჯზე. წარმოიდგინეთ, ადამიანი წავიდა ციხეში იმ მტკიცებულებებით, რომ მის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს შს სამინისტროს თანამშრომელი №605-814. როგორ უნდა განახორციელოს ასეთ მდგომარეობაში ბრალდებულის ადვოკატმა დაცვის უფლება, რომელიც დღეს ჩვენთან ისედაც დეკორაციაა - ვგულისხმობ სასამართლოსაც და ადვოკატურასაც.

ანა დოლიძე: ადამიანი პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ და მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე. მტკიცებულებები კი მაშინ გახდება უტყუარი, როდესაც ბრალდებას აქვს საშუალება, უპასუხოს ნებისმიერ კითხვას. იმიტომ, რომ სისხლის სამართლის პროცესი არის შეჯიბრებითი პროცესი. თუ დაცვას არ მიეცა საშუალება, ეჭვქვეშ დააყენოს მოწმის იდენტურობა, გულწრფელობა, მაშინ გამოდის, რომ მოსამართლეს ელემენტარულად არ ექნება საჭირო კრიტიკული ინფორმაცია, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ბრალდების მტკიცებულებები.

ეკა კვესიტაძე: საინტერესოა, ხელისუფლების აზრით, რა სიკეთე შეიძლება მოიტანოს ამ ცვლილებებმა. რა მოტივაცია ჰქონდა ხელისუფლებას, როცა გადაწყვეტილებას იღებდა?

კახა კუკავა: ამის შესახებ შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. საერთოდ, ჩემი აზრით, ამ ხელისუფლების პოლიტიკა არის ფასადების შეღებვის პოლიტიკა. არა მხოლოდ შენობების ფასადების, არამედ პრობლემების ფასადების შეღებვის პოლიტიკა. დღეს ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო და მართლმსაჯულება.

ეკა კვესიტაძე: რაც შეეხება აღმკვეთი ღონისძიებებიდან შიდაპატიმრობის ამოღებას, ერთი შეხედვით, უწყინარი ცვლილებაა. რატომ გამოიწვია მან თქვენი პროტესტი?

კახა კუკავა: შეფარდება ხდება თითქმის ყველა დონეზე. არადა, როცა ბულალტერი ედავება საგადასახადო ორგანოს და ის მიდის საპატიმრო ადგილას, ეს ხელს კი არ უწყობს საქმის ობიექტურად გამოძიებას, არამედ პირიქით, რადგან ადამიანები ხშირად იმ მიზნით მიდიან საპროცესო გარიგებაზე, რომ თავი დააღწიონ იმ კატორღას, რაც ჩვენი დღევანდელი საპატიმროა. ვისაც ეს ნანახი აქვს, ადვილად დამეთანხმება.

ეკა კვესიტაძე: არის კიდევ ასეთი საკითხი: ვთქვათ, რომელიმე ღარიბი ადამიანი უყურებს შევარდნაძის დროინდელი რომელიმე ჩინოვნიკის სასამართლო პროცესს და ის ამბობს: რატომაც არა, მე ვისურვებდი, რომ ამ ჩინოვნიკმა გადაიხადოს დიდი თანხა.

კახა კუკავა: მაგრამ საზოგადოებას აქვს უფლება აირჩიოს და ჰყავდეს საკანონმდებლო ხელისუფლება, აღმასრულებელი, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში ადამიანებს არა აქვთ უფლება განახორციელონ მართლმსაჯულება.

ეკა კვესიტაძე: თუმცა, დემოკრატიული ფრონტის ერთ-ერთი წევრი თინა ხიდაშელი ამბობს, ის ნაწყენია ამ ხელისუფლებაზე იმიტომაც, რომ შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკები არ დაისაჯნენ ისე, როგორც საჭირო იყო.

კახა კუკავა: მეც ნაწყენი ვარ ამის გამო და ეს საკითხი დავსვი პარლამენტში. სულხან მოლაშვილიც და ედუარდ შევარდნაძეც უნდა გასამართლდნენ მათ მიერ კონკრეტულად ჩადენილი დანაშაულის გამო და არა იმის გამო, რომ მე ამ თანამდებობის პირის მიმართ პათოლოგიური ანტიპათია მაქვს.

ეკა კვესიტაძე: როგორ უნდა ვებრძოლოთ კანონიერი ქურდების ინსტიტუტს, თქვენ რა საშუალებებს სთავაზობთ ხელისუფლებას?

კახა კუკავა: პირველ რიგში, საპროცესო გარიგებაზე ვსაუბრობდით და ესაა სწორედ ის შემთხვევა, როცა შეიძლება საპროცესო გარიგება ეფექტურად იყოს გამოყენებული.

1835 წელს, ხაშური-ახალციხის რკინიგზის მშენებლობა დასრულდა, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასდევდა. ამან გაზარდა მგზავრების ნაკადი ბორჯომის ხეობის მიმართულებით. 1834 წელს ბორჯომში დაბანაკებულ ქართველ გრენადიორთა პოლკს ჯარისკაცების საცხოვრებელი პირობების დასათვალიერებლად სამხედრო ექიმი ამიროვი ეწვია. მან გადაწყვიტა ბორჯომში რამდენიმე წლით დარჩენა, რათა მინერალური წყლის სამკურნალო თვისებებს დაკვირვებოდა. სწორედ, ექიმი ამიროვი იყო პირველი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, რომელშიც დეტალურად აისახა ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებები.

1837 წელს ბორჯომის მინერალური წყლები მთლიანად გადავიდა ქართველ გრენადიორთა პოლკის განკარგულებაში. პოლკის ექიმმა ამიროვმა მინერალური წყლის პირველი სინჯები პეტერბურგსა და მოსკოვში გააგზავნა.

"ბორჯომის" N1 ჩამომსხმელი ქარხანა.

1841 წლისათვის ბორჯომის მინერალური წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ რუსეთშიც ალაპარაკდნენ. ბორჯომს კავკასიის გენერალ-გუბერნატორის ევგენი გოლოვინის ქალიშვილი ეწვია. მართალია, ისტორიული წყაროები არ აზუსტებენ, თუ რა სენი აწუხებდა გუბერნატორის ქალიშვილს, მაგრამ ის განიკურნა. სწორედ მის საპატივსაცემოდ ეწოდა პირველ წყაროს გუბერნატორის ქალიშვილის სახელი - "ეკატერინსკი", ხოლო იმ დროისათვის აღმოჩენილ მეორე წყაროს, თავად გუბერნატორის პატივსაცემად - "ევგენიევსკი".

საბჭოთა კავშირის პერიოდში ბორჯომის პიკურმა წარმოებამ 400 მილიონ ბოთლს მიაღწია წელიწადში.

შუშის ბოთლების საამქრო - 1911 წ.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, პოსტსაბჭოურ სივრცეში სულ რამდენიმე ბრენდია გადარჩენილი რამდენიმე ათასიდან - ერთ-ერთი მათგანი "ბორჯომია".

"ბორჯომის" წარმოების პროცესი მუდმივად კონტროლდება ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ. წყლის ხარისხი კონტროლდება 60 სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

როდესაც კომპანიამ დაიწყო თავისი გაყიდვები რუსეთის ტერიტორიაზე, იქ გაყიდული "ბორჯომი"-ს მხოლოდ 5% იყო ნამდვილი. დღეისათვის რუსეთის ტერიტორიაზე ფალსიფიკაციის დონე არ აღემატება 1-2%-ს საცალო გაყიდვების წერტილებში.

"ბორჯომის" საიუბილეო ბოთლი - 1990 წ.

BORJOMI
ბორჯომი
БОРЖОМИ
CG&MW Co.N.V.
საბერძნეთის ფიზიკა და ბუნებრივი ჯრეფის კოშკანია

1

იურიდიული ოფისი **„გაპი"** და გაზეთი **"24 საათი"**

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც ნარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქაღალდები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ძალაძ თბილისში მეტროს ძვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

გალიტო მექვაბიშვილი

მოგახსენებთ, რომ ვარ მარტოხელა პენსიონერი და სამადლოდ ვცხოვრობ გარდაცვლილი ძმის ოროთახიან ბინაში, ანუ ბინა უკვე რძალზეა გადაფორმებული. ვღებულობდი 22 ლარს მარტოხელობის დახმარებას, რაც შემოწყვიტეს აპრილიდან მუქარის შემდეგ, ივლისში სოც.უზრუნველყოფაში მომთხოვეს ცნობა ჟეკეოდან სულადობაზე (ეს რამდენად მართებულია?) და უკვე მომთხოვეს მოვლის საფასურად (რაც ჯერჯერობით არ მჭირდება) ბინის გადაფორმება. თქვენი მადლით ჩემს მიერ მოწერილ წერილზე პასუხის (9 ივნისი N128/988) ჩვენების შემდეგ უკმაყოფილების დაუფარავად აღმიდგინეს დახმარება აგვისტოდან, მაგრამ უარზე არიან დაკავებული 4 თვის დახმარების მიცემაზე იმ მოტივით, რომ არ მეკუთვნის. მაინტერესებს: 1) რადგან აღმიდგინეს დახმარება, გამოდის, რომ მეკუთვნის, მაშ, რატომ არ მაძლევენ უსამართლოდ დაკავებულ 4 თვეს? 2) რა სხვაობაა აპეკუნობას და მარტოხელობის დახმარებას შორის, მე ვთხოვ დახმარებას და არა აპეკუნობას, ბინა ხომ სამომავლოდ ძმისშვილებისაა (მე გაუთხოვარი ვარ), რომლებიც სახლიდან არ მაგდებენ?

3) რომ ჩავითვალო მარტოხელად, უნდა აუცილებლად გავიდე საცხოვრებლად ნაქირავებში?

ქალბატონო გალიტო,

"ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" 22-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად:

მუხლი 22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

3. სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში - უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

"ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 180-ე მუხლის მიხედვთ:

მუხლი 180. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა 4 თვე.

1. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

3. გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

აღნიშნულ ნორმათა დაცვით თქვენ უფლება გაქვთ, მითითებული ორგანოს ქმედება გაასაჩივროთ ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან პირდაპირ სასამართლოში.

"სამოქალაქო კოდექსის" 941-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით, სარჩენი გადასცემს მარჩენალს საკუთარ ქონებას, რომლის სანაცვლოდ მარჩენალი სარჩენს უხდის სარჩოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

აღნიშნული ხელშეკრულების დადება წარმოადგენს მხარეთა ნებას, თუ არ სურთ, არ დადებენ მითითებულ ხელშეკრულებას.

"სამოქალაქო კოდექსის" 1275-ე, 1277-ე, 1281-ე, 1282-ე მუხლების თანახმად:

მუხლი 1275. ცნება

2. მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

მუხლი 1277. მზრუნველობა

1. მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

მუხლი 1281. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა

3. მზრუნველის შერჩევა სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისათვის, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები, შეიძლება მხოლოდ სამზრუნველო პირის თანხმობით.

მუხლი 1282. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის წესი

1. მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ცნობილი გახდება მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა.

2. მეურვის ან მზრუნველის არჩევისას მხედველობაში მიიღება მისი პიროვნული თვისებები, დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარი, ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს მასა და სამეურვეო (სამზრუნველო) პირს შორის და, აგრეთვე, როცა ეს შესაძლებელია, სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სურვილიც.

მეურვეობა და მზრუნველობა ხორციელდება უსასყიდლოდ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. მეურვეობა და მზუნველობა წარმოადგენს "სამოქალაქო კოდექსით" გათვალისწინებულ ინსტიტუტს, ხოლო მარტოხელობის პენსია კი არის "სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით გათვალისწინებული, რომელიც ეძლევათ მარტოხელა უმუშევარ პენსიონერებს ან ასეთ ოჯახებს. მარტოხელობა ნიშნავს, რომ პირი ცხოვრობს მარტო და არ ჰყავს მარჩენალი (საჭიროებენ რა რჩენას) - მშობელი, მეუღლე, შვილი, რომელთაც ევალებათ შრომისუუნარო პირის რჩენა.

გოგი

გთხოვთ, გვიპასუხოთ: თუ დაწესებულება არ არის დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, ანუ დაწესებულებას არ აქვს წესდება (დებულება), ითვლება თუ არა ასეთი დაწესებულება ლეგიტიმურად, შეიძლება თუ არა ასეთი დაწესებულება ფუნქციონირებდეს და გამოსცემდეს ადმინისტრაციულ აქტს - ბრძანებას.

ბატონო გოგი,

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის თანახმად:

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

თქვენ მიერ აღნიშნული დაწესებულება შეიძლება წარმოადგენს რომელიმე ცენტრალური ორგანოს ქვემდგომ ორგანოს (ვთქვათ, როგორიცაა სამინისტროს რაიონული ორგანოები), ამ შემთხვევაში არ არის საჭირო იგი არსებობდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირის სახით.

გიორგი

გთხოვთ, გვიპასუხოთ: დაწესებულების ადმინისტრაციას - დამსაქმემებელს მოქმედი კანონმდებლობით აქვს თუ არა უფლება, განუსაზღვრელი ვადით დასაქმებული მუშაკი - პირი გადაიყვანოს ვადიან შრომის ხელშეკრულებაზე, თუ დასაქმებული წინააღმდეგია?

ბატონო გიორგი,

"შრომის კანონთა კოდექსის" 34-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 34. შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტა ადმინისტრაციის ინიციატივით

1. საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას შეუძლია ვადამდე მოითხოვოს შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტა:

ა) საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა), ან მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო;

ბ) თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას ან შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

გ) მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ან შრომის შინაგანაწესის სისტემატური შეუსრულებლობის, ან მის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო, თუ მუშაკის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება;

დ) სამუშაოზე გამოუცხადებლობისას დროებითი შრომისუუნარობის გამო ზედიზედ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით მიცემული შვებულების ჩაუთვლელად; აღნიშნული ოთხთვიანი ვადა არ ვრცელდება შრომითი დასახჩრებისა და პროფესიულ დაავადებათა დროს, აგრეთვე იმ დაავადებებზე, რომლებზედაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ მკურნალობის უფრო ხანგრძლივი ვადაა დაწესებული;

ე) თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სამუშაოზე აღადგენენ მუშაკს, რომელიც ადრე ასრულებდა ამ სამუშაოს, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკი, მისი თანხმობით გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე. ადმინისტრაცია თავისუფლდება ამ მოვალეობისაგან, თუ მას სხვა სამუშაო არ გააჩნია;

ვ) თუ მუშაკი სამუშაოზე გამოცხადდება არაფხიზელ მდგომარეობაში ან ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ;

ზ) სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლითაც მუშაკი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით (გარდა პირობითი მსჯავრისა და განაჩენის აღსრულების გადადებისა), ან სხვა სასჯელით, რომელიც ამ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობას გამორიცხავს;

თ) იმ მუშაკის ბრალეული ქმედების გამო, რომელიც პასუხიმგებელია ფულად ან სასაქონლო ფასეულობებზე, თუ ეს ქმედება ადმინისტრაციის მხრიდან ქმნის მის მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს, ან სამუშაო ადგილზე ქონების დატაცებისას (მათ შორის წვრილმანი დატაცების დროსაც), რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ან იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული სახდელის დადება;

ი) სასამართლოს გადაწყვეტილებით სპეციალიზებულ სამკურნალო - პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მუშაკის იძულებით გაგზავნის გამო;

კ) დადგენილი წესით მუშაკის ქმედუუნაროდ აღიარების გამო;

ლ) იმ მუშაკის მიერ ამორალური გადაცდომის ჩადენის გამო, რომელიც აღმზრდელობით ფუნქციებს ასრულებს და რაც შეუთავსებელია მუშაობის გაგრძელებასთან;

მ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. დაუშვებელია შვებულების ან დროებითი შრომისუუნარობის დროს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა, გარდა ამ მუხლის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მითითებულ შემთხვევებში ადმინისტრაციას შეუძლია შეწყვიტოს შრომის ხელშეკრულება, ხოლო შემდეგ თუ რა სახის ხელშეკრულებას დადებს, ეს უკვე მისი გადასაწყვეტია, რაც უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას.

ნუგზარ ჭიღლაძე

1999 წლიდან ვეწევი წიაღით სარგებლობით სამეწარმეო საქმიანობას შესაბამისი ლიცენზიით. 2001 წელს მოთხოვნის საფუძველზე წარვადგინე დოკუმენტაცია და თანხის გადახდის ქვითარი 300 ლარზე. მომცეს ექსპერტიზის შემდგომი დასკვნა, რითაც შემეძლო მუშაობის გაგრძელება, მაგრამ ვერ მომცეს ნებართვა გარემოს დაცვაზე სათანადო ბლანკების არარსებობის გამო. განაცხადეს, ბლანკების მიღებისთანავე შეგატყობინებთ და უპრობლემოდ მიიღებო. შეტყობინება არ მიმიღია, ჩემ წერილობით მიმართვაზე კი ზეპირად მპასუხობენ, ახალი ხელმძღვანელობა ძველ დასკვნაზე ნებართვას ჯერ არ იძლევაო. 2 წლის ლოდინის შემდეგ მიიღეს ახალი კანონი, რის მიხედვითაც მოსაკრებლის სახით მთხოვენ 300 ლარის გადახდას გარემოს დაცვით ნებართვის მისაღებად, მეკუთვნის თუ არა გადახდა?

ბატონო ნუგზარ,

2005 წლის 24 ივნისის კანონის "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის 38-ე და 39-ე მუხლების თანახმად:

მუხლი 38. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების სამართლებრივი სტატუსი

1. თუ კონკრეტული საქმიანობა ან ქმედება, რომელზედაც გაიცემოდა ლიცენზია ან ნებართვა, ამ კანონით აღარ რეგულირდება, არავის აღარ აქვს უფლება მოითხოვოს ამ საქმიანობის ან ქმედების განხორციელებისათვის ლიცენზია ან ნებართვა.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე იმ კონკრეტულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე გაცემული ლიცენზია ან ნებართვა, რომელიც ამ კანონით რეგულირდება, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი ვადის განმავლობაში.

3. თუ კონკრეტულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე გაიცემოდა ლიცენზია და ამ კანონის ამოქმედებიდან გაიცემა ნებართვა, ან პირიქით, ისე, რომ არსებითად არ შეცვლილა სალიცენზიო ან სანებართვო პირობები, ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია განცხადების საფუძველზე მოითხოვოს სალიცენზიო ან სანებართვო მოწმობის გაცემა. ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს შესაბამისი მოწმობა.

მუხლი 39. სარგებლობის ლიცენზიების გარდამავალი რეგულირება

1. ამ კანონის ამოქმედებამდე კონკრეტულ საქმიანობაზე გაცემული ლიცენზია, რომელზედაც ამ კანონის თანახმად გაიცემა სარგებლობის ლიცენზია, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი ვადის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საქმიანობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

გიორგი მიქიაშვილი

4 ნოემბრის "24 საათში" ჩემს შეკითხვაზე სავაჭრო ობიექტში მომუშავეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ თქვენს მიერ გაცემულ იქნა პასუხი, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ იქ მხოლოდ სამი პრობლემიდან ერთზე უპასუხეთ (რომ არსებობს ასეთი და ასეთი კანონმდებლობა), მაინტერესებს მეორეც - არსებობს თუ არა ისეთი მექანიზმი, რომ სავაჭროთა ადმინისტრაციული ფორმა ისე ააგოს, რომ იქ მომუშავეთა ყველა ქმედება მოექცეს თქვენს მიერ წინა პასუხში ჩამოთვლილ კანონთა ქვეშ და ბოლოს, უწინ სარევიზიო აღწერას ასრულებდა სახელმწიფოს მიერ მოვლენილი ოფიციალური პირი - რევიზორი, რომლის მიერ შედგენილი აქტი (ვთქვათ დანაკლისის შესახებ) კანონის ტოლფასი იყო სასამართლოს წინაშე, ვინ ცვლის დღეს ამ რევიზორს?

ბატონო გიორგი,

"შრომის კანონთა კოდექსი" განსაზღვრავს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის საფუძვლებს; ზიანის მიყენების შემთხვევაში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დააკისრებს პასუხისმგებლობას იმ მუშა-მოსამსახურეს, რომლის ბრალითაც იქნა ზიანი მიყენებული, თუ არ მოხდება ნებაყოფლობით ზიანის ანაზღაურება, მაშინ რჩება სასამართლოსადმი მიმართვის გზა, ამ შემთხვევაში მოსარჩელემ, ესე იგი მომჩივანმა, უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რის გამოც შეიტანა სარჩელი სასამართლოში; თუ მუშა-მოსამსახურე ჩაიდენს "სისხლის სამართლის კოდექსით" გათვალისწინებულ დანაშაულს, როგორიცაა - ქურდობა, თაღლითობა, მითვისევა ან გაფლანგვა, ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება, ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით ან სხვა დანაშაული (რის შესახებაც უნდა ეცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც დაადგენენ, ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულს), დაისჯება სისხლის სამართლის წესით, რაც არ გამორიცხავს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. თვით ხელმძღვანელობას, თანახმად "მეწარმეთა შესახებ" კანონისა, კონტროლს უწევენ საწარმოს დამფუძნებლები ან/და სამეთვალყურეო საბჭოები კანონით დადგენილი წესით. აღნიშნულ საწარმოებში შემოწმების ჩასატარებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს აუდიტორი, რომელიც შეამოწმებს საწარმოში არსებულ დოკუმენტაციას და შეისწავლის არსებულ ვითარებას.

ია კანკია

ვცხოვრობ რაიონში, ვარ ორი შვილის დედა, მეურვეობას ვუწევ თორმეტი წლის გოგონას, მყავს ჩემთან ოჯახში, რომლისაც ვარ ძალიან შორეული ნათესავი. გოგონას დედ-მამა გაცილებულნი არიან. დედის ადგილსამყოფელი არავინ არ იცის. მამას ჰყავს მეორე ცოლ-შვილი, რომელსაც ეკონომიკურად ცხოვრება უჭირს, ბავშვი აქამდე იმყოფებოდა 79 წლის ბებიასთან (დედის მხრიდან), რომელიც არ იყო უზრუნველყოფილი არანაირი პირობებით. ეკუთვნის თუ არა გოგონას რაიმე დახმარება, აგრეთვე რა სახით ვის შემიძლია მივმართო და რამდენად სამართლიანია ჩემი მოწყალება გოგონას მიმართ თუ გაითვალისწინებთ, რომ მთლიანი ოჯახი ვართ ღვთისმორწმუნე?

ქალბატონო ია,

"სამოქალაქო კოდექსის" შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 1212. შვილების რჩენის მოვალეობა

მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

მუხლი 1223. და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობა

დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები ან/და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი დების ან/და ძმების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

მუხლი 1225. პაპისა და ბებიის საალიმენტო მოვალეობანი შვილიშვილების მიმართ

პაპა და ბებია, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია მიიღოს სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

მუხლი 1226. მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო მოვალეობა

მამინაცვალი და დედინაცვალი, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ან/და შრომისუუნარო გერი, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, თუ იგი იმყოფება მათთან აღსაზრდელად ან სარჩენად და არა ჰყავს მშობლები ან არ შეუძლია მათგან მიიღოს თავისი სარჩენი სახსრები.

მუხლი 1228. მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აყვანილი ბავშვის რჩენის მოვალეობა

1. პირი, რომელიც მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანს ბავშვს, მაგრამ შემდგომ უარს იტყვის მის აღზრდასა და რჩენაზე, მოვალეა არჩინოს როგორც შრომისუუნარო სრულწლოვანი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ისე არასრულწლოვანი აღსაზრდელი, თუ მათ არა ჰყავთ მშობლები ან არ შეუძლიათ მიიღონ მათგან სარჩო.

2. ამ მუხლით დადგენილი წესი არ ვრცელდება მეურვეზე ან/და მზრუნველზე.

მუხლი 1275. ცნება

1. არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობლების ქმედუუნაროდ ცნობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მუხლი 1277. მზრუნველობა

1. მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე.

მუხლი 1278. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები

არასრულწლოვანი პირის მეურვეობა და მზრუნველობა ეკისრება განათლების ადგილობრივ ორგანოს.

მუხლი 1279. მეურვეობის და მზრუნველობის დაწესება

მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი არ ცხოვრობს მშობლებთან და ეს უკანასკნელნი თავს არიდებენ მისი აღზრდის მოვალეობას. თუ ბავშვი ცხოვრობს მშობლებთან, რომლებიც არ ასრულებენ მისი აღზრდის მოვალეობებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ასეთი მშობლებისათვის ბავშვის ჩამორთმევისა და მისი მეურვეობაში ან მზრუნველობაში გადაცემის საკითხის გადასაწყვეტად.

მუხლი 1281. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა

1. მეურვის ან მზრუნველის მოვალეობათა განსახორციელებლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს.

2. მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მათი თანხმობით.

მუხლი 1282. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის წესი

1. მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ცნობილი გახდება მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა.

2. მეურვის ან მზრუნველის არჩევისას მხედველობაში მიიღება მისი პიროვნული თვისებები, დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარი, ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს მასა და სამეურვეო (სამზრუნველო) პირს შორის და, აგრეთვე, როცა ეს შესაძლებელია, სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სურვილიც.

მუხლი 1284. ზედამხედველობა მეურვის ან მზრუნველის საქმიანობაზე

1. მეურვის ან მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა დებულებით.

"საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონი ჩამოთვლის რა იმ პირთა კატეგორიას, რომლებსაც ეხმარება სახელმწიფო გარკვეული თანხით, არ არის მითითება თქვენს მიერ მითითებულ შემთხვევაზე. თქვენ ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ სოც.უზრუნველყოფის ორგანოში განცხადების შეტანით, რომელიც, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია მოგცეთ ინფორმაცია განცხადებაში მითითებული საკითხის ირგვლივ.

კუპე-კუპე რესტორნები

A1 გვერდიდან

რაოდენ სამწუხაროა, როდესაც ათეული წლობით ნალოლიავები და ასეული არქიტექტორის მიერ ნაფიქრალ-ნაღვან საკითხებს ისევ ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით აგვარებენ ქალაქის ხელისუფალნი. არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის და ანრი ყრუაშვილის მიერ შესრულებული "რიყის" განაშენიანების პროექტი, რომელიც მერიამ წარმოადგინა, ვფიქრობ, უკან გადადგმული ნაბიჯია, ნაბიჯი, რომელიც შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს მომავალში. დიახ, ძალიან ძვირი ჯდება ის მიწისქვეშა სატრანსპორტო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლებსაც დღეს აწარმოებენ ამერიკისა თუ ევროპის დიდ ქალაქებში წარსულში დაშვებული შეცდომების გამო. ეს შეცდომები ძირითადად, კერძო მფლობელის მიერ სწრაფი მოგების სურვილისა და მთავრობის არაპროფესიონალიზმისა და კორუმპირებულობის შედეგი იყო. სხვის შეცდომებზე სწავლა უფრო ძნელია, ვიდრე საკუთარზე, მაგრამ იქნებ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, ყოველივე ავწონ-დავწონოთ და სამომავლო საკითხები მეტი სერიოზულობით გადავწყვიტოთ.

ამის იმედს, მართალი გითხრათ, ვეღარაფერი მაძლევდა, ბატონ გიგი უგულავას აზრი რომ არ მომესმინა: "თბილისი არ უნდა იქცეს კუპე-კუპე რესტორნების ქალაქად" (რუსთავი 2-ის ტელეარხზე გადაცემა - საქალაქო პროექტები 27.X.05). ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ბატონო გიგი, მაგრამ "რიყის" წარმოდგენილ პროექტში თავის სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტით ხომ იდეალური პირობებია ასეთი კუპე-კუპე რესტორნებისათვის. წარმოიდგინეთ ჩამოსული სტუმრებისა თუ უბრალოდ მოსეირნეთა მდგომარეობა ამ გარემოცვაში.

ამ რესტორნების სიმრავლე თავისთავად გამოიწვევს მათ გაიაფებას, რაც შესანიშნავ პირობებს შექმნის იმისთვის, რომ "რიყის" ტერიტორია ღრეობისა და თავაწყვეტილი ქეიფების ადგილ-სამყოფლად იქცეს, ანუ "რიყე"-ს, ბატონ ლადო ვარდოსანიძის ნათქვამისა არ იყოს, "სამუცლაო" დაერქვას. მოქეიფეებს თუ არ გავითვალისწინებთ, "რიყე" როგორი უკაცრიელიც დღესაა, მომავალშიც ისეთივე დარჩება.

ყველა ტერიტორიას აქვს თავისი ისტორიულ-კულტურული და ფიზიკური პოტენციალი, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ნებისმიერ საპროექტო წინადადებას. თბილისი ისტორიულად ევრო-აზიური სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი ცენტრი იყო მსოფლიოში, სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ტოლერანტული და ურთიერთკეთილგანწყობილ კულტურულ შრეს ქმნიდნენ დედაქალაქის საზოგადოებაში. ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ გარკვეული ზიანი მიაყენა ამ ურთიერთობებს. საქართველო ევროკავშირისკენ მიისწრაფვის და ამ შეცდომების დროული გამოსწორებაა საჭირო.

"ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძალმოსილების გარდა მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შექმნეს, რომ ისინიც, როგორც მაგ: სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანნიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ" (ივ. ჯავახიშვილი).

"თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსებს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა" (ივ. ჯავახიშვილი).

"ქრისტიანობის აღმსარებელი საქართველო საბერძნეთის და ელინური კულტურის მიმდევარი, იმავე დროს არაბულ-სპარსული მაჰმადიანური კულტურისა და პოეზიის თაყვანისმცემელი იყო, მაშასადამე - აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანული და მაჰმადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო" (ივ. ჯავახიშვილი). სწორედ წარსულის ამ იდეალებს სჭირდება რეაბილიტაცია "რიყე"-ზე და არა იმ ოდა სახლებს, რომელიც წარმოდგენილ პროექტშია.

ტერიტორიას, რომელიც ოთხ სხვადასხვა კონფესიურ ეკლესიათა შორის მდებარეობს, საჭიროა უფრო საინტერესო და დემოკრატიული პროცესებისთვის საჭირო დატვირთვა მივცეთ, დავუბრუნებთ რა ამით მას მისთვის ისტორიულ და, ამავე დროს, თანამედროვე ფუნქციას - აღზარდოს ახალი დროის ადამიანი. სწორედ ამ ადამიანზე ფიქრის შედეგია პარიზში საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის თანამედროვე არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც შესანიშნავად ჩაწერა ძველ განაშენიანებაში. საზოგადოებრივ-აქტიური მოედნები, ბიბლიოთეკა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების ექსპერიმენტული გალერეა, ფილმების სადემონსტრაციო დარბაზი, მუსიკა და ქორეოგრაფიის დარბაზი, სადისკუსიო დარბაზები, აი, ის არასრული ნუსხა ფართებისა, რაც პარიზმა ამ ცენტრის აშენებით მიიღო და ეს ყველაფერი ძირითადად, ახალგაზრდა თაობას ემსახურება, თაობას, რომელსაც სჭირდება ასეთი შეხვედრების ადგილი. ვფიქრობ, ეს მშენებლობა, პირველ რიგში, საფრანგეთის პრეზიდენტის ჟორჟ პომპიდუს დამსახურება იყო და შემდეგ მისი ავტორების - პიანოსა და როჯერსის.

რა ამის პასუხია, მაგრამ ერთორ სიტყვას სტუდია "არსის" მიერ წარმოდგენილ პროექტებზეც მოგახსენებთ. აღვადგინოთ "ვირის ხიდი" - კი ბატონო, მაგრამ ხიდი, რომელიც ერთ დროს ფუნქციური დატვირთვით სარგებლობდა, დღეს ვის სჭირდება? რად ვხარჯავთ ფულს კონსერვატიული და ფორმალისტური იდეების განსახორციელებლად, როდესაც გეგმარებითი და ახალი რეალიების გათვალისწინებით ხიდის აშენება სხვაგანაა მიზანშეწონილი, ანუ ორ ხიდს შუა და არა არსებული ხიდის გვერდით.

დღეს კონსერვატორები თუ ფორმალისტები არქიტექტურაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ მთავრობის მხრიდან, რაც, ვფიქრობ, ვერაფრით ესადაგება დროისა და ქალაქის მოთხოვნებს. ვახტანგ გორგასლისა და მეტეხის ტაძრის ერთობლივი კომპოზიციური სახე ქალაქის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ იქცა. რით გავამართლოთ მათ წინ ქარვასლის შენობის აღდგენა. წარმოიდგინეთ, პარიზში, ეიფელის კოშკის წინ ქარვასლის შენობა რომ აღადგინონ. იქნებ ვინმემ ისიც თქვას, გორგასლის ძეგლი გადავიტანოთო?! ბატონებო, დაიჯერეთ, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალთ.

აშკარაა, დღეს საზოგადოებრივ სივრცეს ბევრმა კერძო მესაკუთრემ დაადგა თვალი. ვფიქრობ, აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ქალაქის მერიის სამსახურს, მათ ხედვას და ჯანსაღ დამოკიდებულებას ამ საკითხებისადმი. ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს შორის მნიშვნელოვნად მივიჩნევ უკვე ჩატარებულ კონკურსს "რიყი"-ს განაშენიანების კონცეფციაზე. შედეგები ცნობილია და, ვფიქრობ, მხარდასაჭერი. ჟიურის მიერ მოწონებულ იქნა აზრი, "რიყე"-ზე მოეწყოს სარეკრიაციო და მრავალფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო ზონა.

საჭიროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯი - გამოცხადდეს კონკურსი. კონკრეტული არქიტექტურულ-საპროექტო დავალებით. ამ დავალების შედგენისთვის იღვწიან საქართველოს ურბანისტთა ასოციაცია ბატონ ლადო ვარდოსანიძის ხელმძღვანელობით. ვფიქრობ, ეს გზა უფრო თანმიმდევრული იქნება და მხარდაჭერას ჰპოვებს როგორც არქიტექტურული, ასევე მთელი საზოგადოებიდან. ეს კონკურსი შეიძლება საერთაშორისოც იყოს, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს წარმოდგენილ მასალას.

იდეათა ბანკში ერთ აზრს შემოგთავაზებთ. ჩემი მოსაზრებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას შეიძლება ევროაზიურ კულტურათა მეგობრობის ცენტრის კონკრეტული ფუნქცია მიეცეს. ეს ის ფუნქციაა, რომელიც თანამედროვე ინტერიერებში წარმოსახავს ჩვენს შესანიშნავ წარსულს და ახალი დემოკრატიული იდეებით გაამდიდრებს მომავალ თაობებს. ძველ გარემოსთან ახალი არქიტექტურის ჰარმონიული შერწყმით მივიღებთ იმ ძალოვან მუხტს, რომელიც გააერთიანებს ადამიანებს და ასწავლის მათ ქვეყნის აღმშენებლობის ერთიან ზოგადსაკაცობრიო ცხოვრების წესს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას საზოგადოებრივ ტერიტორიებზე კერძო მეპატრონეთა ნადირობა სავსებით გასაგები მოვლენაა, მაგრამ ისევ და ისევ ვიმეორებ, ქალაქის არქიტექტურული საზოგადოება, მერია უნდა არეგულირებდეს ამ მოვლენებს. ქალაქმა თუ დაკარგა ისეთი საზოგადოებრივი ტერიტორიები, როგორიცაა "რიყე", "ალექსანდროვის ბაღი", "ვაკის პარკი" და ა.შ., ჩვენ მომავალი თაობა არ გვაპატიებს ასეთ დაუდევრობას.

იპოლიტ ლიუბომირსკის ფოტოები

თავისუფლების ეს მონუმენტი არ უნდა დაიდგას! მაგრამ...

გზავნილი ხელისუფლებასა და მედიას

ადგილი: გალერეა კოპალა
მასპინძელი: გაზეთი "24 საათი"
სტუმრები - ხელოვნებათმცოდნე კრიტიკოსები: ანი კლდიაშვილი, ლია ანთელავა, გოგი ხოშტარია, მიტო თუმანიშვილი, სამსონ ლეჟავა.
მთავარი თემა: ქალაქის მონუმენტები, ზურაბ წერეთლის ჯერ არჩამობრძანებული თავისუფლების მონუმენტი.

სოფო კილასონია: დიდი მადლობა მობრძანებისთვის. შეხვედრის მთავარი მიზანია, შედგეს პროფესიონალთა საუბარი ქალაქის განაშენიანებაზე, ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებზე, რომელიც ორი სკულპტურული მონუმენტის დუეტსა და დუელზეა აგებული. ვისაუბროთ კულტურის პოლიტიკაზე, რომლის არსებობაც ჩვენთან ძალიან საეჭვოა. მედია და ხელისუფლება აზრს ეკითხება ადამიანებს, რომლებიც არ არიან საკითხისადმი კომპეტენტურნი. სწორედ ამით იქნა პროვოცირებული ჩვენი სურვილი, ამ შეხვედრის ორგანიზებისა. ბუნებრივია, რომ ჩვენს სტუმრებს მიმდინარე მოვლენები ყველაზე უკეთ ესმით და უკეთაც შეაფასებენ. ჩვენთან სტუმრად არიან მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები, ასევე რამდენიმე ადამიანი საპატრიარქოდან და ბუნებრივია, ის ადამიანები და ახალგაზრდები, ვისაც საკუთარი დედაქალაქის ბედი ჯერ კიდევ ადარდებს. დავიწყოთ იმით, რომ სულ რამდენიმე დღის წინ ქალაქის ცენტრიდან გაიტანეს მერაბ ბერძენიშვილის ქმნილება, ამან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რამდენად გაამართლებს მონუმენტისთვის მისი ახალი "ბინა"? თქვენ როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას. საქართველოში მონუმენტები მისი ესთეტიკური ღირებულებების გამო არასდროს მოუსსნიათ, ამაზე საუბარიც არ ყოფილა, აქამდე მათ მხოლოდ იდეოლოგიური ნიშნით გამოვარჩევდით. თუმცა, ეს კიდევ არ არის ყველაფერი. სულ მალე ის მონუმენტი წამოიმართება თბილისის გულში, რომელსაც თავისუფლების მონუმენტი უნდა დავარქვათ, თუმცა რამდენად იქნება იგი თავისუფლების, ანდა სხვა ნებისმიერი რამის გამომხატველი მეორე საკითხია.

ანი კლდიაშვილი: პირველი და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ უნდა მოხდეს ანალიზი რესპუბლიკის ე.წ. მოედნისა, თუ რას წარმოადგენს იგი დღეს. დამერწმუნეთ, რომ იგი აუციულებლად უნდა შეიცვალოს. მაგრამ სანამ ეს მოხდება, ექსპერტთა სპეციალური დასკვნებია საჭირო. იგი არანაირად არ ეწერებოდა ჩვენი ქალაქის ლანდშაფტში. ასეთი დიდი სივრცე სხვა ქალაქში არ გვაქვს. გასაგებია, რომ საბჭოთა პერიოდში აუცილებლობა დადგა პომპეზური მოედნისა, თუმცა ფუნქციურად ეს მოედანი აბსოლუტურად გაუმართლებელია. იგი თბილისისთვის ორგანული არასდროს ყოფილა. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ბერძენიშვილის შემოქმედებას, მაგრამ ამ ძეგლის სინთეზი მოედანთან თავის დროზევე იყო ძალიან საეჭვო. ადგილიც შეუფერებელი იყო და ფონიც ივერიის სახით სრულიად გაუგებარი გახლდათ. ის რომ ეს მოედანი რეკონსტრუირებას საჭიროებს, ეჭვგარეშეა. თუმცა, საჭირო იყო ყოფილიყო რეკომენდაციები, ექსპერტების აზრი, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო მოცემული სივრცე. არ მოხდეს ისე, რომ ის, რაც გაკეთდება, ასევე უცხო აღმოჩნდეს თბილისისთვის. რაც შეეხება თავისუფლების მოედანსა და წერეთლის ნაწარმოებს. იქ მონუმენტის დადგმა მარტო იმიტომ არ შეიძლება, რომ ისტორიული ნაგებობის, თეატრის ნაშთებია ქვემოთ დარჩენილი, თანაც გაუაზრებელი მონუმენტის დადგმა სრულიად დაუშვებელია. ვამბობთ, - რატომ არ გვკითხეს, სად და რა დადგმულიყო, - ბუნებრივია, რომ ასე ხდება, ვინ დასთანხმდებოდა ამ პროექტის განხორციელებას? არავინ. რატომ უნდა დაიდგას თბილისში ის ქანდაკება, რომელსაც მისი ავტორი სერიულად ასხამს და სხვადასხვა ქალაქებს ჩუქნის? ესეც გაუგებარია. მარტო ეს ფაქტი არის მაუწყებელი იმისა, თუ რაოდენ უსახურობასთან გვაქვს საქმე.

ლია ანთელავა: ფაქტია, რომ თავისუფლების მონუმენტის მაკეტი ასახავს პირველ რიგში ანსამბლურობის შეგრძნების არარსებობას. ანსამბლი კი არის ჩვენი შინაგანი კულტურული მენტალობის შედეგი, ანუ ყველა ისტორიულ ეპოქაში იქნებოდა ისეთი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც ასახავდა ამ ეპოქის წარმოდგენას მთელზე. ანსამბლი ასახავს მსოფლშეგრძეობას იმ საზოგადოებისა, რომელიც არის ავტორი. მთლიანი ხედვა სამყაროსი თანამედროვე საქართველოში კი გამქრალია. ყველაფერი, ქანდაკება, არქიტექტურა თუ სხვა, საზოგადოების კულტურულ დონეზე მეტყველებს. ვკითხულობთ, რა ხდება? რა არის ეს? სამწუხაროდ, როგორც ჩანს, სწორედ ისაა, რაც ვართ და რითიც ვცხოვრობთ, ეს ერთი ჯაჭვია და სხვა არაფერი. კულტურულ ეპოქათა სწრაფმა ცვლილებამაც განაპირობა მრავალი რამ. ჩვენს კულტურულ მენტალობას კი დაღი დასასვა. ჩვენ ვცდილობთ, დავასაბუთოთ ახალი მონუმენტის მხატვრული უნიათობა, არადა გვაძლევს კი ჩვენი სოციუმი იმის საშუალებას, რომ ამაზე ვილაპარაკოთ? საზოგადოება კი არის გააზრებული? ბერძენიშვილისა და წერეთლის მონუმენტების ამბავი, ეს ერთი და იგივე ქცევის ორი უკიდურესობაა. ჩვენ ერთი დავა დავამთავრეთ და იწყება ახალი: ვიღაცას კიდევ მოუნდა საკუთარი ძეგლი დადგას და მორჩა. ეს მოედანი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროს ახალი შენობა კატასტროფულია და ყველაფერი გააფუჭა, მაგრამ მაინც. იქ სივრცე აქამდე აშკარად იქმნებოდა. იმის ნაცვლად, რომ იგი გავიაზროთ და გავალამაზოთ, უარესს ვაკეთებთ, ვიდრე ოდესმე გაგვიკეთებია. როგორც ჩანს, სურთ, რომ აქ ყველაფერი დაინგრეს და დაიშალოს. თამამად ვთქვათ, რასთან გვაქვს საქმე? ერთი პიროვნების ძალის დემონსტრირებასთან. ყველაზე მეტად ის არის მთავარი, რომ ჩვენთან საზოგადოებრივი პოზიცია და აზრი არ ფიქსირდება. ნუთუ არ გვაქვს არანაირი მექანიზმი, რომ წერეთელს დავუშალოთ იმის გაკეთება, რაც მხოლოდ მას სურს?!

გოგი ხოშტარია: ახალი ადგილი აღმაშენებლის ძეგლისთვის, თქმა არ უნდა, რომ არ გაამართლებს. უკეთესი იქნებოდა მცოდნე ხალხისთვის, თავად მერაბ ბერძენიშვილისთვის ეკითხათ, სად აჯობებდა მისი გადაადგილება. მაგრამ მე ამ საკითხს სხვაგვარად ვუყურებ. მონუმენტი არ იდგმება ერთი ან ორი წლისთვის, ყველაფერი უნდა იყოს გააზრებული, არქიტექტურული ფონი, მასშტაბი, პროპორციები, ურთულესი პრობლემებია გადასაწყვეტი და ამის ერთი ხელის მოსმით გაკეთება არ შეიძლება. ვახტანგ გორგასლის მონუმენტის შემთხვევაში, გიორგი ჩუბინაშვილი მოგვიწოდებდა, რომ მოგვეცადა და მაშინ არ დადგმულიყო ქალაქში. მართალიც იყო, ეს იყო პოსტალინური ლიბერალიზმი, როცა უკან იყო უამრავი წელი სოცრეალიზმისა, გარდა ამისა საქართველოში მონუმენტის ტრადიცია არ არსებობდა. მონუმენტის კულტურა ჩვენთვის უცხო იყო და დღესაც ასეა. უნდა გავიაზროთ მსოფლიო დონის გამოცდილება და დონე, რათა ჩვენი მხატვრული კულტურა მაღალ დონეზე ავიდეს. დღეს, ჩვენ ქართველებმა, როგორც ჩანს, დავკარგეთ ჩვენი მენტალობისა და ჩვენი კულტურის ერთ-ერთი მთავარი ზომიერების გრძნობა. სატელევიზიო გადაცემებში ერთმანეთს ეძახიან გენიოსებს. მოდით, ნუ ვარიგებთ ამ ტერმინებს, ეს სრულიად არაფრის მომცემია. ჩვენ საკუთარ ქვაბში ვიხარშებით და მოთხოვნის კრიტერიუმები ძალიან დაბლა დაეცა. ის რის დადგმასაც თავისუფლების მოედანზე აპირებენ, ერთი დიდი ტყუილია და სხვა არაფერი. ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი უნდა გავაკეთოთ. მაინც დადგამენ თუ არა, ეს მეორე საკითხია, თუ გული გულობს საკუთარი პოზიციის გამყარებას მოვახერხებთ. მთავარი საზოგადოებრივი ნებაა და კიდევ ის, რომ დროულად შევაფასოთ მოვლენა, ინერტულობა უნდა დაიძლიოს. ეს უმნიშვნელო ამბავი არაა. თუ კულტურის სამინისტროს და კიდევ სხვებს არ ესმით, რომ დაკვეთით შემოქმედება და ხელოვნება არ იმართება, მაშინ ეს პიროვნებები იქ არ უნდა იყვნენ, სადაც არიან.

მიტო თუმანიშვილი: 1989 წელი იყო, როცა გადაწყდა აღმაშენებლის მონუმენტის დადგმა, თუმცა არა, ეს ბატონმა მერაბმა მოისურვა რესპუბლიკის მოედანზე მონუმენტის დადგმა. საერთოდ ეს ქანდაკება დიდგორის ველისთვის იყო გამიზნული. თავიდანვე ვიცოდით, რომ ამ ქანდაკების მოედანზე დადგმა კატეგორიულად არ შეიძლებოდა. მოგვწონს - არ მოგვწონს სხვა საქმეა, მაგრამ ამაზე უარესი ადგილი ამ ქანდაკების აღსაქმელად დედამიწაზე სხვა არ იქნებოდა. პარადოქსია და თავად ავტორმა გადაწყვიტა ასე. მაშინ საქმე შეჩერდა, 10 წლით გადაიდო, მერე კი ერთ მშვენიერ დღეს ქანდაკება მოედანზე დაგვხვდა. არის კიდევ ბევრი პრობლემა, თუმცა ყველაზე მთავარი მაინც ზოგადად მონუმენტის პრობლემაა, რომელიც მიდის ახლად დასადგმელ, თუ არდასადგმელ ქანდაკებასთან, თავისუფლების მონუმენტთან. რა არის მონუმენტი თანამედროვე სამყაროში საერთოდ? სრულებით აშკარაა, რომ ძეგლი მოკვდა, მას საფუძველშივე თან სდევდა სიკვდილი. ერთი მხრივ, ეს არის შემოქმედის, სუბიექტის ქმნილება, რომელსაც არავისა და არაფრის გათვალისწინება არ სურს და მეორე მხრივ, იგი საზოგადო მონუმენტია. საზოგადოება კი ითხოვს, რომ მისი თქვენ და არა ვიღაცის. ამას ემატება ის, თუ რამდენად გვჭირდება ძეგლი ჩვენ. როგორც წესი, ის რაც იდგმება, არანაირად არ გამოხატავს ჩვენს კულტურას და ტრადიციას. დამერწმუნეთ, მოვა დრო, რომელიც არც თუ ისე შორსაა და ე.წ. თავისუფლების მონუმენტის აღებაც დადგება დღის წესრიგში. მონუმენტისა, რომელიც სასაცილოა თავისი ფორმებითა თუ დატვირტვით. რისი მთქმელია წმინდა გიორგი? ფაქტია, რომ ამით ხატის გაკერპება ხდება, მაგრამ დამიჯერეთ, ამ და მის მსგავს საკითხებზე არც ავტორს და არც დამკვეთთ არ უფიქრიათ. მისი დადგმა დაუშვებელია, მაგრამ...

სამსონ ლეჟავა: ჩვენში, თვითონ პლასტიკურ აზროვნებაში პრობლემა არაა, ტრადიცია, თუნდაც ჩვენი სატაძრო არქიტექტურა, მისი პლასტიკური სხეული ძალიან მდიდარია. თუნდაც მცხეთის ჯვარი რომ ავიღოთ, კარგად ჩანს, როგორ შეგვეძლო უზარმაზარი ტერიტორიის მოწესრიგება. უნდა გავითვალისწინოთ ის სისადავე და სისავსე, რომელიც ჩვენს ხელოვნებას ახასიათებს. ეს და კიდევ ბევრი, ახალი მონუმენტის მაკეტში არ ჩანს. თუ კარგად გავიაზრებთ საკითხებს, თუ ძველის ახლებური ტრანსფორმაციის საფუძველზე გავიაზრებთ ყოველივეს, შესაძლოა, სხვაგვარად და წარმატებით გაცოცხლდეს ესა თუ ის იდეა. მაგრამ ჩვენ ჩვენი ტრადიცია არ ვიცით და რაღა უნდა ვთქვათ მსოფლიო ხელოვნების პრაქტიკაზე. ჩვენ, პროფესიონალები ბევრად აქტიურად უნდა ჩავერთოთ კულტურულ პროცესებში, მაგრამ არც საზოგადოებამ უნდა მიიძინოს. ხელისუფლებამ კი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს და აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ პროფესიონალთა აზრს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგანაც ის პროცესები, რომლის მოწმენიც ვართ, შემდგომში აღარ განმეორდეს. წამგებიან ნაბიჯებს ბოლო უნდა მოეღოს.

ლია ანთელავა და ანი კალანდაძე.

მიტო თუმანიშვილი, სამსონ ლეჟავა და გიორგი ხოშტარია.

ბრძანება

წყლის მიწოდების ადგილობრივ ტარიფებში ცვლილებების შეტანის შესახებ

ნავსადგურის აკვატორიაში შემოსულ გემებზე წყლის მიწოდების ადგილობრივი ტარიფების შესახებ ნავსადგურის 2005 წლის 17 ოქტომბრის №3322/ა ბრძანებაში ცვლილებების შეტანის მიზნით

ვბრძანებ:

1. 17.10.2005 წლის №322/ა ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

"2. გარე რეიდზე წყლის მიწოდებისას გამოყენებული იქნას წყლის ბარჟა "ჭოროხის" ბუქსირების გაორმაგებული ტარიფი."

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" ადმინისტრაცია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1.	თბილისის სააპელაციო სასამართლო	39	სამტგატო ერთეული
2.	ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	20	სამტგატო ერთეული
3.	აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სააპელაციო სასამართლო	2	სამტგატო ერთეული
4.	აჭარის ა/რ უმაღლესი სააპელაციო სასამართლო	11	სამტგატო ერთეული
5.	თბილისის საქალაქო სასამართლო	17	სამტგატო ერთეული
6.	ადიგენის რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
7.	ახალციხის რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
8.	ბათუმის საქალაქო სასამართლო	2	სამტგატო ერთეული
9.	გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლო	2	სამტგატო ერთეული
10.	გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
11.	თერჯოლის რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
12.	ლენტეხის რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
13.	მარტვილის რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
14.	ოჩამჩირის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლო	2	სამტგატო ერთეული
15.	რუსთავის საქალაქო სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
16.	საგარეჯოს რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
17.	საჩხერის რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული
18.	ქობულეთის რაიონული სასამართლო	3	სამტგატო ერთეული
19.	ჩხოროწყუს რაიონული სასამართლო	1	სამტგატო ერთეული

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთები მიიღება 2005 წლის 12 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ კვირის ჩათვლით, 1100-დან 1600 საათამდე.

მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახელზე კონკრეტულ ვაკანტური ადგილის მითითებით (შეივსება ადგილზე);
ბ) ავტობიოგრაფია;
გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია;
დ) საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის მიერ გაცემული ცნობა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ;
ე) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N 27);
ვ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
ზ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;
თ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ი) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
კ) ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ;
ლ) ორი ფერადი ფოტოსურათი (3X4).

შენიშვნა: კანდიდატები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2005 წლის მაისის და ივლისის თვეში გამოცხადებულ მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში, წარმოადგენენ მხოლოდ განცხადებას.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში:
ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. N12
ტელეფონი: *27-31-00,* 27-31-03, 27-31-04, 27-31-05, 27-31-06, 27-31-07, 27-31-08

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის საავიაციო ინსტიტუტი, მისამართი: ქ. ქობულეთი აღმაშენებლის ქ. № 269.

აცხადებს ღია ტენდერს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს შემდეგი სახის კვების პროდუქტების შესასყიდად:

1. პური I ხარისხის - 155400 კგ
2. ჩაი - 26,0 კგ
3. კარაქი - 880 კგ
4. შაქარი - 1660 კგ
5. კერცხი - 11 100 ც კგ
6. მანი - 290 კგ
7. სგუშონი - 160 კგ
8. ბრინჯი - 590 კგ
9. მაკარონი - 890 კგ
10. ბარდა - 290 კგ
11. ლობიო - 830 კგ
12. ხორცი - 3330 კგ
13. კარტოფილი - 8880 კგ
14. ზეთი - 445 კგ
15. ტომატი - 222 კგ
16. სტაფილო - 444 კგ
17. ხახვი - 666 კგ
18. ნიორი - 110 კგ
19. პიმპილი, უცხო სუნელი - 70 კგ
20. მარილი - 666 კგ
21. მწვანილი - 666 კგ
22. ვაშლი - 1110 კგ
23. კომბოსტო - 2220 კგ
24. ჭარხალი - 1110 კგ
25. ფქვილი (პურის) - 354 კგ
26. ფუნთუშა - 22200 ც
27. ქათამი - 2220 კგ
28. წიწიბურა - 888 კგ
29. მაიონეზი - 222 კგ
30. ბარდას კონსერვი - 222 კგ
31. ყველი - 555 კგ
32. არაჟანი - 555 კგ
33. თევზი - 500 კგ
34. კაკაო - 100 კგ
35. კისელი - 3510 კგ
36. სოსისი - 700 კგ

მოწოდებული პროდუქტი უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს.

მოწოდების სასურველ ვადად განისაზღვრება 2005 წლის 1 აპრილიდან 2005 წლის 31 დზეკემბრამდე შემსყიდველი ორგანიზაციის წინასწარი დაკვეთის შესაბამისად დადგენილი გრაფიკით, შემსყიდველი ორგანიზაციის მისამართზე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართულ ენაზე) წარმოადგინონ 10 ნოემბრის 9 საათიდან 20 ნოემბრის 17 საათამდე შემსყიდველის მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. № 269.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას (სასამართლოდან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან), რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას (შსს საინფორმაციო ცენტრიდან), რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას (სასამართლოდან), რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ფიზიკური პირისთვის:

ა) ცნობას (სამედიცინო დაწესებულებიდან), რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას (შსს საინფორმაციო ცენტრიდან), რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას (სასამართლოდან), რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს განცხადებაში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 20 ნოემბრის 9 საათიდან 25 ნოემბრის 17 საათამდე. მის. ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. № 269.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: 6-65-92, 6-65-05.

მისამართზე: ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის № 269.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა პრეტენდენტებს შეეძლებათ აჭარის ცენტრალურ ბანკში.

ბანკის კოდი 220501102
საიდენტიფიკაციო კოდი 245437317
ანგარიშის ნომერი 000142101

"აპოლო სტეროიდებზე", ანუ ამერიკელთა დაბრუნება მთვარეზე

ამერიკელებს მთვარეზე ბაზა 2018 წელს ექნებათ

გასული წლის დასაწყისში, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უმცროსმა ეროვნულ აეროკოსმოსურ სააგენტოს (NASA) მთვარეზე დაბრუნების გეგმის შემუშავებისკენ მოუწოდა, რასაც მომავალში მზის სისტემის დაწვრილებითი კვლევა და ათვისება უნდა მოჰყვეს. მაშინვე განისაზღვრა, რომ მთვარეზე დაბრუნებას, პირველ რიგში, ადამიანის მარსზე ვიზიტი უნდა მოჰყვეს და რა თქმა უნდა, ეს ადამიანი ამერიკელი უნდა იყოს.

პრეზიდენტისგან შეკვეთის მიღებისთანავე, NASA-ს სპეციალისტები მთელი მონდომებით შეუდგნენ ამოცანის გადაჭრის გზების შემუშავებას. განხილულ იქნა მთვარეზე დაჯდომის უამრავი ვარიანტი და წინადადება. გათვალისწინებულ იქნა კოსმოსური კვლევის დროს დაგროვილი გამოცდილება. საბოლოოდ კი შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც, ამერიკელი ასტრონავტები ჩვენი პლანეტის სატელიტის ათვისებას 2018 წლიდან შეუდგებიან.

გეგმის მიხედვით, მომდევნო 12 წლის განმავლობაში, თავისი პროექტის განსახორციელებლად, NASA-ს 104 მილიარდი დოლარის დახარჯვას აპირებს. პროექტით გათვალისწინებულია ეკიპაჟისთვის 5,5-მეტრი დიამეტრის მქონე კაფსულის, სახელად "ეკიპაჟიანი საკვლევი აპარატი" (CEV - ქრიუ იქსპლორერიშნ ვიჰაიქლ) აგება და იმ რაკეტა-მატარებლების კომპონენტების გამოყენება, რომლებსაც დღეს ორბიტაზე გაჰყავს "შატლები". ეს კომპონენტებია სარაკეტო ძრავები, რაკეტა-ამაჩქარებლები და საწვავის ავზები.

NASA-ს პროგრამით, რომელსაც "საკვლევი სისტემების არქიტექტურის შესწავლა" ეწოდა, 2018 წელს მთვარეზე უნდა გადაჯდეს 4 ასტრონავტი, რომლებიც იქ 7 დღეს გაატარებენ. თუმცა, პილოტირებული ექსპედიციის დაწყებამდე, რამდენიმე უპილოტო ექსპედიცია განხორციელდება. სამთვარეო უპილოტო მოდულს ორბიტაზე გაიყვანს ძლიერი რაკეტა-მატარებელი, რომელიც ორი რაკეტა-ამაჩქარებლისა და "შატლის" 5 ძრავისგან შედგება.

ამის შემდეგ, ორბიტაზე გაიგზავნება პილოტირებადი კაფსულა-მოდული, რომელსაც იქ ახალი რაკეტა-მატარებელი გაიყვანს. ეს რაკეტა 4 მყარსაწვავიანი სეგმენტისა და ზედა საფეხურისგან შედგება. ეს უკანასკნელი აღჭურვილია "შატლის" მთავარი ძრავით.

ორბიტაზე მოხდება უპილოტო და პილოტირებადი მოდულების შეპირაპირება და ორივე ერთად, მთვარისკენ აიღებს გეზს. ეს ვოიაჟი რამდენიმე დღეს გასტანს და ექსპედიცია მთვარის ორბიტაზე გავა. ამის შემდეგ, სისტემას გამოეყოფა დასაჯდომი (მთვარის) მოდული, რომელშიც 4 ასტრონავტი იქნება მოთავსებული. იმ ერთი კვირის განმავლობაში, სანამ ასტრონავტები მთვარის ზედაპირზე იმუშავებენ, დასაბრუნებელი მოდული მათ ორბიტაზე "დაელოდება". სხვათა შორის, ამ მოდულს მთვარის ორბიტაზე ნახევარი წლით დარჩენა შეეძლება.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი - "აპოლოს" ექსპედიციების დროს, მთვარის ორბიტას სამი ასტრონავტი აღწევდა, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი ახერხებდა ჩვენი პლანეტის სატელიტის ზედაპირზე გადასვლას, ერთი კი ორბიტალურ აპარატზე რჩებოდა. ახალი პროგრამა მთვარის ორბიტაზე 4 ასტრონავტის გაყვანას ითვალისწინებს. რაც მთავარია, ყველას ექნება მთვარეზე მუშაობის საშუალება. სანამ ისინი იქ იმუშავებენ, დასაბრუნებული მოდული ავტომატურ რეჟიმში იმუშავებს.

"აპოლოს" ექსპედიციისგან განსხვავებით, ამჯერად მოდულს მთვარის ნებისმიერ ადგილზე დაჯდომის უნარი ექნება. წინასწარი ვარაუდით, ასტრონავტები მთვარის სამხრეთ პოლუსის სიახლოვეს დაეშვებიან და იქვე დასცემენ ბანაკს, რომელსაც მომდევნო ექსპედიციის მონაწილენიც გამოიყენებენ. სამხრეთი პოლუსი NASA-ს აინტერესებს იმდენად, რამდენადაც, ვარაუდობენ, რომ იქ ყველაზე დიდი რაოდენობითაა ჟანგბადი და გაყინული წყალი.

ყველა ექსპედიცია მთვარეზე დატოვებს ეკიპირებასა და სამუშაო საშუალებებს, რომლებსაც მომდევნო ასტრონავტები გამოიყენებენ. უფრო მეტიც, ყველა ესკპედიცია თან წაიღებს მომავალი სამთვარეო ბაზის დეტალებს, რომელთა თანდათანობით აწყობის შემდეგ, იქ სრულფასოვანი ბაზა აიგება. პროექტის ავტორები ამბობენ, რომ ამ გეგმის შემუშავებისას, მათ ანტარქტიდაზე მუშაობისას დაგროვილი გამოცდილება გაითვალისწინეს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მთვარის პირველი ბაზა ყინულოვანი კონტინენტის საკვლევი ბაზების ანალოგიური იქნება.

მთვარეზე დაბრუნებით, NASA-ს სურს იმის დემონსტრირება, რომ ასტრონავტებს ადგილობრივი რესურსებით შეუძლიათ იქ ცხოვრება. ისინი შეეცდებიან, ადგილობრივი ჟანგბადის, წყლის რესურსების და საწვავის გამოყენებით, ცხოვრებისთვის საჭირო პირობები შექმნან. თუ ამერიკელები შეძლებენ მთვარეზე სრულფასოვანი ბაზის ამოქმედებას, მაშინ დადგება გეგმის მომდევნო საფეხურის ჯერი, რომელიც მარსზე პირველი პილოტირებადი ექსპედიციის გაგზავნას ითვალისწინებს.

ეკიპაჟის კაფსულის შექმნა დაახლოებით 5.5 მილიარდი დოლარი დაჯდება, მატარებელი მოდულისა კი - 4.5 მილიარდი. სატრანსპორტო კაფსულა მინიმუმ, 6-ადგილიანი უნდა იყოს. მისი უპილოტო ვარიანტით კი მცირე რაოდენობით ტვირთის გადატანაც იქნება შესაძლებელი.

უსაფრთხოება

"ეკიპაჟიანი საკვლევი აპარატის" პროგრამაში დიდი ყურადღება დაეთმობა ასტრონავტების უსაფრთხოებას. პილოტირებადი მოდულის შიგთავსი ერთგვარი საევაკუაციო კაფსულაც იქნება, რომელიც, ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, ავტომატურ რეჟიმში, საკუთარი სარაკეტო ძრავით გამოეყოფა სისტემას და დაიცავს ეკიპაჟის წევრებს განსაცდელისგან.

როგორც პროექტის ავტორები ამბობენ, CEV-ის უსაფრთხოების დონე ათჯერ მეტია "შატლისაზე". ამასთან, ჩვენს პლანეტაზე დაბრუნებისას, CEV-ს არ ექნება მართვის დამოუკიდებელი სისტემა. ატმოსფეროში შემოჭრისას მასაც თერმული ფარი დაიცავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც კაფსულა თავისუფალ ვარდნას დაიწყებს, გაიშლება პარაშუტების სისტემა, რომელიც მის სიჩქარეს შეამცირებს. მიწაზე შეხების სიხისტის შესამცირებლად კი, კაფსულა გაშლის აირბალიშების კვანძს და ხმელეთზე დაეშვება. ცნობისათვის, "აპოლოს" პროგრამაში, დაბრუნება კაფსულის ოკეანეში ჩავარდნით მთავრდებოდა.

უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, პროექტის ავტორებმა უარი თქვეს "შატლის" ტიპის საწვავი ავზების გამოყენებაზე. როგორც ცნობილია, "შატლში" პილოტირებადი მოდული მუცლითაა მიერთებული საწვავის უზარმაზარ ავზთან და მას ფრენის დროს შორდება. დაშორების პროცესში კი იზრდება საფრთხე, რადგან დამაკავშირებელ კვანძებს ვარდნის დროს პილოტირებადი მოდულის დაზიანება შეუძლია. სწორედ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2003 წლის თებერვალში, როცა კოსმოსიდან დაბრუნებისას დაიღუპა აპარატი "კოლუმბია".

CEV-სისტემაში, რაკეტა-მატარებელი რამდენიმე (ხუთ) საფეხურადაა დაყოფილი და მასშივეა მოთავსებული საწვავის ავზი, კონსტრუქციის კენწეროში კი პილოტირებადი, ან სატვირთო მოდულები თავსდება. რაკეტას საფეხურები სიმაღლის აღებასთან ერთად სცილდება ისე, რომ მათგან პილოტირებადი მოდულის დაზიანების ალბათობა გამორიცხულია.

ბიუჯეტი

NASA იმედოვნებს, რომ პირველ კაფსულას 2011 წლამდე შექმნის. მანამდე ერთი წლით ადრე შეწყდება "შატლების" ექსპლუატაცია. მატარებელი და სამთვარეო მოდულების შექმნაზე მუშაობა კაფსულის დამზადების შემდეგ დაიწყება. 2011 წლამდე, პროგრამის განხორციელების პროცესში, NASA ყოველწლიურად დაახლოებით 7 მილიარდ დოლარს დახარჯავს, 2011 წლის შემდეგ კი ეს თანხა 15 მილიარდამდე გაიზრდება. შედარებისთვის, NASA-ს 2006 წლის ბიუჯეტი 16,4 მილიარდი დოლარით განისაზღვრა.

პილოტირებადი ექსპედიციების მომზადებამდე, 2011 წლისთვის დაგეგმილია უპილოტო ექსპედიციების დაწყება, რომლის მიზანი იქნება მთვარის ზედაპირის შესწავლა, რათა მოიძებნოს პილოტირებადი მოდულების დასაჯდომად გამოსადეგი ადგილები. პარალელურად, მოხდება მთვარის ზედაპირის ზოგადი შესწავლა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. უპილოტო აპარატები მთვარეზე დატოვებენ პილოტირებადი ექსპედიციებისთვის გამოსადეგ სხვადასხვა ხელსაწყო-საშუალებებს.

NASA-ს ხელმძღვანელობა თავის გეგმას ხუმრობით უწოდებს "აპოლოს სტეროიდებზე". "ეს იგივე "აპოლოა", ოღონდ, გაცილებით დიდმასშტაბიანი. მე ვიტყოდი, ეს არის "აპოლო" სტეროიდებზე", - ამბობს სააგენტოს შეფი მაიკლ გრიფინი.

გრიფინი ორიგინალური ხერხით ამართლებს პროგრამის უსაშველო სიძვირესაც. ის ამბობს, რომ მთვარის პროგრამა "ეკიპაჟიანი საკვლევი აპარატი" გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე ერაყში საომარ მოქმედებათა კამპანია. თანაც, მოთხოვნილი 104 მილიარდის გაღება ქვეყანას 13 წლის განმავლობაში მოუწევს, რაც წლიურ ხარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებს. უფრო მეტიც, დოლარის ძველი და ახალი კურსების გადაანგარიშებით, გრიფინი აცხადებს, რომ ახალი პროგრამა "აპოლოს" ხარჯების დაახლოებით 55 პროცენტში "ჩაეტევა".

მთვარიდან მარსზე

მთვარეზე ბაზების განლაგება NASA-ს იმისათვის სჭირდება, რომ იქიდან უფრო ადვილი და იაფი იქნება სხვა პლანეტების მიმართულებით ფრენა. პირველ რიგში, სხვა პლანეტები მარსი და ვენერაა. ამ ორიდან პირველად კი ადამიანი მარსისკენ გაეშურება.

სხვა პლანეტაზე ექსპედიციის მთავარი პრობლემა საჭირო რაოდენობის საწვავია. ჩვენი პლანეტიდან დიდი რაოდენობით საწვავის წაღება უსაშველოდ გაზრდის რაკეტის ზომებს და ღირებულებას. გაიზრდება რაკეტა-ამაჩქარებლის ზომები. ერთი საინტერესო ფაქტიც: საწვავის ერთი და იგივე რაოდენობით, რაკეტა-მატარებელს გაცილებით მეტი ენერგია სჭირდება, როცა დედამიწიდან იღებს სტარტს. ეს იმიტომ, რომ ჩვენი პლანეტა მთვარეზე დიდია და შესაბამისად, უფრო დიდი გრავიტაციული მიზიდულობაც აქვს, რისი დაძლევაც რაკეტისთვის უფრო ძნელია, ვიდრე მთვარის მიზიდულობისა.

მაგრამ თუ იქნება საწვავის მარაგის მთვარეზე შევსების შესაძლებლობა, მაშინ საქმე მნიშვნელოვნად გამარტივდება. ჩვენს პლანეტას რაკეტა ნაწილობრივ ცარიელი ავზებით დატოვებს, მათ მთვარეზე შეავსებს და იქიდან გეზს მარსისკენ აიღებს. ოღონდ, ამ შემთხვევაში, საწვავი უნდა იყოს მეთანი, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია როგორც მთვარეზე, ისე მარსზეც (მარსიდან ხომ უნდა დაბრუნდნენ ასტრონავტები?).

ჯერ რობოტები

NASA-ს ასოცირებული ადმინისტრატორი რექს გევედენი ამბობს, რომ მთვარეზე ბაზის ასაშენებლად ათასობით ადამიანი-საათი იქნება საჭირო. მაგრამ ეს საქმე მნიშვნელოვნად გაიოლდება, თუ მის განსახორციელებლად ასტრონავტებს რობოტები შეეშველებიან.

უფრო მეტიც, სანამ ასტრონავტები კვლავ დადგამენ ფეხს ჩვენი პლანეტის თანამგზავრზე, იქ სპეციალური რობოტები გაიგზავნებიან. კერძოდ, 2008 წელს მთვარისკენ გაემგზავრება ავტომატური ორბიტალური აპარატი, რასაც მოჰყვება იქ მარსმავალ "სპირიტისა" და "ოპორტუნიტის" მსგავსი როვერების გაგზავნა.

ამ ექსპედიციების დროს დამუშავდება მთვარის ზედაპირზე უსაფრთხო დაშვების ელემენტები, ბაზისთვის შეირჩევა საუკეთესო ადგილები. რაც მთავარია, მთვარეზე გაიგზავნება ბაზის ასაშენებლად საჭირო ხელსაწყო-დანადგარები.

სხვათა შორის, NASA დაახლოებით იმავე პრინციპით იმოქმედებს მარსის ათვისებისას, როგორც მთვარის შემთხვევაში - წითელ პლანეტაზე, პირველ რიგში, რობოტები გაიგზავნებიან. დადგინდება, რამდენად შესაძლებელია მარსზე პილოტირებადი ექსპედიციის გაგზავნა ისე, რომ ეკიპაჟს იქიდან უსაფრთხოდ დაბრუნების საშუალებაც ჰქონდეს. მას შემდეგ კი, რაც სააგენტოს ხელმძღვანელობა დარწმუნდება ექსპედიციის უსაფრთხოებაში, მეზობელ პლანეტაზე ადამიანებიც გაიგზავნებიან.

■ ■ ■

NASA აცხადებს, რომ მთვარეზე ყოველწლიურად ორი პილოტირებადი ექსპედიციის გაგზავნას აპირებს. იმავდროულად, ამავე პერიოდში, თანამგზავრისკენ მხოლოდ თითო სატვირთო გაფრენა შესრულდება. თითოეული კაფსულა კი ათ ექსპედიციაზე იქნება გათვლილი და მათ სატვირთო დანიშნულებითაც გამოიყენებენ.

ზემოთ აღწერილი სისტემა ორი დიდი აეროკოსმოსური კომპანიის, "ნორტროპ გრუმენისა" და "ბოინგის" სპეციალისტების ერთობლივი ნამუშევარია. რა თქმა უნდა, მათ გარდა, აღნიშნლ პროექტზე მუშაობის სურვილს გამოთქვამენ სხვა დიდი კომპანიებიც, მაგალითად, "ლოკჰიდ მარტინი", რომელიც NASA-ს ფრთოსანი მინი-"შატლის" გამოყენებას სთავაზობს. თავისი ამბიციები აქვს პატარა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილ კომპანია "t/სპეისსაც", რომლის პროექტი რადიკალურად განსხვავდება ყველა სხვა კომპანიის ნამუშევრისგან.

CEV-სისტემის შექმნაზე კონკურსი NASA-ს ჯერ არ გამოუცხადებია. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ საუკეთესო პროექტის არჩევის შემდეგაც, გამარჯვებული პროექტის ავტორის გარდა, სააგენტომ სამუშაოების ნაწილის შესრულება სხვა კომპანიებსაც შეუკვეთოს...

NASA-ს შეცდომა

მთვარის ათვისების პროგრამის გამოქვეყნებიდან ორიოდე დღის შემდეგ, მაიკლ გრიფინმა განაცხადა, რომ NASA-მ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა შეაჩერა პროგრამა "აპოლონი" და ჩაერთო ორ უშველებელ პროგრამაში, რომლებსაც "შატლი" და "საერთაშორისო კოსმოსური სადგური" ჰქვია.

გაზეთ "იუ.ეს.ეი ტუდეის" სარედაქციო კოლეგიასთან შეხვედრაზე გრიფინმა განაცხადა, რომ 70-იან წლებში NASA მცდარ გზას დაადგა, როცა მთვარის ათვისებაზე უარი ითქვა. მაშინ აქცენტი გადატანილ იქნა საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მშენებლობაზე, რომელიც ახლაც არაა დამთავრებული. ამ გიგანტს მსოფლიოს წამყვანი კოსმოსური ქვეყნები წლების განმავლობაში აშენებენ და ამაზე მილიარდობით დოლარი იხარჯება. არადა, სადგურს მხოლოდ ჩვენი პლანეტის ორბიტაზე ფრენა შეუძლია და მისი გამოყენების სფეროც შეზღუდულია.

"ჩემი აზრით, პროგრამა "შატლი" მეტად აგრესიული და ძალიან ძნელად შესრულებადი პროექტი იყო, მაგრამ ჩვენ ეს ნაბიჯი მაინც გადავდგით. რაც შეეხება საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს, გადაწყვეტილების მიღება ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ჩვენ მასზე უარს ვიტყოდით", - განაცხადა გრიფინმა.

სხვათა შორის, ის ამ პოსტზე წელს, აპრილში დაინიშნა. სანამ NASA-ს შეფი გახდებოდა, გრიფინის მოსაზრებანი "შატლისა" და საერთაშორისო კოსმოსურ სადგურის შესახებ გაცილებით მკვეთრი იყო. ახლა კი მისი ტონი შერბილებულია. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამერიკელებს აღარ აინტერესებთ საერთაშორისო კოსმოსური სადგური და მის მშენებლობაში მონაწილეობას 2010 წელს შეწყვეტენ, როდესაც დასრულდება "შატლების" ექსპლუატაცია.



1 - მძიმე რაკეტა-მატარებლის სტარტი. მას ორბიტაზე გაჰყავს მთვარეზე დასაჯდომი მოდული და რაკეტა-ამაჩქარებელი

3 - სამთვარეო მოდულისა და CEV-ის შეპირაპირება, რასაც კომპლექსის მთვარისკენ გამგზავრება მოჰყვება



5 - მთვარეზე დაჯდომა

7 - დაშვება ხმელეთზე

2 - კომპლექს CEV-ის სტარტი, რომელსაც ორბიტაზე პილოტირებადი მოდული გაჰყავს

4 - გასვლა მთვარის ორბიტაზე

6 - სტარტი მთვარიდან - ექსპედიცია სატელიტის ორბიტას უბრუნდება, საიდანაც გეზს ჩვენი პლანეტის ორბიტისკენ აიღებს



ასეთი განსხვავებაა "აპოლოს", "შატლისა" და ახალი სამთვარეო მოდულების გაბარიტებს შორის (ერთი ფუტი 0.305 მეტრია)

აფიშა

10-11 ნოემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

"ბალანჩინი 1" (იგულისხმება ვარიაციები)
დასაწყისი 15 და 19 სთ-ზე.
მის: რუსთაველის გამზირი 25

11 ნოემბერი

გიორგი შავგულიძის სახელობის თეატრი "სახიობა"

"გიჟები"
დასაწყისი 15:00 სთ-ზე
მის: გურამიშვილის გამზირი N64

პანტომიმის თეატრი

"ფიროსმანი-მეფე"-ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი 18:00 სთ-ზე.
მის: რუსთაველის გამზირი N37

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"

"ფანტაზიორი"
დასაწყისი 19:00 სთ-ზე
მის: ვ. ანჯაფარიძის ქ. N16

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი

გრანდიოზული პრემიერა
"კაცია ადამიანი" - ილია ჭავჭავაძე
მის: რუსთაველის გამზირი N17

ბილ მიურეის შეშლილი ქალები

ფილმი: "გატეხილი ყვავილები" (Broken Flowers), საფრანგეთი, 2005 წელი. რეჟისორი ჯიმი ჯარმუში. როლებში: ბილ მიურეი, ჯესიკა ლანჟი, შარონ სტოუნი, ჯეფრი რაიტი, ფრენსის კონროი.

ჯიმი ჯარმუშის ახალ ფილმში მიურეი ხანდაზმული, "გახუნებული" დონჟუანის როლს თამაშობს. სახელიც შესაბამისი აქვს - დონ ჯონსტონი. ერთ მშვენიერ დღეს მას მორიგი ქალი ტოვებს, სამაგიეროდ მოსდის წერილი. ვარდისფერ ქაღალდზე ტექსტი წითელი მელნითაა დაწერილი, შტამპზე კოდალაა მიხატული, წერილში კი მოთხრობილია დონის შვილზე, რომელიც ზუსტად 19 წლის წინ შეეძინა. ამჟამად ის სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობს, თან მამას ეძებს. წერილის ავტორი უცნობია.

...დონმა წერილი ჩაიკითხა და დივანზე ჩამოჯდა, მერე წამოწოლაც დააპირა, მაგრამ ამ დროს მეგობარი ვინსტონი დაადგა და შემთხვევით ვარდისფერი ქაღალდიც დაინახა... ვინსტონს სამი სამსახური აქვს და ხუთი შვილი ჰყავს. დეტექტივები მოსწონს და დაუხარჯავი ენერგია აწუხებს. მეგობარს აიძულებს გაიხსენოს ოთხი ქალი, რომლებთანაც ბებერ დონჟუანს 20 წლის წინ სასიყვარულო თავგადასავალი აკავშირებდა.

იწყება გამოძიება. ყოფილ საყვარლებს ჯონსტონი ვარდებით მიაკითხავს, თითქოს შემთხვევით მოხვდა მათ ქუჩაზე და შეუარა... ასე შემოივლის ნახევარ მსოფლიოს. ერთხელ ასევე ყოფილი საყვარლის ლოგინში გაიღვიძებს, შემდეგ - სიმინდის ყანაში და რამდენჯერმე სასტუმროში, სადაც თავგამეტებით ურეკავს ვინსტონი და გამოძიების შედეგებს იბარებს. ბოლოს ჯონსტონი შინ ბრუნდება და ისევ დივანზე ჯდება. ის დაღლილია.

იპოვა თუ არა დონ ჯონსტონმა ის, ვისაც ეძებდა, ამას ფილმში ნახავთ და ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, რომ ჯიმი ჯარმუშმა და ბილი მიურეიმ ერთმანეთი იპოვეს, ანუ მთელი ცხოვრება ჯარმუში აკეთებდა ფილმებს დროსა და სივრცეში მოგზაურ მარტოხელა ადამიანებზე, მათზე,


ბილ მიურეი

ვისაც ერთმანეთის არ ესმით, დროზე, რომელსაც არც წარსული აქვს და არც მომავალი. ეს ყოველთვის სასაცილოა და სატირელი. "გატეხილ ყვავილებზე" ბევრს იხალისებთ, თუმცა, სინამდვილეში ეს სევდიანი ისტორიაა. სევდიანი და სასაცილოა მარტოხელა, მოუვლელი, წვერგაუპარსავი, ღიპიანი მამაკაცი.

მიურეი და ჯარმუში ნიუანსებით თამაშობენ. ჯარმუში კი საერთოდ აბსურდის ფენომენალიზმითაა შეპყრობილი. მას შეუძლია ყველაზე ყოფითი, ჩვეულებრივი, ბანალური სიტუაცია აბსურდად აქციოს. "გატეხილ ყვავილებში" ყველაფერი სასაცილოა: გარდაცვლილი ძაღლის პორტრეტი, მოხარშული სტაფილო, თამბაქოს წინააღმდეგ მებრძოლი ვინსტონის სამი წლის ქალიშვილი. არანაკლებ შთამბეჭდავია დონის საყვარლების გალერეა - ყველა დახვეწილია და ცოტათი შეშლილი. ერთი საპირფარეშოების დიზაინერია, მეორე - ცხოველებთან მოსაუბრე, მესამე - ისტერიული ბაიკერი, მეოთხე - უძრავი ქონების გამყიდველი.

საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა ოპერის თეატრში

არასამთავრობო ორგანიზაცია "შემოქმედებითი სალონის" ინიციატივით, ოპერის თეატრში საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მიმდინარეობს. როგორც "ინტერპრესნიუსს" შემოქმედებითი სალონის ხელმძღვანელმა ხათუნა შიუკაშვილმა განუცხადა, აქციაზე ფასდაკლებითაა წარმოდგენილი ბაკურ სულაკაურის მიერ გამოცემული წიგნები. ასევე, გამომცემლობა "არტანუჯის", "ინტელექტისა" და "მერანის" წიგნები. გამოფენაზე ასევე გამოტანილია მიხეილ სააკაშვილის წიგნი, ავთო იოსელიანის სანთებელა, გოკა და კოტე გაბაშვილების და სხვა ცნობილი ადამიანების ნივთები.

წარმოდგენილია ასევე სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრები და 53-ე სკოლის კერამიკულ სახელოსნოში დამზადებული ნივთები. გამოფენა-გაყიდვიდან შემოსული თანხები ერთ-ერთ ბავშვთა სახლს მოხმარდება.

ინტერპრესნიუსი

მერიის კულტურისა და განათლების სამსახურის ანგარიში

ქალაქის მერიის კულტურისა და განათლების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნატა მაჩალაძემ თბილისის საკრებულოს სამსახურის ერთწლიანი მუშაობის შედეგი წარუდგინა. შედეგის წარდგენამდე მან მადლობა გადაუხადა სამსახურის ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც შესაძლოა მერიაში გამოცხადებული კონკურსის შემდეგ აღარ იყოს საქალაქო სამსახურის თანამშრომელი და აღნიშნა, რომ მათ ძალიან რთულ პერიოდში შეძლეს ერთიანი გუნდის ჩამოყალიბება, რომელმაც მოახერხა ბევრი სასიკეთო საქმის გადაწყვეტა.

რაც შეხება თავად მოხსენებას, უმეტესი ნაწილი განათლების საკითხებს დაეთმო, რაც შეხება კულტურის სფეროს, მოხსენება ღონისძიებების ჩამონათვალს წარმოადგენდა და რამდენიმე ახალ ინიციატივაზე იყო მხოლოდ საუბარი, რომელიც ჯერჯერობით პროექტის დონეზეა და, ძირითადად, ფესტივალების საკონკურსო წესით ჩატარების პროექტსა და მუზეუმის თანამშრომლებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლებისათვის ხელფასების გაზრდას ეხებოდა.

საკრებულოს ოპოზიციურმა ნაწილმა ნატა მაჩალაძის მოხსენებას მხოლოდ გაკეთებულ ღონისძიებათა ჩამონათვალი უწოდა. ლეიბორისტმა გიორგი გუგავამ განაცხადა, - ამ მოხსენებას თუ დავუჯერებთ, ქალაქში ყველაფერი ხუთიანზე ყოფილაო.

მან ხაზი გაუსვა ერთ ციფრს - 127 861 ლარი, რომელიც 21 კვირის განმავლობაში ქალაქის საკვირაო სეირნობებზეა დახარჯული და აღნიშნა, რომ მსგავსი სიდიდის თანხების დახარჯვა ისეთ აბსოლუტურად გაუმართლებელ ღონისძიებებზე, როგორიც ქალაქის საკვირაო სეირნობაა, ყოვლად წარმოუდგენელია, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში როდესაც მოუწესრიგებელია ბავშვთა სახლების საკითხები.

ჯი-ეიჩ-ენი

ხელოვნების მუზეუმს კრანახი და რეისდალი დაუბრუნდა

შალვა ამირანაშვილის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გუშინ ლუკას კრანახის ნამუშევარი "მაჭანკალი" და იაკობ ვან რეისდალის "ჩანჩქერი" გადაეცა.

აღნიშნულ ნამუშევრებს რესტავრირება ქართველმა რესტავრატორებმა ნანა მანაგაძემ და ეკელინა კარსელმა ჩაუტარეს ჰამბურგის კუნსტჰალეს გალერეაში. ცნობილი შედევრები ხელოვნების მუზეუმის საცავში მიკროკლიმატის შენარჩუნების მიზნით 48 საათის განმავლობაში იქნება შენახული, რის შემდეგაც მათ დარბაზში გამოფენენ.

"არაჩვეულებრივი სამუშაო პირობები იყო. აღსანიშნავია, რომ რეისდალის პეიზაჟი უფრო რთულ მდგომარეობაში იყო. მოხერხდა ორივე ნამუშევრის შეკეთება. ჩვენ ასევე ვეხმარებოდით გერმანულ მხარეს სხვადასხვა, უფრო რთული ნამუშევრების რესტავრირებაში", - აღნიშნა "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას ნანა მანაგაძემ.

ლუკას კრანახის "მაჭანკალი" და იაკობ ვან რეისდალის "ჩანჩქერი" 1994 წელს მოიპარეს და 2004 წლის 18 მაისს შს სამინისტროს თანამშრომლებმა ხელოვნების მუზეუმს დაუბრუნეს.

ინტერპრესნიუსი

ჰოლივუდი ირჩევს რუსებს

მსახიობი მილა იოვოვიჩი ახალ ამერიკულ ფილმში "კეთილი იყოს თქვენი ფეხი ამერიკაში" განასახიერებს რუს ქალს, რომელიც ამერიკაში ძიძად იწყებს მუშაობას, მაგრამ ძალით გადაჰყავთ მექსიკაში და შემდეგ ტეხასში, სადაც იგი ვალდებულია სხეულით ივაჭროს.

იოვოვიჩს ფილმში პარტნიორობას კევინ კლაინი გაუწევს. ის განასახიერებს ტეხასელ პოლიციელს, რომლის ქალიშვილიც მონობაშია.

ფილმის სცენარი ეკუთვნის ცნობილ პროდიუსერსა და რეჟისორს როლანდ ემერიხს ("დღე ხვალის შემდეგ", "გოძილა", "პატრიოტი", "დამოუკიდებლობის დღე"). მისი აზრით, ფილმში ასახულია ამერიკის მძიმე რეალობა, რომელიც აშშ-ში სამუშაოდ ჩასულებს ეხება.

ფილმის გადაღებები ნოემბრის ბოლოს მექსიკაში დაიწყება.

ალენ დელონი კინოს ცეზარის როლით უბრუნდება

8 ნოემბრს ფრანგ მსახიობ ალენ დელონს 70 წელი შეუსრულდა. რამდენიმე წლის წინ მან განაცხადა, რომ წყვეტს კინოკარიერას, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენიმე როლი კინოსა და თეატრში მაინც შეასრულა.

2007 წლისათვის დაგეგმილია ფრანგული ფილმის "ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე" გადაღება, სადაც მთავარსარდალსა და დიქტატორ იულიუს ცეზარს ალენ დელონი განასახიერებს.

მარკ როტკოს ნამუშევარი 22,4 მილიონად გაიყიდა

ამერიკელ აბსტრაქციონისტ მარკ როტკოს ტილო "მიძღვნა მატისისადმი" ნიუ იორკში მოწყობილ "კრისტის" აუქციონზე 22,4 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ეს ნამუშევარი როტკოს ერთადერთი ტილოა, რომელსაც სახელწოდება აქვს. ის 1954 წელსაა შექმნილი. წარმოშობით რუსეთიდან მარკ როტკო (მარკუს როტკოვიცი) 1950 წლამდე საზოგადოებისთვის პრაქტიკულად უცნობი იყო. დაახლოებით ათ წელიწადში (1970 წელს მან თავი მოიკლა) როტკომ პოპულარობა მოიპოვა, განსაკუთრებით კი ორი მსხვილი პროექტის შემდეგ, რომელთა თანაავტორი ჩიკაგოელი არქიტექტორი ფილიპ ჯონსი იყო. პროექტები ჩიკაგოსა და ჰიუსტონში განხორციელდა.

აქამდე როტკოს ტილოების ფასი 17 მილიონ დოლარამდე მერყეობდა.

ნიუ იორკის აუქციონი სხვებისთვისაც იღბლიანი აღმოჩნდა. რეკორდულ ფასად გაიყიდა რი ლიხტენშტეინის ტილო "მანქანაში" (15 მილიონ დოლარად) და ვილემ დე კოონინგას უსათაურო ნამუშევარი (10,66 მილიონ დოლარად). ორივე მხატვრისთვის ეს რეკორდული შეფასება იყო.

ფირმა **"დემასი"** აცხადებს ტენდერს ლოგოს შექმნაში. ჰონორარის ოდენობა 600 აშშ დოლარი. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ.
www.jobs.ge
ტელ: 920210

ყურადღება!

"რესტორანი **დაკარგული სამოთხე**"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207